გაზეთი გამოდის 1999 წლიდან

ქართველობის გადასარჩენად

ეროვნული ბიბლიოთეკა

# ილორი

E-mail: roland.jalagania@mail.ru

E-mail: r.jalagania@mail.ru

№398 (457) 14-21 თებერვალი 2017 წ. სახალხო მოძრაობა „სამეგრელოს“ ორგანო ფასი 50 თეთრი

სირცხვილი ის კი არ არის, რომ მეგრულად ლაპარაკობენ, არამედ ისაა, რომ დანარჩენმა ქართველებმა არ ვიცით მეგრული ენა — აკაკი შანიძე

## ირაკლი უბილავა: უნიპოლარიზმი დასასრულს მიუახლოვდა. რა ელის საქართველოს?

გვ.2,6



შემომიშვი, ბიჭია, ნატო-ში...
ძალიან გეხვეწები...
შენი ლამაზი თვალები...

## ანზორი დანელია: მ(ა)თხოვრები

გვ.2

## ჰამლეტ ჭიპაშვილი: ირანის ისლამური რესპუბლიკის რევოლუციის დღესასწაულთან დაკავშირებით

გვ.3

## სიმონ ზაქარაია: ვიზა-ლიბერალიზაცია და დემოგრაფიული პრობლემები საქართველოში

გვ.5



გვ.9

## რ. შალამბერიძე: პარლამენტი თბილისში გადმოაქვთ



## მერაბიშვილმა ახალაიებს „გაუჩალიჩა„ — ბოქერიას საიდუმლო რანდევუ უკრაინაში

გვ.8

## თეიმურაზ ქორიძე: კიდევ ერთხელ გავიხსენოთ, რა ტერმინები არსებობს მშობლიურ ქართულში ფრანგული affair-ის აღსანიშნავად

გვ.9



## ირაკლი ზარქუა: სად არიან NGO-შნიკები ვინც ადამიანის უფლებებს იცავენ და მეძიის „განვითარებაზე ზრუნავენ“?!

გვ.10



გვ.4

## ლავრენტი ბერია — საბჭოთა კავშირის ცილდაწამებული გმირი

## მიხეილ სააკაშვილი: “როცა საქართველოში ჩავედი, ხალხმა იცოდა ცეკვა-სიმღერა და სადღეგრძელოების თქმა, მეტი არაფერი” — მიხეილ სააკაშვილი ქართველებზე

გვ. 8

ეროვნული ბიბლიოთეკა

# უნიპოლარიზმი დასასრულს მიუახლოვდა. რა ელის საქართველოს?

საერთაშორისო სისტემამ მისი ჩამოყალიბებიდან დღემდე პოლიტიკური ტრანსფორმირების ოთხი გეოპოლიტიკური ციკლი გაიარა, ხოლო მეხუთე დასასრულს უახლოვდება. ამ გეოპოლიტიკური ციკლების მონაცვლეობა ისტორიულად ემთხვეოდა შემდეგ პერიოდებს: ვესტფალიურ პერიოდს (1648–1815წწ.), ვენის (ე.წ. კონცერტის სისტემის) პერიოდს (1815–1914წწ.), ვერსალის პერიოდს (1918–1939 წწ.) და პოტსდამურ პერიოდს (1945–1991წწ.). ყოველი პერიოდის დასასრული დაკავშირებული იყო საერთაშორისო სისტემის გარდაქმნასა და ახალი მსოფლიო წესრიგის შექმნასთან. ახალი მსოფლიო წესრიგი ყოველთვის გულისხმობდა საერთაშორისო სისტემაში მოქმედი აქტიური გეოპოლიტიკური სუბიექტების მიერ ტერიტორიების გავლენის სფეროებად დაყოფას ახალწარმოქმნილი ძალების ბალანსის საფუძველზე.

მეხუთე გეოპოლიტიკური ციკლი, რომელსაც ამჟამად გადის კაცობრიობა, დასასრულს უახლოვდება. საერთაშორისო სისტემის საბოლოო ტრანსფორმირების შემდეგ, წინა პერიოდების მსგავსად, მსოფლიო ახლებურად გადანაწილდება და ახალი მსოფლიო პოლიტიკური წესრიგი ჩამოყალიბდება, ამიტომ ჩვენთვის უმთავრეს ამოცანას უნდა წარმოადგენდეს, ღრმა ინტელექტუალური გაანალიზების საფუძველზე განვჭვრიტოთ, როგორ ფორმას მიიღებს მომავალი წესრიგი, რათა გადავრჩეთ და სახელმწიფოებრივი სიცოცხლისუნარიანობა შევინარჩუნოთ მკვეთრად რეალისტურ ხედვაზე, ძალასა და ინტერესებზე დაფუძნებულ საერთაშორისო სისტემაში. აღნიშნულიდან გამომდინარე, რომ გავერკვეთ და შევძლოთ პროგნოზირება სამომავლო გლობალური პოლიტიკური პროცესებისა, რომლებიც აუცილებლად აისახება საქართველოზეც, უპრიანია, გავაანალიზოთ საერთაშორისო ურთიერთობების ის თეორიული პარადიგმები, რომლებსაც გაბატონებული მდგომარეობა ეკავა ამერიკის შეერთებული შტატების ინტელექტუალურ თუ პოლიტიკურ წრეებში მე-20 საუკუნის 90-იანი წლების დასაწყისში.

## პოსტბიპოლარული ეპოქის ანალიზი ლიბერალურ და რეალისტურ კონცეფციებში

საბჭოთა კავშირის დაშლისა და აღმოსავლეთ ევროპაში ვარშავის სამხედრო ბლოკის დემონტაჟის შემდეგ დასავლეთის ინტელექტუალურ წრეებში, უპირატესად, ამერიკულში, დაიწყო მსჯელობა, როგორ ფორმას მიიღებდა პოსტბიპოლარული საერთაშორისო სისტემა. საკითხზე მსჯელობა ინტელექტუალური პაექრობის რეჟიმში წარიმართა საერთაშორისო ურთიერთობების ორი წამყვანი სკოლის წარმომადგენლებს – ლიბერალებსა და რეალისტებს – შორის. ლიბერალები მიიჩნევდნენ, რომ კომუნისტური სისტემის მარცხის შემდგომ, როგორც დასავლურ, ასევე აღმოსავლურ სამყაროში ჩამოყალიბდებოდა ლიბერალური მსოფლიო წესრიგი და, მათი აზრით, საბოლოოდ აღმოიფხვრებოდა ისტორიული დაპირისპირება დასავლეთსა და აღმოსავლეთს შორის.

საგარეო პოლიტიკის ლიბერალური ხედვა ეყრდნობოდა კანტის იდეალისტურ-გლობალისტურ კონცეფციას. იმანუილ კანტის კონცეფციის მიხედვით, თუ ყველა ქვეყანა პოლიტიკური წყობის რესპუბლიკური მართვა-გამგეობის ფორმას მიიღებდა, მსოფლიოში დაისადგურებდა საყოველთაო მშვიდობა და ქვეყნები ეკონომიკურად აყვავდებოდა. ეს თანამედროვე ლიბერალების ენაზე შემდეგნაირად განიმარტება: ყველა ქვეყნის ლიბერალურ-დემოკრატიული ტრანსფორმირების შემთხვევაში, ომები და დაპირისპირები აღმოიფხვრება გლობალური მასშტაბით, ანუ იმოქმედებს პრინციპი **"დემოკრატია დემოკრატიის წინააღმდეგ არ იბრძვის"**.

მე-20 საუკუნის 90-იან წლებში, **"ცივ ომში"** კომუნისტური საბჭოთა კავშირის მარცხით გამოწვეული სიხარულით თავბრუდახვეული ლიბერალები ისე **"გათავხედნენ",** რომ კაცობრიობას ფრენსის ფუკუიამას პირით ამცნეს **"ისტორიის დასასრულისა"** და **"პოსტისტორიის"** ერის დადგომის შესახებ. ფრენსის ფუკუიამა – ჰეგელის ფილოსოფიის მიმდევარი, დიალექტიკური პრიზმიდან განიხილავდა მსოფლიოს პოლიტიკურ ისტორიას და ამტკიცებდა, რომ კომუნიზმის მარცხის შემდეგ ეკონომიკურ და პოლიტიკურ ლიბერალიზმს, როგორც იდეოლოგიას, მომავალში აღარ ექნებოდა კონკურენტული ალტერნატივა. მისი აზრით, ლიბერალიზმმა დაამარცხა მანამდე არსებული ყველა კონკურენტი იდეოლოგია და ამით დასრულდა კაცობრიობის იდელოგიური ევოლუცია.

ლიბერალი გლობალისტების თვალსაზრისით კი, მსოფლიოში ლიბერალიზმის გამარჯვების შემდეგ, დასავლური ქვეყნების დარად, აღმოსავლურ სამყაროშიც მოხდებოდა სოციალური და პოლიტიკური სისტემების ტრანსფორმირება და მათი გარდაქმნა ლიბერალურ დემოკრატიებად, ანუ ლიბერალურ იდეოლოგიაზე დაფუძნებული ზოგადსაკაცობრიო ღირებულებები მსოფლიოში გავრცელდებოდა.

ლიბერალურ-დემოკრატიული პოლიტიკური სისტემების ჩამოსაყალიბებლად აუცილებელი პირობა იყო ერთი გეოპოლიტიკური ძალის ცენტრიდან დანარჩენი სახელმწიფოების ქცევის პოლიტიკური კონტროლი. ეს კი დაიკისრა შეერთებულმა შტატებმა, რომელიც ბოლო წლების განმავლობაში **"ჟანდარმის ფუნქციას"** ასრულებდა გლობალურ დონეზე. ამერიკელებს თითქმის ყველა ქვეყანა და რეგიონი ექსკლუზიური გავლენის ზონად ჰქონდათ გამოცხადებული, რითაც მიაღწიეს კიდეც საერთაშორისო სისტემის უნიპოლარულ მოდელად გარდაქმნას.

ლიბერალებს უნიპოლარიზმი და მისი თანმდევი პროცესი – გლობალიზაცია ორი ფორმით ჰქონდათ წარმოდგენილი. პირველ შემთხვევაში, პოლუსის სათავეში ჰეგემონის რანგში მოექცეოდა შეერთებული შტატები, რომელსაც უნდა გაეკონტროლებინა ყველა სხვა სახელმწიფოს პოლიტიკური ქცევა საერთაშორისო ურთიერთობებში; მეორე ფორმა, რომელიც ყველაზე მეტად იყო მისაღები ულტრა-გლობალისტური კონცეფციის პარადიგმის მიმდევრებისთვის, გულისხმობდა სახელმწიფოთა სრულ დესუვერენიზაციას. სახელმწიფოებს სუვერენიტეტის დიდი წილი უნდა დაეთმოთ ზემდგომი, ზენაციონალური პოლიტიკური სტრუქტურის სასარგებლოდ. იგი გულისხმობდა გლობალური მასშტაბით ერთი დიდი პოლიტიკური სუბიექტის, ერთგვარი ჰობსისეული **"ლევიათანის"**, ანუ, ფრენსის ფუკუიამას ტერმინოლოგიას თუ გამოვიყენებთ, **"ზოგადსაკაცობრიო სახელმწიფოს"** შექმნას: **"ზოგადსაკაცობრიო სახელმწიფო – ეს ლიბერალური დემოკრატიაა პოლიტიკურ სფეროში..."** (ფრენსის ფუკუიამა).

სცადა კიდეც დასავლეთის ლიბერალურმა პოლიტიკურმა ელიტამ **"ზოგადსაკაცობრიო სახელმწიფოს"** შექმნა, ოღონდ შედარებით ლოკალური მასშტაბით. ამის ნათელ მაგალითია რამდენიმე წლის წინათ ევროკავშირის მმართველი ელიტის პროექტი, რომლითაც ევროკავშირში უნდა შემოეღოთ პრეზიდენტისა და საგარეო საქმეთა მინისტრის პოსტები. თუმცა, როგორც გვახსოვს, ევროკავშირის რეორგანიზაციის – კონფედერაციიდან სახელმწიფოს ტერიტორიული მოწყობის ფედერაციულ მოდელზე გადასვლის – პროექტი საფრანგეთსა და ირლანდიაში ადგილობრივ რეფერენდუმებზე ჩავარდა. ამით პირველი იდეოლოგიური დარტყმა მიიღეს გლობალისტებმა. გამოჩნდა, რომ თავისუფლებისა და დამოუკიდებლობის მოყვარული ევროპელი ერები ვერ შეეგუებოდნენ სუვერენიტეტის დაკარგვას. იმავე პერიოდში ლიბერალურ-იდეალისტური კონცეფციის მიმდევრებს ინტელექტუალური ოპონირება გაუწიეს ჯონ მირშაიმერისა და ჩარლზ კრაუტჰამერის რეალისტური სკოლის მიმდევრებმა, რომლებიც ლიბერალების საპირისპიროდ ამტკიცებდნენ, რომ ბიპოლარული, იდეოლოგიური პაექრობისა და ძალთა პარიტეტზე დაფუძნებული სისტემის დემონტაჟის შემდეგ მსოფლიო აუცილებლად გახდებოდა მრავალპოლუსიანი.

სხვათა შორის, პირველი, ვინც აღუდგა ლიბერალი გლობალისტების მიერ ინტელექტუალურად და პოლიტიკურად მხარდაჭერილ ერთპოლუსიან მოდელს და ეჭვქვეშ დააყენა გადაწყვეტილებების მიღების მართებულობა მართვის ერთი ცენტრიდან, გახლდათ რუსეთის ფედერაციის პრეზიდენტი ვლადიმერ პუტინი. 2007 წელს მიუნხენში, უსაფრთხოების კონფერენციაზე სიტყვით გამოსვლისას მან მიანიშნა, რომ არ შეეგუებოდა უნიპოლარიზმს და წინააღმდეგობას გაუწევდა მას მულტიპოლარიზმის სასარგებლოდ. რუსეთის ფედერაციის პრეზიდენტმა, (პრემიერ-მინისტრის რანგში) სიტყვა საქმითაც დაადასტურა 2008 წლის აგვისტოში. ჩვენდა სამწუხაროდ, უნიპოლარული მსოფლიოს მედროშე შეერთებული შტატების მოკავშირე საქართველო, რომელიც ლიბერალურ-გლობალისტური გეოპოლიტიკის ფარვატერში იმყოფებოდა, სასტიკად დასაჯა 5-დღიან ომში – ფაქტობრივად, სამ ნაწილად დაშლილი ქვეყანა იურიდიულადაც დაშალა.

მეორე გამოცდა, რომელიც ვლადიმერ პუტინს გლობალისტებმა მოუწყვეს, იყო უკრაინა, მაგრამ მან არც ეს ქვეყანა დაინდო. საქართველოს მსგავსად, მისი გეოპოლიტიკური მტრის მიერ მართული უკრაინაც ტერიტორიულად დაანაწევრა, მეტიც – ყირიმი, უმნიშვნელოვანესი გეოსტრატეგიული დატვირთვის მქონე რეგიონი, შეიერთა და რუსეთის ფედერაციის 85-ე სუბიექტად აქცია.

*(გაგრძელება მე-6 გვერდზე)*

# მ(ა)თხოვრები!!!

*„მიწაზე ფორთხვისთვის დაბადებული, ვერ შესძლებს ფრენას“*
**მაქსიმ გორკი**

გაზეთ **"ილორს"** გულითადად ვულოცავთ შობა-ახალ წელს!

მთხოვარი, ანუ მათხოვარი, სულხან-საბა ორბელიანის **„ლექსიკონი ქართული“**-ს მიხედვით განმარტებულია შემდეგნაირად – გლახა, კარისკარ მოარული (სულხან-საბა ორბელიანი. **„ლექსიკონი ქართული“**. გვ. 475. წიგნი 1. გამომცემლობა **„საბჭოთა საქართველო“**. 1966წ.)! ხოლო, ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონის მიხედვით ეს მცნება ასეა ახსნილი: მთხოვარა (მთხოვარასი) – იგივეა რაც მათხოვარი (ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონი. ერთტომეული. გვ.292. საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემია. ენათმეცნიერების ინსტიტუტი. ქართული საბჭოთა ენციკლოპედია. 1986წ.)!

აი, ბატონებო, ვის ხელში ვართ ჩავარდნილნი, ანუ ვინ არიან ქვეყნის სათავეში მოქცეულნი, ჩვენი დოყლაპიობით! ის რაც **„ნაცებმა“** საქართველოს ნგრევას და გათახსირებას დააკლეს, **„ქოცები“**, ანუ დღევანდელი ხელისუფლება, 2012 წლის 1 ოქტომბრის არჩევნების შედეგად, რომ მოვიყვანეთ ქვეყნის სათავეში და დღესაც მივეცით გაჯეჯილების საშუალება, უფრო გულმოდგინედ აგრძელებს წინა ხელისუფლების მიერ დაწყებულ ქვეყნისა და ერისათვის ავბედით საქმეს!

კვლავ გრძელდება ტოტალური უმუშევრობა, ანუ მოსახლეობის დიდი ნაწილი არის დაუსაქმებელი, ე.ი. უსაქმური. შესაბამისად გრძელდება ხალხის ტოტალური გაღატაკება, რაც იწვევს ლოთობას, ნარკომანიას, პროსტიტუციას, გაპიდარასტებას და ბევრ სხვა უბედურებას! **„ასავალ-დასავალი“**-ს ბოლო ნომერში, ცნობილი ჟურნალისტი, ჯაბა ხუბუა სარკაზმით ამბობს: **„ქართველები ნაღდად ბედდამწვარი ხალხი ვართ – ნატო-სა და ევროკავშირში შეშვებას ვინ ჩივის, ბორდელშიც არ გვიშვებენ!“**

აი, თქვენი **„ნამოღვაწარის“** შედეგი, დღევანდელო, უნიათო ხელისუფლებავ! წერილის სათაურად შეგნებულად შევარჩიე სულხან-საბასეული სიტყვა! სხვას ესენი არ იმსახურებენ, და აი რატომ: ისინი, ანუ წინა ხელისუფლება, თავიანთი პატრონების ბრძანებების საფუძველზე, ყოველგვარ ზნედაცემულობაზე მიდიოდა, როგორიც იყო ევროკავშირში და ნატოში შეტენვის მუხლმოყრილი თხოვნა! ასევე, ეგრეთწოდებულ ვიზალიბერალიზაციაზე ცრემლდენითი ღაღადისი!

ვეკითხები ამ ეგრეთ წოდებულ ხელისუფლებას: **„ბატონებო", სანამდის გინდათ ხალხის ნერვებზე თამაშის გაგრძელება"?** ვიდრე ჩვენი მოთმინების ფიალა არ აივსება? ხომ ხედავთ, რომ არ გღებულობენ ამ ნატოში და ევროკავშირში?! თქვენს გამო მთელი საქართველოს მოსახლეობა მათხოვრებად ვიქეცით, რასაც ნამდვილად არ ვიმსახურებთ! თქვენ თუ გინდათ მათხოვრობა, დატოვეთ თანამდებობები და მერე რაც გინდათ ის მოიმოქმედეთ! ვისაც გინდათ იმას ჩაეხუტეთ! ქართული მულტფილმი ხომ გახსოვთ? კატის გულით დაბადებული ვეფხვი, კატის დანახვაზე როგორ ცახცახებს! ასევე ხართ თქვენც, თქვენ არ ძალგიძთ დამოუკიდებლად ქვეყნის მართვა! თქვენ ხართ დაბადებულები (ხელისუფლების დიდი უმრავლესობა!) მონური სულისკვეთებით და, გამომდინარე აქედან, სხვის დაკრულზე როკვისათვის. ამიტომ, ვინაიდან, ესენი აგრძელებენ თავიანთი მბრძანებლების მითითებებით საქართველოს დაქცევას, მოვუწოდებ საქართველოს მოსახლეობის იმ ნაწილს, რომელსაც ნამდვილად სურს საქართველოსთვის და მისი ჯანსაღი აზროვნებით მაცხოვრებელ საზოგადოებას, სასწრაფოდ დავაყენოთ საკითხები რეფერენდუმზე გასატანად და დაუყოვნებლივ ჩასატარებლად, სურს თუ არა მოსახლეობის ზემოთ დასახელებულ ნაწილს:

1. **ნატო-ში გაწევრიანება;**
2. **ევროკავშირში გაწევრიანება;**
3. **ვიზალიბერალიზაცია;**
4. **ავღანეთში, ჩვენი საჯიშე ბიჭების, საზარბაზნე ხორცად გამოყენება** (გაუშვან თავიანთი შვილები და ახლობლები. სხვასაც ისევე უყვარს თავისი შვილები, როგორც თქვენ!).

აგრეთვე, პარლამენტმა სასწრაფოდ მიიღოს დადგენილება, ეგრეთწოდებული **„ანტიდისკრიმინაციული“** კანონის გაუქმების შესახებ!

აგრეთვე, ადგილობრივ არჩევნებთან ერთად ჩატარდეს რიგგარეშე საპარლამენტო არჩევნები, მანამდე საარჩევნო კანონის შეცვლით!

ყოველივე უმსგავსოება, რაც დღეს არსებობს ჩვენთან, საქართველოში, უნდა შეიცვალოს ქართულ, მართლმადიდებლურ სულისკვეთებაზე! ვისაც არ მოეწონება, ოთხივ კუთხით ჯვარი სწერია! სადაც სურს იქით **„წაბრძანდეს“!** დროა საქართველოს ჰყავდეს მხოლოდ საქართველოს კეთილდღეობაზე მზრუნველი ხელისუფლება, რომელიც მოახერხებს საქართველოს მოსახლეობისთვის ზრუნვას!

დადგა დრო რათა – **„ჩვენი თავი, ჩვენადვე გვეყუდნეს“!**

მეტი ლოდინი, აღარ ეგების!

გვფარავდეს მამა ზეციერი და დედა ღვთისმშობელი! ამინ!

პატივისცემით,

**ანზორი დანელია**

# ირანის ისლამური რესპუბლიკის რევოლუციის დღესასწაულთან დაკავშირებით

მსოფლიო მედიის ყურადღება რომ აშშ-ს პრეზიდენტ ტრამპისკენაა მიპყრობილი, გასაკვირი არ არის. გასაკვირი მაშინ იქნებოდა, რომ ამას არ ჰქონოდა ადგილი. ერთი წლის განმავლობაში ცდილობდა პრეზიდენტობის კანდიდატი დონალდ ტრამპი ყურადღების მიქცევას, რაც შეძლო კიდევაც და შეძლო აზრების ექსტრავაგანტურობით, განსხვავებულობით, საშინაო და საგარეო საკითხებისადმი სხვაგვარი მიდგომით.

მსგავსს ნამდვილად არ ჰქონია ადგილი აშშ-ს პოლიტიკურ ცხოვრებაში – არც დღეს, გუშინ ან გუშინწინ. რას მოუტანს ყოველივე ეს აშშ-ს და მსოფლიოს – მომავალი გვიჩვენებს, თუმცა უკვე გვიჩვენა – დემონსტრაციების, დაპირისპირების, პრეზიდენტის უმწვავესი კრიტიკის, ზოგ შემთხვევაში პირად შეურაცხყოფაში გადასული ქუჩური ლანძღვის სახით.

ტრამპი არ ჩერდება და აგრძელებს წინასაარჩევნო კამპანიის დროს გამოთქმული დანაპირების შესრულებას. მისი მატარებელი მიქრის შეუჩერებლად, ყოველგვარი შეფერხების გარეშე – უკან იტოვებს რა ერთმანეთთან დაპირისპირებულ ქვეყანას, ორად გაყოფილ ამერიკულ საზოგადოებას.

ტრამპის პოლიტიკას არც აშშ-ს გარეთ იწონებენ, ვინაიდან მან (პოლიტიკამ) საგონებელში ჩააგდო მშვიდ, გათვლილ ცხოვრებას დაჩვეული ევროკავშირელები, თუმცა უზრუნველყოფილი არსებობის პირველი შემაწუხებელი დარტყმა მათთვის, ბრიტანეთი გამოდგა, თავისი **„ბრექსიტით“**. მანამდეც იყო მშვიდი ძილის დამაფრთხობელი მომენტები, მაგრამ არა ისეთი, ინსომნია რომ გამოეწვია. ბრექსიტმა უძილობის პირველი სიმპტომები გააჩინა, ხოლო ტრამპის გაპრეზიდენტებამ, მითუმეტეს მისმა პოლიტიკამ კიდევ უფრო გააღრმავა შეყრილი უძილობის სენი და ლამის პერმანენტულად გადააქცია.

მაგრამ განა მარტო ევროკავშირის დედაქალაქია შეშფოთებული? ნამდვილად არა! ბევრი სხვაც დააფიქრა ტრამპის განცხადებებმა. განსაკუთრებული გნიასი მოჰყვა ახალი პრეზიდენტის გადაწყვეტილებას 7 ქვეყნის მოქალაქეებისთვის აშშ-ში შესვლაზე დროებითი ბარიერის აღმართვის თაობაზე. პრეზიდენტის განმარტებით – ეს, ის მაჰმადიანური ქვეყნებია, საიდანაც ტერორისტების მოხვედრა ამერიკაში გამორიცხული არ არის.

ამ შვიდეულში პირველი ირანის ისლამური რესპუბლიკაა. დანარჩენი ექვსი – უდავოდ ბადებს ეჭვს – იქ არსებული შიდა პროცესებიდან გამომდინარე (ომები, ტერორისტული აქტები და ა.შ.), მაგრამ სიის სათავეში მყოფი ირანი, უდავოდ იწვევს გაკვირვებას, რამეთუ ეს, ის სახელმწიფოა, რომელიც ცნობილია პოლიტიკური სისტემის სიმტკიცით, წესრიგით, სახელმწიფო ორგანოების ნამდვილი ბრძოლით ტერორიზმის წინააღმდეგ.

ირანი, ის ქვეყანაა, სადაც ნულის დონეზეა დაყვანილი ტერორისტული აქტები, რითაც ის უდავოდ გამოირჩევა არა მარტო მეზობელი თურქეთის ან ერაყისგან (სადაც ყოველდღე თუ არა ყოველ კვირას ადგილი აქვს ტერორისტულ აქტებს), არამედ ევროპა-ამერიკისგანაც – თავისი ტერაქტებითა და მსხვერპლით.

ირანის ამ შვიდეულში შეყვანა უფრო სხვა რამითაა განპირობებული, ვიდრე ტერორიზმით. და ეს სხვა, ირანის ბირთვული პროგრამაა. არ მოსწონს ახალ პრეზიდენტს ხელშეკრულება, რომელიც გაფორმდა გაეროს უშიშროების საბჭოს ხუთ წევრს, გერმანიასა და ირანს შორის ობამას პრეზიდენტობის დროს.

ხელშეკრულების მიხედვით, ირანმა შეაჩერა ურანის გამდიდრების პროცესი, რაც მას არ მისცემს ბირთვული ბომბის შექმნის შესაძლებლობას, თუმცა მას ასეთი გეგმები არ ჰქონია. ხელშეკრულებით, რაც მას შეეძლება, ურანის ისეთ დონეზე გამდიდრებაა, ენერგეტიკას და მედიცინას რომ ეყოს. სანაცვლოდ, ირანს მოეხსნა სანქციების ნაწილი, მიეცა დასავლეთთან, სხვა ქვეყნებთან სავაჭრო-ეკონომიკური კავშირების აღდგენის შესაძლებლობა.

ტრამპი, როგორც ბიზნესმენი, იმთავითვე აცხადებდა, რომ აშშ-ს ადმინისტრაციამ, ირანთან ხელშეკრულების გაფორმებით, შეცდომა დაუშვა. ძნელია მტკიცება იმისა, მაჰმადიანური ირანი, აღმსარებლობის გამო ჰყავს ტრამპს ათვალწუნებული თუ ტერორიზმის ბუდის გამო, რასაც ნამდვილად არ აქვს ადგილი, რამეთუ, როგორც ზემოთ მოგახსენეთ, ირანი სწორედ ის სახელმწიფოა, ტერორიზმის წინააღმდეგ, რომ საქმით იბრძვის და არა ობამას ადმინისტრაციის მსგავსად, სიტყვით.

ტრამპს მჭიდრო ნათესაური კავშირი აქვს ებრაელებთან – ირანის ისლამური რესპუბლიკის მტრებთან. მისი სიძე, ქალიშვილის ივანკას მეუღლე ებრაელია. ეს ახალგაზრდა ბიზნესმენი აქტიურად იყო ჩართული ტრამპის წინასაარჩევნო ბატალიებში და, როგორც ამბობენ, კარგ რჩევებსაც აძლევდა მას. სწორედ ეს გახდა მთავარი საბაბი, რომ გაპრეზიდენტებულ ტრამპს ის თავის მრჩევლად დაენიშნა.

ტრამპის პრეზიდენტობა ესესაა დაიწყო და ამ მოკლე პერიოდში მან რიგი წინასაარჩევნო დაპირებებიც შეასრულა – ცხადია ბრძანებულებებზე ხელის მოწერით. თუ როგორ მოხერხდება მათი ცხოვრებაში გატარება, უახლოესი მომავალი გვიჩვენებს. მომავალი იმასაც დაგვანახებს, რა გზას აირჩევს პრეზიდენტი (კონფრონტაციულს თუ შემრიგებლურს) ჩინეთთან და ირანთან მიმართებაში.

ის, რომ ტრამპი რუსეთთნ შემრიგებლური პოლიტიკის მომხრეა – უეჭველია. ერთი წელიწადია ტრამპი ამის შესახებ ლაპარაკობს. მას პოზიცია არ შეუცვლია. რაც შეეხება ჩინეთ-ირანს, მათზეც ლაპარაკობდა და ლაპარაკობს ტრამპი, თუმცა უარყოფითად. გააგრძელებს ის ამ ჭრილში ლაპარაკს? ძნელი დასაჯერებელია, ვინაიდან ჩინეთიც და ირანიც ის ქვეყნებია, რომლებიც განსხვავებულ ურთიერთობას საჭიროებენ.

ჩინეთი, მეორე ეკონომიკაა მსოფლიოში და დედამიწის ქარხანად არის მიჩნეული. ეს, ის ქვეყანაა, რომელიც უხვად ასაღებს თავის პროდუქციას არა მარტო აშშ-ი, სხვაგანაც. ეს, ის ქვეყანაა, რომელიც ყოველდღიურად ძლიერდება, როგორც ეკონომიკურად, ისე სამხედრო კუთხით. ეს, ის ქვეყანაა, რომელიც ყოველდღიურად ახსენებს მსოფლიოს საკუთარი პოლიტიკური ინტერესების შესახებ – ჩინეთის ზღვა იქნება თუ სხვა რეგიონი. ჩინეთი ანგარისგასაწევი ძალაა და მასთან დაპირისპირება არაფერს მისცემს ტრამპს, გარდა პრობლემებისა.

არც ირანია ხელწამოსაკრავი სახელმწიფო. ის, რომ ამ ქვეყნის შესახებ არაერთხელ თქვა აშშ-ს პრეზიდენტმა, აშკარა მანიშნებელია ირანის წონის შესახებ (პოლიტიკური წონა მაქვს მხედველობაში). ეს, ის ქვეყანაა, რომელსაც 1979 წლამდე მჭიდრო ურთიერთობა ჰქონდა აშშ-ნ, ევროპის ქვეყნებთან, ისრაელთან. შაჰის ირანი აშშ-ს სტრატეგიული პარტნიორი იყო რეგიონში. მას ხშირად **„ამერიკის ჟანდარმადაც“** მოიხსენიებდნენ. ამას 1979 წლამდე ანუ ირანის ისლამურ რევოლუციამდე ჰქონდა ადგილი.

1979 წლის თებერვალში მოხდა ირანის ისლამური რევოლუცია, რომელმაც არა მარტო ირანის ცხოვრება შეცვალა, არამედ რეგიონისა და მსოფლიოს. 1979 წლის თებერვალში დაბრუნდა ირანში შაჰ რეზა ფეჰლევის მიერ ქვეყნიდან გაძევებული აიათოლა ჰომეინი – ირანელი ხალხის სულიერი ლიდერი, რომელმაც 15 წელი დაჰყო გადასახლებაში. გადასახლების 15 წელი იყო ირანელი ხალხის თავისუფლებისთვის შეწირული წლები, რომლის კულმინაციაც თებერვალი გახდა. ხალხმა, დისტანციაზე მყოფი ლიდერის თაოსნობით, მოაწყო რევოლუცია და აიძულა მუჰამედ რეზა ფეჰლევი ირანს გაცლოდა. 1979 წლის თებერვალს აიათოლა ჰომეინი დაბრუნდა სამშობლოში. მის დასახვედრად მრავალმილიონიანი დედაქალაქი თეირანი ფეხზე დადგა.

სამშობლოში დაბრუნებისთანავე შეუდგა სულიერი ლიდერი ახალი, ისლამური სახელმწიფოს შენებას – ჯერ არნახულის, არგაგონილის. აიათოლა ჰომეინის ძალისხმევით შეიქმნა ქვეყანა, რომელიც მტკიცე რელიგიურ ფუნდამენტზე დგას და მაჰმადიანური მოძღვრებიდან (შიიტური) გამომდინარე აკონტროლებს საკანონმდებლო, აღმასრულებელ და სასამართლო სისტემას. საყოველთაო არჩევითობა უდგას საფუძვლად სამივე შტოს. თვით ქვეყნის მმართველის, სულიერი მეთაურის ლეგიტიმურობის საყრდენი, არჩევითობაა. აიათოლა ჰომეინიმ სახელმწიფო მართვის ისეთი სისტემა შექმნა – ყველა შტო რომ ექვემდებარება მკაცრ კონტროლს. მსგავსი სახელმწიფო სისტემა უნიკალურია – მას ვერც ერთ ქვეყანაში ვერ შეხვდებით.

1979 წლიდან დაწყებული საკმაო დრო გავიდა, თუმცა ისტორიისთვის ერთი პატარა გაელვება, მაგრამ მან უდიდესი გარდაქმნა და წინსვლა არგუნა ირანელ ხალხს. ახალგაზრდა სახელმწიფომ, ისტორიულად უძველესმა, თავისი ახალი ცხოვრება დასავლეთთან, უპირველესად აშშ-ნ კონფრონტაციით დაიწყო. ღმერთია მოწმე, რომ ინიციატორი დაპირისპირებისა ოფიციალური თეირანი არ ყოფილა. აშშ-ა, ირანის შაჰის მუჰამედ რეზა ფეჰლევის მხარდამჭერმა, ახალ ხელისუფლებასთან სხვა ვერაფერი გამონახა, გარდა დაპირისპირებისა. ამ საქმეს ხან პირდაპირ, ხან სხვისი ხელით ახორციელებდა.

სხვისი ხელით ანუ ერაყის დიქტატორის სადამ ჰუსეინის. სწორედ აშშ-ს წაქეზებით დაიწყო სადამ ჰუსეინმა ომი ირანის ახალგაზრდა სახელმწიფოს წინააღმდეგ, რომელიც 8 წლის განმავლობაში მიმდინარეობდა. ამ ომს ვერაფრით უწოდებთ ორი სახელმწიფოს ომს. ამ ომს – მრავალი სახელმწიფოს ომი ჰქვია ერთ ქვეყანასთან. მრავალში – აშშ-ი, ევროკავშირის ქვეყნები და ახლო აღმოსავლეთის მონარქიული სახელმწიფოები, ისრაელი და სხვები იგულისხმება. ერთში კი – ირანის ისლამური რესპუბლიკა.

მიზანი ამ არათანაბარი ომისა იყო ისლამური ირანის ხელისუფლების დამხობა და ჰომეინის მიერ შექმნილი სახელმწიფო მართვის სისტემის პირისაგან მიწისა აღგვა. აშშ-ა, კოლექტიურმა დასავლეთმა, სადამ ჰუსეინმა, სხვებმა დათმეს პოზიციები. ისინი დამარცხდნენ ახალგაზრდა ირანთან უთანასწორო ომში.

ირანის ისლამურმა ხელისუფლებამ, რომელმაც გაუძლო უმკაცრეს გამოცდას, ახალი ძალით შეუტია მის წინაშე არსებულ პრობლემებს და დაანახა მსოფლიოს, რომ ირანელი ხალხის რევოლუციური შემართება, საგარეო თუ საშინაო გამოწვევებს ქედს არ შეუხრის.

დასავლეთმა მეორე გზა აირჩია – ეკონომიკური სანქციების გზა. და ის, რაც ომით ვერ მოახერხა, ეკონომიკური ბერკეტების გამოყენებით შეეცადა ირანის დაჩოქებას. მეორე გამოწვევასაც გაუძლეს ირანელებმა და შექმნეს არა სხვაზე, არამედ საკუთარ თავზე დამოკიდებული ეკონომიკა.

თანამედროვე ირანი ის სახელმწიფოა, რომელიც ამზადებს ფოლადსა და კბილის პასტას, ტანკსა და პამპერსს, სარეცხ ფხვნილსა და ავტომანქანას. ამ ქვეყანას ერთობ განვითარებული სამეცნიერო კადრები ჰყავს. მისი მედიცინა სანიმუშოა რეგიონში და არა მარტო. არც ერთი მსოფლიო კინო-ფორუმი ისე არ ტარდება, რომ ირანელი კინორეჟისორის სახელმა არ გაიჟღეროს.

ირანი ცნობილია ნავთობითა და გაზით. 2012 წელს ევროკავშირმა, ირანისთვის დაწესებული სანქციებიდან გამომდინარე, აუკრძალა თავის წევრ სახელმწიფოებს ირანული ნავთობის იმპორტი. წელს კი, **„ირან-„ხუთეულის“, პლუს გერმანია“** ხელშეკრულების დადებიდან გამომდინარე, ირანმა ნიდერლანდების პორტში, საკუთარი ტანკერებით ჩაიტანა 317.367 ტონა (ტანკერი „Huge“) და 318.021 ტონა (ტანკერი „Snow“) მძიმე და მსუბუქი ხარისხების ნავთობი. ირანი დღიურად ამზადებს 3,9 მილიონ ბარელ ნავთობს, რითაც ირანი უახლოვდება მიზანს – 4 მილიონი ბარელი (დღეში). ამ რაოდენობის ნავთობს ამზადებდა ირანი სანქციებამდე.

ფოლადის მსოფლიო წარმოების ასოციაციის მონაცემებით, ირანის მეტალურგიულმა ქარხნებმა 2016 წელს გამოიმუშავეს 17,89 მილიონი ტონა ფოლადი, რაც 10,8%-ით მეტია წინა წელთან შედარებით. ფოლადის გამოდნობით ირანი მეექვსე ადგილზეა იმ ქვეყნებს შორის, რომლებიც სწრაფად ვითარდებიან ამ სფეროში: სერბეთი (22,7%), პაკისტანი (22,8%), საბერძნეთი (31,8%), ლიბია (39,8%) და მაკედონია (62,2%).

ჩინეთი და ინდოეთი ის ქვეყნებია, სადაც ფოლადის წარმოება უწინდებურად იზრდება. 2016 წელს ჩინეთზე მოდიოდა მსოფლიო ფოლადის წარმოების ნახევარი. მოწინავე ქვეყნების ჩამონათვალი ასეთია: ჩინეთი – 808,37 მილიონი ტონა, იაპონია – 104,77 მილიონი ტონა, ინდოეთი – 95, 61 მილიონი ტონა, აშშ-ი – 78,61 მილიონი ტონა, რუსეთი – 70,8 მილიონი ტონა, სამხრეთ კორეა – 68,56 მილიონი ტონა, გერმანია – 42,08 მილიონი ტონა, თურქეთი – 33,16 მილიონი ტონა, ...ირანი მე-14 ადგილზეა.

ირანის მეტალურგებმა საექსპორტოდ გაიტანეს 4,12 მილიონი ტონა ნედლი ფოლადი და ფოლადის ნაწარმი. წლის ბოლომდე მათ განზრახული აქვთ ექსპორტის 5,7 მილიონ ტონამდე გაზრდა.

ქვეყანას განზრახული აქვს ფოლადმწარმოებელთა შორის მე-6 ადგილის დაკავება ანუ 2025 წლამდე, წლიურად 55 მილიონი ტონის წარმოება. აშშ-ს ანალიტიკური პორტალის „The American Interest“-ის მიხედვით, **„2016 წლის მსოფლიო უდიდეს ქვეყნებში“** რუსეთმა გერმანიას გაუსწრო, ირანმა კი მე-7 ადგილი დაიკავა აშშ-ს, ჩინეთის, იაპონიის, რუსეთის, გერმანიის, ინდოეთის შემდეგ.

ირანის სხვა მიღწევების ჩამოთვლა შორს წაგვიყვანს. ირანის ისპაჰანის მეტალურგიული და ავტომშენებელი ქარხნების დათვალიერების შედეგად უდავოდ შემექმნა ისეთი შთაბეჭდილება, თითქოს ევროპის ან იაპონიის მოწინავე ქარხნებში ვიმყოფებოდი. აღნიშნული საწარმოები, უფრო სწორად გიგანტები, ისეა ორგანიზებული და განლაგებული, სიმწვანეში ჩაფლული, ხელოვნური ტბებით და მუშა-მოსამსახურეთა რეკრიაციული ზონებით, უდავოდ ხიბლავს მნახველს.

სამწუხაროდ, თანამედროვე ირანის შესახებ საქართველოში ნაკლებად იციან. 25 წლის განმავლობაში საქართველოს ხელისუფალთა დასავლეთისკენ ორიენტაციამ არათუ მეზობლები, არამედ საკუთარი თავიც დაგვავიწყა. ირანი, 80-მილიონიანი სახელმწიფო, განვითარებული ეკონომიკითა და მეცნიერებით, ხელოვნებით და კულტურით საინტერესო უნდა იყოს ჩვენი ქვეყნისთვის.

ეს, ის ქვეყანაა, რომელმაც პირველმა გამოგვიწოდა დახმარების ხელი დამოუკიდებელი ცხოვრების გაუსაძლის წლებში. სწორედ მაშინ, საქართველოში ჩამოსულმა ირანის პრეზიდენტმა რაფსანჯანიმ დიდი წვლილი შეიტანა ახალგაზრდა საქართველოს ფეხზე დგომის საქმეში. ყოფილი პრეზიდენტი სულ ახლახანს გამოეთხოვა ამ წუთისოფელს, მაგრამ მის მიერ გაკვალულ გზას სხვები აგრძელებენ.

კიდევ ერთი პიროვნება, მეცნიერი, საზოგადო მოღვაწე, დიპლომატი, საქართველოს პირველი ელჩი ირანში, წავიდა ამ ქვეყნიდან – ჯემშიდ გიუნაშვილი, ირანში დაბადებული და გაზრდილი, საქართველოს სამსახურში გამორჩეული პიროვნება. გასული საუკუნის 90-იანი წლებიდან დაწყებული 2004 წლამდე – ის, ირანში საქართველოს ელჩის რანგში, ასრულებდა საქმეს, რომელსაც 2 ქვეყნის ერთმანეთთან თანამშრომლობა ჰქვია.

საქართველოს სჭირდება ისეთი მეზობლები, რომლებთანაც ურთიერთობა ხელს შეუწყობს ქვეყნის განვითარებას. ქართული პოლიტიკა, ცალსახად ევროატლანტიკური სივრცისკენ მიმართული, გაცილებით წამგებიანია, ვიდრე მრავალმხრივი ურთიერთობა. შორეულ ნათესავს, თუმცა ასეთი საქართველოს დასავლეთში არ ჰყავს, მეზობელი სჯობს, რაც კარგად უნდა იცოდეს ქართულმა პოლიტიკამ. მან ისიც უნდა იცოდეს, რომ ვიღაცის კარნახით კარის მეზობლის განაწყენება ქვეყანას კარგს არ მოუტანს.

აკი არ მოუტანა? როდესაც აშშ-ს კარნახით **„საოცნებო“** ხელისუფლებამ ისე დაძაბა ირანთან (რუსეთთან არაფერს ვამბობ) ურთიერთობა, რომ აწყობილი ორმხრივი კავშირები ლამის ქარს გაატანა. შედეგი – მილიონობით დაკარგული დოლარი, ტურიზმის შემცირება და სხვა. მოგვიანებით (3 წლის შემდეგ), ირანთან დაკავშირებით მსოფლიო კონიუნქტურის ცვლამ უბიძგა ქვეყანას ძველი კავშირების აღდგენისკენ.

დღეს, სხვა ვითარებაა და უნდა ვიმედოვნოთ, რომ მსგავს ნეგატიურ მომენტს ორი ქვეყნის ურთიერთობაში ადგილი არ ექნება. უნდა ვიმედოვნოთ, რომ აშშ-ს ახალი პრეზიდენტის კონფრონტაციულ ნაბიჯს ირანთან მიმართებაში, **„საოცნებო“** ხელისუფლება ფეხს არ აუბავს და ერთხელ მაინც დაიცავს საკუთარ სუვერენიტეტს, დამოუკიდებლობას, ისე, როგორც ამას ირანის ისლამური რესპუბლიკა აკეთებს 1979 წლიდან დაწყებული დღემდე.

**ჰამლეტ ჭიპაშვილი,**
**პოლიტოლოგი**

**ვუსამძიმრებთ ჩვენს მეგობარსა და კოლეგას სპარტაკ ქობულიას ძმის**

**აკაკი ქობულიას**

**გარდაცვალების გამო**

*ალექსანდრე შენგელია, როლანდ ჯალაღანია*

# ლავრენტი ბერია – *საბჭოთა კავშირის ცილდაწამებული გმირი*



***(გაგრძელება წინა ნომრიდან)***

მაგრამ საქართველოს, სომხეთისა და აზერბაიჯანის ეკონომიკის ძარცვა არ იყო შემოფარგლული მხოლოდ ბუნებრივი წიაღისეულის ქურდობით.

1930 წლის 14 მარტს, მოსკოვში, მთავარ პოლიტიკურ სამმართველოში გაიგზავნა დაწვრილებითი მოხსენებითი ბარათი ამიერკავკასიის პოლიტსამმართველოს უფროსის ს.ფ. რედენსისა და ოპერატიულ-სამძებრო განყოფილების უფროსის ლ.პ. ბერიას ხელმოწერით, რომელშიც, სხვასთან ერთად აღნიშნული იყო რომ: "ახლად შექმნილი უამრავი კოოპერატივის სათანადო გამგებლობის ქვეშ აყვანის საქმეში არსებული ხარვეზების გამო, აგრეთვე სხვადასხვა სახის გადახრების, შიდასაკოლმეურნეო საქმეებში გაურკვევლობისა და ანტისაბჭოთა და კულაკური ელემენტების აქტიურობის შედეგად მრავალ რაიონებში ადგილი აქვს მასიურ ანტისაკოლმეურნეო გამოსვლებს, რომელთაც პოლიტიკური ელფერი დაჰკრავთ... მიმდინარეობს კოლმეურნეობათა დაშლის აქტიური პროცესები, რომელთაც ხშირად თან ახლავს სასოფლო საბჭოთა დარბევები, სოფლიდან კომკავშირელებისა და პარტიული აქტივების წევრთა გამოძევება და ცემა. აღნიშნულის აღსაკვეთად არაა საკმარისი განმარტებითი სამუშაოები და ხშირად გვიწევს მილიციისა და სამხედრო ძალების გამოყენება, მაგრამ ვერიდებოდით დამნაშავე ელემენტების მასობრივად დაპატიმრებას, რამაც ხალხში შექმნა ბოლშევიკური მართვის სისტემის უსუსურობის განცდა... ეს კი სტიმულს აძლევს მტრულად განწყობილ ელემენტებს..."

აღნიშნული მოხსენებითი ბარათი არ დარჩენილა სტალინის ყურადღების მიღმა. 1931 წლის 17 აგვისტოს სტალინმა მისწერა კაგანოვიჩს:

*"ახლა ჩემთვის ნათელია, რომ ქართველიშვილმა (საქართველოს საკავშირო ბოლშევიკური პარტიის ამიერკავკასიის სამხარეო ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივანი), თავისი უაზრო "პურისდამამზადებელი პოლიტიკით", საქართველოს ბევრი რაიონი მიიყვანა შიმშილის პირამდე. ვერ შეუგნიათ, რომ ხორბლის დამზადების უკრაინული მეთოდი მიუღებელია იმ რეგიონისათვის, რომელიც არ ითვლება ხორბლის მომყვან მხარედ. ისინი აპატიმრებენ ასობით ადამიანს, მათ შორის პარტიულებსაც, რომლებიც თანაუგრძნობენ უკმაყოფილოებს და არა საქართველოს ცეკას. მაგრამ, დაპატიმრებებით შორს ვერ წახვალ. საჭიროა გავზარდოთ შემოსატანი პურის მოცულობა (ახლავე), ყოველგვარი გადავადების გარეშე. წინააღმდეგ შემთხვევაში შეიძლება მივიღოთ პურის ბუნტი, მიუხედავად იმისა, რომ ხორბლის პრობლემა უკვე მოგვარებული გვაქვს. აუცილებელია, რომ პოლიტბიურომ დაავალოს ამხ. მიქოიანს დააჩქაროს ხორბლის დასავლეთ საქართველოში შეტანა... სხვაგვარად თავიდან ვერ ავიცილებთ პოლიტიკურ სკანდალს".*

როგორც ჩანს, უკრაინული მეთოდების "მიზანშეწონილობის" თაობაზე სტალინს მოახსენებდნენ იგივე "ქართველიშვილები", ოღონდ აშკარა კიევური აქცენტით.

1933 წლის მოვლენების შემსწრე, სასწაულებრივად გადარჩენილი ვ. პახარენკო (ჩერკასიის ოლქი) მოგვითხრობდა:

"მაშინ ხელისუფლების ყველა ორგანოებში, სოფლსაბჭოებიდან დაწყებული და კოლმეურნეობათა მმართველობით დამთავრებული, ახერხებდნენ შეძრომას ყველაზე ეშმაკი ადამიანები, არასანდო ტიპები, უმეტესწილად უსაქმურები და ლოთები, არც თუ იშვიათად სხვადასხვა ყალიბის ბანდიტებიც, რომლებიც დროულად უღებდნენ ალღოს შექმნილ პოლიტიკურ და ეკონომიკურ სიტუაციებს. ხშირად ტარდებოდა რევიზიები გლეხებისაგან პროდუქტების ამოღების მიზნით. გაწამებული ადამიანები იძულებულნი იყვნენ გადაემალათ თუნდაც რამდენიმე მუჭი ხორბალი სახელდახელოდ გათხრილ ორმოებში, ჭებში, სხვენზე, ზოგჯერ კი ხორბალს ძონძის თოჯინებში ათავსებდნენ. მაგრამ მაინც პოულობდნენ – ძალზე მონდომებულად ეძებდნენ ხორბალს რაიონის ან სამხარეო ცენტრიდან მოვლენილი გალიფეიანი და ნაგანიანი ტიპები და ადგილობრივი აქტივისტები. ჩვენთან, წითელ სლობოდაში და ახლომდებარე სოფლებში, ჩამოართვეს გლეხებს და ჩერკასკში გააგზავნეს სასწაულებრივად გადარჩენილი ძროხები. იქ საქონელი მოათავსეს ვაგონებში, დაუყენეს დაცვა და იცავდნენ მანამ, ვიდრე ყველა საქონელი არ გაწყდა. შემდეგ ვაგონები ქალაქიდან გაიყვანეს და დახოცილი საქონელი ნაგავსაყრელზე გადაყარეს..."

ქართველი "გენაცვალე-ამხანაგები" დიდად არ განსხვავდებოდნენ უკრაინელი "ხლოპცებისაგან" და ციმბირელი ეიჰეებისაგან.

**საბჭოთა კავკასიის ეკონომიკური სივრცის საჯდომის ქვეშ ამოდების ყოველგვარ მცდელობას, დასავლეთის დაინტერესებული კორპორაციების მხრიდან (არც თუ იშვიათად – საკმაოდ წარმატებულსაც), რომლებიც მჭიდროდ იყვნენ დაკავშირებული ტროცკისტულ იატაკქვეშეთთან და ხაზინის უბრალო ქურდებთან, სასტიკ წინააღმდეგობას უწევდნენ ამიერკავკასიის პოლიტსამმართველოს ორგანოები და პირადად ლავრენტი პავლეს ძე ბერია.**

ამიტომ არ უნდა გაგვიკვირდეს ბერიას ამგვარი თავბრუდამხვევი კარიერული ზრდა. 1924 წლის აგვისტოში იგი ხდება საკავშირო პოლიტსამმართველოს წარმომადგენლობის საიდუმლო-ოპერატიული ნაწილის უფროსი, ამიერკავკასიის პოლიტსამმართველოს უფროსის მოადგილე და საქართველოს პოლიტსამმართველოს უფროსი. 1929 წელს იგი უკვე ერთდროულად ხელმძღვანელობს ამ სამივე უწყებას. ამასთან, მას კატეგორიულად არ უყვარს თავისი სამუშაო...

ლავრენტი ბერიას შვილი სერგო თავის ერთ-ერთ ინტერვიუში იხსენებდა:

*"თქვენ გაოცდებით, როცა გეტყვით, რომ მამას ყოველთვის უნდოდა საგანგებო კომისიიდან და ცენტრალური კომიტეტიდან წასვლა. იგი ოცნებობდა დაესრულებინა სამსახური, გამხდარიყო ინჟინერი და ყოფილიყო წარმატებული ამ სფეროში. სასწავლებლის შემდეგ მან ექსტერნად ჩააბარა გამოცდები და ბაქოს პოლიტექნიკური ინსტიტუტის სამშენებლო ფაკულტეტის სამი კურსი დახურა..."*

1930 წლის მიწურულს გ. (სერგო) ორჯონიკიძემ ბერიასაგან შემდეგი შინაარსის წერილი მიიღო:

**"მე ვფიქრობ, რომ ჩემი ამიერკავკასიიდან წასვლა უკეთესიც იქნება. განა ფაქტი არ არის, რომ ამიერკავკასიის ჩეკაში მუშაობის ათი წლის განმავლობაში მე საკმარისად მოვაბეზრე თავი არა მხოლოდ ანტისაბჭოთა ელემენტებსა და კონტრრევოლუციონერებს, არამედ ზოგიერთ ჩვენს მეგობარსაც. არა მგონია მათ არ გაეხარდეთ იმ ადამიანის წასვლა, ვინც თავი გააბეზრა მუდმივი ბუზღუნით მათი ნაკლოვანებების თაობაზე. მათ უნდათ, რომ დადებითი სურათი დახატონ, მაშინ, როცა საამაყო არაფერი გვაქვს".**

23 წლის შემდეგ, 1953 წელს ბერიას ეს წინასწარმეტყველება, სამწუხაროდ, სრულად ახდა. მაგრამ მაშინ, 30-იან წლებში ბერიას ამ თხოვნას სულ სხვა თვალით უყურებდნენ.

დაიღალა ჩეკისტი? დიახ, დაიღალა... მაგრამ ეს არ უნდა ეღიარებინა. ისეთებს, როგორიც ბერია იყო, სტალინი "ნამცეცნამცეც აგროვებდა" და ასე ცდილობდა **კადრების** შიმშილთან გამკლავებას, რომელიც პურის კრიზისთან ერთად საფრთხის ქვეშ აყენებდა ძლივს ფეხზე წამომდგარი სახელმწიფოს მომავალს.

**"კადრები წყვეტენ ყველაფერს",** – თქვა სტალინმა კრემლში 1935 წელს სამხედრო აკადემიების კურსდამთავრებულებთან შეხვედრისას. და დაამატა: "ყველაზე ფასეული კაპიტალია ხალხია".

სწორედ კადრები წყვეტდნენ მოღონიერებული საბჭოთა კავშირის ბედს როგორც გამარჯვების, ასევე წარუმატებლობის ბედსაც. სწორედაც რომ ადამიანები და არაადამიანები ადგენდნენ თავიანთი შრომით ტრიუმფებისა და დანაშაულებრივი შეცდომების ქრონოლოგიას. და სტალინმა ეს ყველაზე კარგად იცოდა... ამიტომაც იყო, რომ კადრების დეფიციტის გამო უღონოდ შლიდა ხოლმე ხელებს.

აი, ფრაგმენტი წერილიდან, რომელიც სტალინმა გაუგზავნა კაგანოვიჩს 1932 წლის 12 აგვისტოს.

"ბერია კარგ შთაბეჭდილებას სტოვებს. კარგი ორგანიზატორია, საქმიანი, ნიჭიერი მუშაკია. ვაკვირდები და კავკასიაში კადრებთან მუშაობის პროცესებს, ვრწმუნდები, რომ **სერგო დიდი უთავბოლო ვინმეა...** სერგო (ორჯონიკიძე) რეკომენდაციას უწევდა საქართველოს კომპარტიის ცეკას პირველ მდივნად მამულიას, მაგრამ ახლა ნათელია (ბრმისთვისაც კი), რომ მამულია ბერიას მარცხენა ფეხადაც კი არ ღირს. ვფიქრობ, რომ ორახელაშვილი უნდა გავანთავისუფლოთ დაკავებული თანამდებობიდან (თავადაც მუდამ ამას ითხოვს). მიუხედავად იმისა, რომ ბერია არ არის ცეკას წევრი (არც კანდიდატი), მისი კანდიდატურა მაინც უნდა წამოვაყენოთ ამიერკავკასიის სამხარეო კომიტეტის პირველ მდივნად. პოლონსკი (მისი კანდიდატურა) არ ვარგა, რადგან მან არ იცის არცერთი ადგილობრივი ენა.

კომუნისტური სალმით!

ი. სტალინი"

სამწუხაროა, რომ საბჭოთა ინდუსტრიის დიდი ფლაგმანის სერგო ორჯონიკიძის სიცოცხლე ტრაგიკულად შეწყდა 1937 წლის 18 თებერვალს. ესეც კადრებთან მუშაობაში დაშვებული შეცდომების გამო მოხდა.

მრეწველობის სფეროში მავნებლური საქმიანობის შედეგად მიყენებულმა ზარალმა აიძულა პოლიტბიურო, რომ 1937 წლის 7 თებერვალს მიეღო დადგენილება ქვეყანაში მსხვილი საწარმოებისა და ელექტროსადგურების დაცვის გაძლიერების შესახებ. სერგოსათვის ცნობილი გახდა მისი სახალხო კომისარიატის საკადრო შემადგენლობის კონტრდაზვერვის მიერ შემოწმების შედეგები, რომელზეც მაშინ ფაქტიურად იყო დამოკიდებული საბჭოთა კავშირის სამხედრო-სამრეწველო კომპლექსის ბედი, რაც ფაქტობრივად საბჭოთა კავშირის თავდაცვისუნარიანობის ინდიკატორი გახლდათ. ამ შემოწმებამ გამოავლინა, რომ სახალხო კომისარიატის 71 თანამშრომელი წარსულში თეთრგვარდიელთა ოფიცერი იყო, 287 კაცი მეფის არმიაში მსახურობდა, 84 კაცი გასამართლებული იყო კონტრრევოლუციური მოღვაწეობისათვის, 41 კაცი გასამართლებული იყო სამსახურეობრივი გადაცდომისათვის, 131 კაცი იყო ყოფილ მრეწველთა და ფაბრიკა-ქარხნების მფლობელთა შთამომავალი, 131 პიროვნება თავადაზნაურობის წრის წარმომადგენელი იყო, 73 კაცი იმ სამღვდელოების ოჯახებს წარმოადგენდნენ, რომლებიც დიდად დაზარალდნენ საბჭოთა ხელისუფლების დამყარების პირველ წლებში. ესე იგი, სერგო ორჯონიკიძის უწყებაში დასაქმებული 828 კადრი არც თუ დიდი სიმპათიით იყო განწყობილი საბჭოთა ხელისუფლების მიმართ. და ეს ხდებოდა საბჭოთა მრეწველობის გულში, რომელზეც მთლიანად იყო დამოკიდებული საბჭოთა კავშირის თავდაცვისუნარიანობა. ამასთან, სსრკ შინსახკომის საგარეო დაზვერვამ მოიპოვა უტყუარი ცნობები იმის თაობაზე, რომ ჩვენი ქვეყნიდან ფაშისტურ გერმანიაში მუდმივად ჟონავდა საიდუმლო ინფორმაცია საბჭოთა მძიმე და თავდაცვის მრეწველობის სფეროებიდან. როგორ? ამის თაობაზე მალე მოგითხრობთ დაწვრილებით.

ლავრენტი პავლეს ძე ბერიას კარიერული წინსვლა სრულიადაც არ გახლდათ განპირობებული სერგო ორჯონიკიძის საკადრო სიბეცითა და სხვა გადაცდომებით.

1931 წლის 26 აგვისტოს სტალინი სწერდა კაგანოვიჩს:

*"გამარჯობათ, ამხანაგო კაგანოვიჩო! გწერთ კავკასიის საქმეებზე. ამას წინათ ჩემთან იყვნენ კავკასიის სამხარეო კომიტეტისა და საქართველოს ცენტრალური კომიტეტის მდივნები, ასევე აზერბაიჯანის რამდენიმე მუშაკი (მათ შორის პოლონსკიც). მათ ინტრიგებს დასასრული არ უჩანს, რომელიც მალე არ დამთავრდება... მე შევეცადე მათ შერიგებას, მაგრამ, როგორც ჩანს, არც ეს მშვიდობა გაგრძელდება დიდი ხნის განმავლობაში. იტყუებიან და ინტრიგანობენ თითქმის ყველანი, დაწყებული ქართველიშვილიდან. არ იტყუებიან მხოლოდ ბერია, პოლონსკი და ორახელაშვილი. მაგრამ პოლონსკი ხშირად იქცევა უტაქტოდ და უშვებს შეცდომებს. ყველაზე არასასიამოვნო შთაბეჭდილებას სტოვებს მამულია (საქართველოს კომპარტიის ცეკას მდივანი)... კომიკური პერსონაჟის შთაბეჭდილებას სტოვებს საქართველოს სახკომსაბჭოს თავმჯდომარე სუხიშვილი – უწყინარი მოსულელო ტიპია...*

*თუ საქმეში არ ჩავერევით, ამ ადამიანებს თავისი სისულელით უამრავი რამის გაფუჭება შეუძლიათ. მათ უკვე ჩასვარეს გლეხებთან დამოკიდებულების საქმეები საქართველოში. საქართველოს ცეკას და ამიერკავკასიის სამხარეო კომიტეტის სერიოზული ჩარევის გარეშე საქმეს გამოსწორების პირი ნამდვილად არ უჩანს. რა ვქნათ? ჩემის აზრით, საჭიროა:*

*სექტემბრის მიწურულს ორგბიურომ მოამზადოს ანგარიში შექმნილი მდგომარეობის შესახებ;*

*მკაცრად მოვთხოვოთ დამნაშავეებს და მამულიას ტიპის მუშაკები მოიხსნან დაკავებული თანამდებობებიდან;*

*ამიერკავკასიის სამხარეო კომიტეტის მესამე მდივნად დაინიშნოს ჟ.ი. მეერზონი (ამ დროისათვის იგი იყო საკავშირო კომპარტიის საორგანიზაციო განყოფილების გამგე და 1932 წელს დაინიშნა ამიერკავკასიის სამხარეო კომიტეტში) და მიეცეს მას სათანადო ინსტრუქტაჟი... ამგვარი ღონისძიებების გარეშე საქმე ამიერკავკასიაში საერთოდ დაიღუპება.*

*სტალინი, 26 აგვისტო, 1931 წელი"*

ახლა კი პროტოკოლურად, ტელეგრაფის სტილში.

1931 წლის 31 ოქტომბერს საკავშირო კომპარტიის ცეკას პოლიტბიურომ რეკომენდაცია მისცა ლავრენტი ბერიას ამიერკავკასიის სამხარეო პარტიული კომიტეტის მეორე მდივნის თანამდებობაზე, 1931 წლის 14 ნოემბერს კი იგი ამიერკავკასიის სამხარეო პარტიული კომიტეტის პირველი მდივანი გახდა და საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივნის თანამდებობაც შეინარჩუნა. ამავდროულად იგი არჩეული იქნა საკავშირო კომპარტიის აზერბაიჯანის და სომხეთის ცენტრალური კომიტეტების წევრად. 1936 წლის 5 დეკემბერს ამიერკავკასიის სამხარეო კომიტეტი დაიშალა სამ რესპუბლიკურ პარტიულ ორგანიზაციად. ეს მოხდა საკავშირო კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის 1937 წლის 23 აპრილის დადგენილებით.

**თარგმანი როლანდ ჯალაღანიასი,**
**(გაგრძელება იქნება)**

# ვიზა-ლიბერალიზაცია და დემოგრაფიული პრობლემები საქართველოში

ვიზა-ლიბერალიზაცია ლათინური სიტყვებია და ქართულად ნიშნავს უცხო ქვეყანაში (ან ქვეყნებში) თავისუფლად შესვლის უფლებას. თუ მას ისტორიულ ასპექტში განვიხილავთ, მაშინ ვიზა-ლიბერალიზაცია არის ხალხთა მიგრაციის ერთ-ერთი ფორმა, ერთი ქვეყნიდან მეორეში.

მსოფლიოს ხალხთა ისტორიას ახსოვს მიგრაციის მრავალი ფორმა, რომელსაც სხვადასხვა ხალხისათვის სხვადასხვა შედეგი მოჰქონდა. მიგრაციის უსასტიკესი ფორმები არც დედა საქართველოსათვისაა უცხო **„ხილი“**. ქართველი ხალხი თავისი მიწა-წყლის უსაზღვროდ მოსიყვარულე და დამცველი, ათასი წლების განმავლობაში არაერთხელ იქნა აყრილი თავის მიწა-წყლიდან და მიგრირებული უცხო მხარეში. ასევე ადგილი ქონდა უცხოტომელთა ძალით შემოსახლებას ჩვენი ქვეყნის ტერიტორიაზე, რომლის არასასიამოვნო კვალი დღესაც სახეზეა. ყველაფერი ამას მტერი აკეთებდა ქართველი ერის გასანადგურებლად, ან კიდევ ქვეყანაში უარყოფითი დემოგრაფიული ბალანსის დასამკვიდრებლად.

აქედან გამომდინარე, არცერთი ფორმა მასობრივი მიგრაციისა, არც ძალდატანებითი და არც მშვიდობიანი არ უნდა იყოს სიკეთის მომტანი, ისეთი მცირე ერისათვის, როგორიც საქართველოა.

ახლა ცოტა რამ იმაზე, თუ რა მოუტანა იძულებითმა მიგრაციებმა საქართველოს მოსახლეობას უკანასკნელი 20-25 წლის მანძილზე.

საბჭოთა სისტემის დანგრევამდე, 1992 წლის აღწერით საქართველოს მოსახლეობა შეადგენდა 5 მილიონ 467 ათას კაცს, ხოლო ინტენსიური მიგრაციების შედეგად 2002 წელს უარყოფითმა სალდომ 1 მილიონ 200 ათასი კაცი შეადგინა.

საბჭოთა სისტემის დანგრევამ, რომლის ერთ-ერთი ინიციატორიც ჩვენი ერის წარმომადგენელი იყო, ყველაზე დიდი ზარალი და უბედურება საქართველოს მიაყენა. ერთი ხელის მოსმით განიავდა და დატაცებული იქნა ქვეყანაში 70 წლის განმავლობაში ხალხის სისხლითა და ოფლით შექმნილი უდიდესი სიმდიდრე, მიწასთან გასწორებულ იქნა სოფლებში ყველა საწარმო. ქალაქებში დანგრეული იქნა ფაბრიკა-ქარხნები. ვისაც ხელი მიუწვდებოდა ჯართად ჩააბარა მცირე, დიდი თუ უდიდესი ფაბრიკა-ქარხნები. უმეტეს წილად შეწყდა მსოფლიოში ერთ-ერთი მოწინავე ქართული ინტელიგენციის მეცნიერული მოღვაწეობა, მათ სხვადასხვა დროს შეარქვეს კორუმპირებული ინტელიგენცია, ჩარეცხილები და სხვა. რაც აქ ჩამოვთავლე ეს იყო ქვეყნის უბედურების ერთი მხარე, მეორე უბედურება იყო ჩვენი ქვეყნის უძველესი, უმდიდრესი და უმშვენიერესი მიწა-წყლის აფხაზეთისა და სამაჩაბლოს დაკარგვა. მარტო აფხაზეთიდან გამოძევებული იქნა 300 ათასზე მეტი ქართველი ოჯახით, რომელთა ნაწილი საქართველოში დარჩა, ხოლო ნაწილი მიმოიფანტა მსოფლიოს სხვადასხვა კუთხეში. გარდა ამისა, ქვეყანაში ხალხთა დაპირისპირებამ კულმინაციას მიაღწია, რომელიც სამოქალაქო ომში გადაიზარდა. ქვეყნის სათავეში მოსულმა ბანდიტურმა მთავრობამ, ყოველივე სახელმწიფოებრივს ბოლო მოუღო. ასე, რომ, აწყობილი ქვეყანა ყოველმხრივ უმართავი და სათარეშო გახდა. არანაირი დადებითი პრსპექტივა ქვეყანას არ გააჩნდა. ასეთ სიტუაციაში, არა თუ უცხო ქვეყნიდან, არამედ საკუთარ სამშობლოდანაც უკანმოუხედავად გარბოდა ხალხი, რათა თავი და ოჯახი გადაერჩინათ. უპირველეს ყოვლისა პირველი ნაკადი შრომისუნარიანი ადამიანებისა რუსეთს მიაწყდა. ეს პროცესი მასობრივ ხასიათს იღებს 1995 წლიდან. სხვადასხვა მონაცემებით საქართველოდან რუსეთს მასობრივი მიგრაციის შედეგად 1 მილიონზე მეტმა დევნილმა შეაფარა თავი. აღნიშვნის ღირსია ის ფაქტი რომ რუსეთის ხელმძღვანელობა, რომელიც ქართველი პოლიტიკოსებისაგან საკმაოდ განაწყენებულნი იყვნენ, მაინცდამაინც ხელგაშლილად არ შეხვედრიან ჩვენს თანამემამულეებს, მით უფრო როცა ეს მიგრაცია ატარებდა მოუმზადებელ, სპონტანურ ხასითს. ეს იქიდან ჩანს, რომ იმ 1 მილიონი ჩვენი თანამემამულეებიდან 150-200 ათასამდე ციხეში ხვდება სხვადასხვა თუ გნებავთ ელემენტარული დანაშაულისათვისაც კი. ამდენივე რაოდენობა ჩვენი თანამემამულეებისა არალეგალურად იმყოფება რუსეთის სხვადასხვა ქალაქებში თუ სოფლებში, ისინი პოტენციურ კრიმინალებს წარმოადგენენ, რომელთა გარკვეული რაოდენობა ყოველდღიურად ემატება ციხეში მყოფ თანამემამულეებს. 200-250 ათასმა შრომისუნარიანმა და წესრიგისმოყვარულმა ახალგაზრდობამ თავი შეაფარა რუსი ქალების ოჯახებს, მათ უმრავლესობას ყავს ერთობლივი შვილები და ძალაუნებურად ხდებიან რუსეთის მოქალაქეები. ჩვენი თანამემამულეების გარკვეული ნაწილი ოფიციალურად ეწევა სასარგებლო საქმიანობას, არიან სრულფასოვანი ბიზნესმენები, უვლიან თავს და საქართველოში მყოფ თავიანთ ოჯახებს. აღნიშვნის ღირსია, ასევე ჩვენი თანამემამულეთა გარკვეული ნაწილი, რომლებიც ერთგულად შევიდა რუსული სახელმწიფოს სამსახურში. ესენია სრულყოფილი ინტელიგენცია, რომელთა შორისაა – მეცნიერები, მწერლები, ტექნიკური მუშაკები, სხვადასხვა დარგის ცნობილი სპეციალისტები, მათთვის რუსეთი მეორე სამშობლოა, აი, ასეთი სურათია ჩვენი თანამემამულეებისა რუსეთში, აქედან გამომდინარე, იმ 1 მილიონი სამშობლოდან მოწყვეტილი ქართველებიდან გარდა მცირე ნაწილისა, სამშობლოს ბევრ სიკეთეს ვერ მოუტანენ, რამეთუ მათი უმრავლესობა შუახნის ასაკს გადაცილებულები არიან, ამიტომ მათ დიდი დემოგრაფიული პოტენციალი არ შეიძლება ქონდეთ.

მეორე ტალღა ქართველი მიგრანტებისა თავს აფარებენ ევროპის ქვეყნებს, ხოლო ნაწილი აშშ-სა და კანადას. მათი რაოდენობა არასრული ინფორმაციით 300-350 ათასამდეა. ძნელი წარმოსადგენი არ უნდა იყოს ჩვენთვის ის, თუ რა ურთულეს და მძიმე მდგომარეობაში იქნებოდა ჩვენი თანამემამულეები უცხო ქვეყნებში, რომელთა უმრავლესობა არც სალაპარაკო ენით ბრწყინავდა და არც დიდი პროფესიონალიზმით. მიუხედავად ამისა, ქართულმა ნიჭმა და მისმა ინტელექტმა, ასევე ადგილობრივი ხალხის შემწყნარებლობამ მათი ძირითადი ნაწილი გადაარჩინა გადაშენებას, უფრო მეტიც ბევრმა მათგანმა ცხოვრების ნორმალურ დონეს მიაღწია.

ახლა, ორიოდე სიტყვა ჩვენი ხალხის მიგრაციაზე თურქეთში. თუ გაივლით ქართულ სოფლებში, იშვიათად შეხვდებით ოჯახს საიდანაც ერთი კაცი ან ქალი არ იყოს თურქეთში (უფრო ქალები) გადახვეწილი ლუკმა-პურის საშოვნად და ოჯახის შესანარჩუნებლად, თუმცა ეს ბოლო სიტყვა ლოგიკურმა მსჯელობამ მოიტანა, თორემ რა ოჯახის შენარჩუნებაზეა ლაპარაკი, როცა დიასახლისი 2-3 ან 10 წლის განმავლობაში თავის ოჯახს, ნათესავებს და კუთხეს მოწყვეტილია და უცხო მხარეშია დამკვიდრებული. მართალია ზოგიერთებმა თავისი აუტანელი შრომით კი შეინარჩუნა თავი და ოჯახი, მაგრამ ბევრი ხომ დაინგრა, უფრო მეტიც ერთმა **„ჩვენებურმა“** ქალმა ისიც დაიტრაბახა რომ აქ ორი ბიჭი ყავს მაგრამ იქ თურქეთშიც ორი ბიჭი მეყოლაო. აი ჩვენი მიგრაციის შედეგი თურქეთში.

საქართველოში ქართველი ერის დემოგრაფიული პრობლემები იმიტომაა ასე საგანგაშო, რომ ჩვენი ხალხის ისტორიულმა უკუღმართობამ ერი არასასიამოვნო კონკურენციაში ჩააყენა ჩვენს ტერიტორიაზე შემოსახლებულ უცხო ტომებთან მიმართებაში. ქართველი ერის მოსახლეობის რაოდენობა ყოველწლიურად მკვეთრად ეცემა, ანუ აშკარა დეპოპულაცია უდაოდ საგანგაშოა.

აი, როგორ აფასებს ეპისკოპოსი ანანია ჯაფარიძე ჩვენი ქვეყნის დემოგრაფიულ პრობლემებს: **„საქართველო დეპოპულაციის ლატენტურ (ფარული) სტადიასა და სტაგნაციის პერიოდში იმყოფება, რაც ქვეყნისა და ხალხის გაქრობის პირას მისვლაა“.** ბალკანეთის ქვეყნებში ჩვენი ქვეყნის დემოგრაფიულ პრობლემების მქონე ხალხზე იტყვიან **„თეთრი ჭირი“** ჭირსო. გაეროს გამოკვლევების მიხედვით 2050 წლისათვის საქართველოს მოსახლეობა შემცირდება 1 მილიონ 759 ათასი კაცით, ამავე პერიოდში აზერბაიჯანელთა რიცხვი 1 მილიონამდე გაიზრდება, სომხებისა კი 700 ათასამდე. ჩვენ აზერბაიჯანელ ძმებს ხომ არ ვეტყვით თქვენ გაჩერდით, არ გამრავლდეთო, მათ თავიანთი პროგრამა და გეგმები აქვთ. მთავარია საქართველოში ქართველებს უნდა ქონდეთ თავისი ფიზიკურად გადარჩენის პროგრამა. მაგრამ როგორ უნდა მოხდეს ეს, მაშინ როცა გაეროს ხალხთმოსახლეობის ფონდის მიერ გამოქვეყნებული მონაცემებით – „საქართველოში საშინელი სიღატაკეა- მოსახლეობის 13 % (შეიძლება ბევრად მეტიც ს.ზ.) დღეში 1,25 ამერიკული დოლარზე ნაკლები შემოსავლით ცხოვრობს, ეს იმას ნიშნავს, რომ ქვეყანაში თითქმის 600 ათასი კაცი შიმშილობს“.

როცა ქვეყანაში ასეთი სიდუხჭირეა, რომელსაც დღევანდელი მთავრობა საუბედუროდ, საგანგაშოს ვერაფერს ხედავს, ვიზა-ლიბერალიზაციის დოკუმენტის სტარტიფიკაციას ევროსაბჭოში დიდ დღესასწაულად მიიჩნევს. უვიზო მიმოსვლა ევროპის ქვეყნებში ნამდვილად სასიხარულო და საამაყო იქნებოდა ჩვენი ქვეყნისათვის ის ეკონომიურად შეძლებული რომ ყოფილიყო, თორემ დამშეული ხალხი როგორ შეიძლება შეუსიო იმ ქვეყნებს, რომლებიც მილიმეტრობით ზომავენ თავიანთი თუ უცხო ხალხის ქცევის ნორმებს. ან კიდევ, ახალი მიგრაციის დაკანონება სჭირდება ქართულ მოსახლეობას? მაგრამ ჭკუათმყოფელი კაცისათვის ძნელი მისახვედრი არ უნდა იყოს ვიზა-ლიბერალიზაციის პოლიტიკის მნიშვნელობა. ის ახალგაზრდები, რომლებიც ამ პერიოდისათვის წამოიზარდა და გარკვეული ცოდნაც შეიძინა, ის უკვე ნათლად ხედავს, რომ ქვეყნის მოსახლეობის 95 % სიღატაკეში ცხოვრობს, მომავალში ახალგაზრდობას არანაირი პერსპექტივა არ გააჩნია. ქვეყნის ასეთ მდგომარეობას ახალი ძალები არ შეეგუება და ის ქუჩაში გამოვა პროტესტის ნიშნად, რომლებსაც უდაოდ მხარს დაუჭერს უკმაყოფილო ხალხის მასები, რაც შესაძლებელია დღევანდელი მთავრობის **„ფინიში“** გამოდგეს, სწორედ ამიტომ დღევანდელი მთავრობა ვიზა-ლიბერალიზაციას ნათლავს როგორც ხალხისთვის ბედნიერების მომგვრელს, თუმცა ეს ღონისძიება სიცოცხლის გამახანგრძლივებელ საშუალებად იქნება დღევანდელი ხელისუფლებისათვის.

ახლა ორიოდე სიტყვა განსხვავებული მოსაზრებების მქონე ქართველი პოლიტიკოსების შესახებ, ერთნი სრულ უპირატესობას ანიჭებენ ევროპის ქვეყნებთან ურთიერთობას და კატეგორიული წინააღმდეგი არიან რუსეთთან მსგავსი ურთიერთობისა, მაგრამ რუსეთთან ნორმალური დიპლომატიური ურთიერთობის გარეშე აფხაზეთი და სამაჩაბლო ჩვენი ქვეყნისათვის სამუდამოდ დაკარგულია. რა თქმა უნდა, ევროპასთან, რუსეთთან, თურქეთთან და სხვა დიპლომატიური ურთიერთობა აუცილებელია, მაგრამ იმ პოლიტიკური ელიტისათვის, რომლებსაც თავზესაყრელ ფინანსურ თუ მატერიალურ დახმარებას ღებულობს ევროპისაგან თუ აშშ-საგან იმას სრულებითაც არ ანაღვლებს **„შენი“** აფხაზეთი და სამაჩაბლო.

რუსეთან უვიზო მიმოსვლის დაკანონება ნიშნავს იმას, რომ ის ასიათასობით ქართველები, რომლებმაც ოჯახი შექმნეს რუს ქალებთან თავიანთი ბავშვებით ერთ დროს დედა საქართველოს დაუბრუნდება და ცოტათი მაინც წაადგება ჩვენს დემოგრაფიას.

**სიმონ ზაქარაია**

## პოეზიის კუთხე

*ორი სათრეველა*

### საშაყიროდ, სახითხითოდ

*მუხრან ბანკირის ყმობითა*
*ფქვილი ვერ დავდგი გოდრითა.*

მისი ბანკი „თიბისია“
და ატარებს ტიპი სიას,
ხალხის ზურგზე მოჯდომით და
გაძვირებულ „ბორჯომითა“.
სიაში წერს, სად რა ჩადოს,
და როგორი რჩება სალდო,
რომ მედროვე „მუხრან ბატონს“.
უფლისწულთა ჰქონდეს „შატო“!
მუხრანი და თანაც „შატო“?
თუ გაეჭვებთ: რისთვის, რატომ?
ბოლომდე რომ განგვიმარტოს,
მივიდეთ და გამოვკითხოთ...
სა-შა-ყი-როდ, სა-ხით-ხი-თოდ!

### სული – შაჰაბასური!

ბაყბაყა დევმა გადაკეტა ჩვენი „ბორჯომი“
და ამის შემდეგ ვეღარ იქნა, ვეღარ მოვმჯობნდით,
რვა კაპიკიდან გაგვიძვირა ლარ და ოცამდე
და მაინც ფიქრობს, შეაქებენ და დალოცავენ.
თუ საქართველოს დაურჩება იმ შაჰაბასად,
ვინც ჩეჩმის პოეტს „ხალათივით“ ჩუქნის „საბასა“.

**ალექსანდრე შენგელია**

### მამანტის

(გამოსათხოვარი)

ოზეშე ვეგნორთე, ქინორდე,
ქომითხი სქან ფანიაშა,
ემერ შორს, შხვეფწკმა მითორდე,
ეკკაკითხანა მუშ ცვაშა,
გამგონე, ჭკვერი ოკო რდე,
ღირუდე დოცუნაფაშა,
სქან ნეშტი სით ვენდგაღინე
აკადემია „აია“-შა“,
სქან ჯვეშეფს ხოლო ვეწყინებ,
ღირუნი მოშინაფაშა,
„აია“-შ წევრი მით ცოფე
მიშ ათეშ მოაზრებაშა,
მარა დუდ, სო აკიჭოფედ
სონ დო სონ თეზმა კათაშა,
გურ ალაბაძგილ მაფუდეს
ბრუოში გოთანაფაშა;
ღურუს გეშუნთხორ საფულე
მუში ბარი დო წარკანტით...
„შვიდტომეული“ ვაფულე,
თქვანი ნამენცარ, ნაწკანტი,
მარგალონაში მომინჯეთ
ჩქინ წკუმა სქიდუქ, მამანტი!

**მეუფე ბენედიქტე,**
(ბეჯითი ჯალაღონია)
ენწერი, 8 იანვარი

# უნიპოლარიზმი დასასრულს მიუახლოვდა. რა ელის საქართველოს?

*(გაგრძელება მე-2 გვერდიდან)*

ორივე ქვეყანა, საქართველოც და უკრაინაც, მსხვერპლი შეიქნა საკუთარი ქვეყნის ეროვნული ინტერესების უცოდინარი, შეზღუდული ინტელექტის მქონე მარიონეტული პოლიტიკური კლასის მიერ გატარებული სრულიად უპასუხისმგებლო პოლიტიკისა.

საგარეო პოლიტიკურ ტრიუმფს კი რუსეთმა სირიაში მიაღწია. ამ ქვეყნის კანონიერი ხელისუფლების მიწვევით, რუსეთი ჩაერთო გეოსტრატეგიულ პაექრობაში შეერთებული შტატების მიერ მხარდაჭერილ ტერორისტებთან, სირიელ **"ამბოხებულებთან"** და პირწმინდად გაანადგურა ისინი; თანაც ისე, რომ შეერთებული შტატები საერთოდ გააძევა სირიის მომავალი პოლიტიკური მოწყობის საკითხზე მოლაპარაკებებიდან. ჟარგონით თუ ვიტყვით, პუტინმა ამერიკელებს **"პარაშასთან"** მიუჩინა ადგილი.

## დონალდ ტრამპი, ჰენრი კისინჯერი და დოქტრინა "ანტიჩინეთი"

ნაციონალ-რეალისტური პოლიტიკური მრწამსის მქონე და იდეოლოგიურ პლატფორმაზე მდგარი დონალდ ტრამპის გაპრეზიდენტებით შეერთებული შტატების დამფუძნებელმა ანგლო-საქსურმა ეთნიკურმა ჯგუფმა ისტორიის მოცემულ ეტაპზე უარი უთხრა უნიპოლარიზმზე დამყარებულ ლიბერალურ-გლობალისტურ პროექტს. დონალდ ტრამპის საგარეო პოლიტიკის რეალისტური და ნაციონალისტური ხედვებიდან გამომდინარე, შეიძლება ვივარაუდოთ, რომ ახალი ადმინისტრაციის პოლიტიკა სხვა საერთაშორისო სუბიექტებთან (საუბარია კონკურენტ სახელმწიფოებზე) აგებული იქნება ამერიკის სახელმწიფო ინტერესების დაცვის პოზიციიდან, რომელიც, თავის მხრივ, უფრო მეტად განამტკიცებს რეალისტურ ხედვას და ნაციონალური ინტერესების დაცვის აუცილებლობაზე დაფუძნებული საერთაშორისო წესრიგის საბოლოო ფორმირებას. აღნიშნული მოდელი კი დიდ სახელმწიფოებს შორის გეოპოლიტიკურ ვაჭრობას გულისხმობს, რომელსაც კაცობრიობა ისტორიულად ყოველთვის მიჰყავდა გავლენის სფეროებად დაყოფილი მსოფლიო პოლიტიკური წესრიგის ჩამოყალიბებასთან.

არჩევნებში გამარჯვების შემდეგ დონალდ ტრამპი ვისაც შეხვდა, პირველი იყო აზია-წყნარი ოკეანის რეგიონში ჩინეთის ისტორიული მტრის – იაპონიის – პრემიერ-მინისტრი სინძო აბე. მეორე მსოფლიო ომის დასრულებისთანავე იაპონია გადაიქცა სამხრეთ-აღმოსავლეთ აზიის რეგიონში უმნიშვნელოვანეს სახელმწიფოდ. მისი ფუნქცია რეგიონში იყო ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის შეკავება. ამერიკის ახალარჩეულ პრეზიდენტს იაპონიის პრემიერთან შეხვედრამდე რამდენიმე საათით ადრე აუდიენცია ჰქონდა ამერიკის საგარეო პოლიტიკის უბერებელ პატრიარქთან, თანამედროვე ამერიკული რეალიზმის "მამასთან" – ჰენრი კისინჯერთან. ჰენრი კისინჯერს, როგორც დასავლური ანალიტიკური წყაროები იუწყებიან, 1974 წელს ამერიკის იმჟამინდელ პრეზიდენტ რიჩარდ ნიქსონთან შეხვედრისას განუცხადებია: **"თუ შევადარებთ რუსებს, ჩინელებიც ისეთივე საფრთხის შემცველები არიან. ისტორიულ პერსპექტივაში ისინი კიდევ უფრო მეტი საფრთხის შემცველები არიან... 20 წლის შემდეგ, თუ თქვენი მემკვიდრე იქნება ისეთივე გონიერი, როგორც თქვენ, რუსეთს დაეყრდნობა ჩინეთის წინააღმდეგ"**. აღსანიშნავია ისიც, რომ ჰენრი კისინჯერმა დონალდ ტრამპს ინტელექტუალური დახმარება აღუთქვა და მზადყოფნა გამოთქვა ვლადიმერ პუტინთან ურთიერთობისას მედიატორის როლის შესრულებაზე.

როგორც ჩანს, აშშ-ის ახალი ადმინისტრაციის მთავარ გეოპოლიტიკურ სამიზნეში ჩინეთი მოექცევა. ამას მოწმობს, აგრეთვე, დონალდ ტრამპთან შეხვედრიდან გამოსვლის შემდეგ ნაციონალური დაზვერვის დირექტორობის შესაძლო კანდიდატის, კარლი ფიორინას, განცხადება: **"ჩინეთი ჩვენი მთავარი მეტოქეა, რომელიც სულ უფრო იკრებს ძალას"**. ხოლო ახალი მმართველი ელიტის წარმომადგენლებისგან ჩინეთის მიმართ გაკეთებული განცხადებებიდან აღსანიშნავია დონალდ ტრამპის 12 დეკემბრის განცხადება (Fox News Sunday), რომლითაც მან ეჭვქვეშ დააყენა **"ჩინეთის ერთიანობის"** იდეა (საუბარია ტაივანზე).

ამ ყველაფრის გათვალისწინებით, ძნელი მისახვედრი არ უნდა იყოს, რომ ახალი ანტისისტემური ელიტის წარმომადგენლები ჩინეთის წინააღმდეგ მოტივირებულად იმოქმედებენ – ყველანაირ რესურს (როგორც სამხედროს, ისე ეკონომიკურს) გამოიყენებენ და ჩინური ეკონომიკური მონსტრის წინააღმდეგ მიმართავენ.

დონალდ ტრამპის გარემოცვის დიდი ნაწილი და მის გარშემო მობილიზებულ-კონსოლიდირებული ინტელექტუალური ელიტის რეალისტური სკოლის წარმომადგენლები რუსეთის მიმართ წინა ადმინისტრაციის პოლიტიკურ მიდგომას აკრიტიკებენ. ვინაიდან, მათი აზრით, რუსეთის წინააღმდეგ აქტიურმა და შემტევმა გეოპოლიტიკურმა ნაბიჯებმა, რომლებიც მიმართული იყო პოსტსაბჭოთა სივრცის გეოპოლიტიკურად ათვისებისკენ, გამოიწვია ამ სივრცის შებრუნება აღმოსავლეთის მიმართულებით. შედეგად, დღის წესრიგში დადგა ანგლო-საქსური გეოპოლიტიკური სტრატეგიისთვის სრულიად მიუღებელი ღერძის – მოსკოვი-პეკინის შექმნა. ეს რომ სახიფათოა ატლანტისტური გეოპოლიტიკისთვის, ამას თვით გეოპოლიტიკის ფუძემდებლად აღიარებული ჰელფორდ მაკინდერი აღნიშნავდა თავისი ისტორიული ნაშრომის – **"ისტორიის გეოგრაფიული ღერძი"**-ს ბოლო აბზაცში: **"თუ ჩინელები, იაპონელების დახმარებით გაანადგურებდნენ რუსეთის იმპერიას და დაიპყრობდნენ მათ ტერიტორიას, ისინი შექმნიდნენ ყვითელ საფრთხეს მსოფლიო თავისუფლებისთვის იმიტომ, რომ კონტინენტის უზარმაზარ რესურსებს მიამატებდნენ ოკეანის სივრცეებს, რითაც მოიპოვებდნენ ისეთ უპირატესობას, რომლის მსგავსიც აქამდე არ ჰქონია ამ ღერძული რეგიონის რუს მეპატრონეს"**.

ორი ფრონტზე ბრძოლა ისეთ გიგანტურ სახელმწიფოებთან, როგორებიც არის რუსეთი და ჩინეთი, შეერთებულ შტატებს, რაც უნდა დიდი პოლიტიკურ-ეკონომიკური და სამხედრო შესაძლებლობების მქონე სახელმწიფო იყოს, ძალიან გაუჭირდება. ვინაიდან, როგორც ფუნქციური ანალიზისა და პოლიტიკური რეალიზმის მიმდევარი ცნობილი ამერიკელი პოლიტოლოგი მორტონ კაპლანი აღნიშნავს, თუ სისტემაში დაახლოებით სამი თანაბარი დონის პოლიტიკური სუბიექტია ურთიერთქმედების რეჟიმში, მაშინ ორი გაერთიანდება მესამის წინააღმდეგ, მისი შეკავების და ძალის გასაწონასწორებლად.

რუსეთისა და ჩინეთის გაერთიანება რომ არ მოხდეს, შეერთებული შტატების ახალი ადმინისტრაცია რუსეთის ფედერაციასთან ურთიერთობის დათბობას ცდილობს. ამ მიზნით, საზოგადოდ, შეერთებული შტატების საგარეო პოლიტიკა და კონკრეტულად რუსეთთან პოლიტიკური ურთიერთობის წარმართვა დაავალეს ისეთ პიროვნებებს, რომლებსაც ახლო მეგობრული ურთიერთობა აქვთ პრეზიდენტ პუტინთან. მაგალითად, სახელმწიფო მდივნის პოსტს დაიკავებს პუტინთან დაახლოებული და მის მიერ რუსეთის ფედერაციის უმაღლესი ჯილდოთი, მეგობრობის ორდენით, დაჯილდოებული ცნობილი ბიზნესმენი რექსტილერსონი. როგორც აღვნიშნეთ, რუსეთთან დაკავშირებულ პოლიტიკურ საკითხებზე ტრამპის მრჩეველი იქნება პუტინთან ახლო ურთიერთობის მქონე ჰენრი კისინჯერი. რუსეთის ფედერაციაში ამერიკის ელჩობის კანდიდატად კი განიხილება კისინჯერის მოსწავლე, მისი იდეების მხარდამჭერი, ცნობილი დიპლომატი და რეალისტი თომას გრემი.

აქედან გამომდინარე, რუსულ გეოპოლიტიკურ წრეებში მომზადდა კონცეფცია **"გარიდება კონფლიქტის ნაცვლად"**. როგორც ჩანს, რუსეთი მზადყოფნას გამოთქვამს, გაერიდოს ამერიკულ-ჩინურ კონფრონტაციას. თუმცა, რეალიზმისა და მრავალპოლუსიანობის მომხრე რუსეთის ხელისუფლება, დიდი ალბათობით, გარიდების სანაცვლოდ, ამერიკელებს მოსთხოვს თავისი პოლიტიკური ინტერესების დაკმაყოფილება სპოსტსაბჭოთა სივრცის ფარგლებში. რუსეთში ნებისმიერი იდეოლოგიური მიმდინარეობის რუსი სტრატეგები ერთსულოვანი არიან რუსეთის ხელისუფლებასთან იმაში, რომ მრავალპოლუსიან სამყაროში რუსეთის ფედერაცია უნდა გახდეს ერთ-ერთი პოლუსის ლიდერი, პოსტსაბჭოთა სივრცეზე (ბალტიისპირეთის გამოკლებით) ექსკლუზიური გავლენის უფლების მოპოვებით.

## ქართველთა ბედი მრავალპოლუსიან სამყაროში

2000-იანი წლების დასაწყისში, ხელისუფლების სათავეში ვლადიმერ პუტინის მოსვლის შემდეგ, რუსეთის ინტელექტუალურ წრეებში დაიწყო ცხარე კამათი, რომელ იდეოლოგიურ დოქტრინას უნდა დაყრდნობოდა რუსული სახელმწიფო ძველი დიდების დასაბრუნებლად. იმ პერიოდში რუსეთში მრავალფეროვანი იდეოლოგიური მიმდინარეობების არსებობის მიუხედავად, გაიმარჯვა ცნობილი ქართველი პოლიტოლოგისა და იდეოლოგის – ალექსანდრე ჭაჭიას საგარეოპოლიტიკურმა იდეამ, რომელიც ეფუძნება კონსერვატიზმის მოდერნისტულ გაგებას. აღნიშნული იდეოლოგიური დოქტრინის კვინტესენციას წარმოადგენს ამერიკული გლობალიზაციის პროექტის – ერების უნიფიკაციისა და სახელმწიფოთა დესუვერენიზაციის – ალტერნატივად რუსული სახელმწიფოს მიერ ერებისთვის ნაციონალური სახელმწიფოებისადმი ბუნებრივი სწრაფვის იდეის რეალიზაციაში დახმარების გაწევა; უწინარესად, – პოსტსაბჭოთა სივრცის ფარგლებში, შემდგომ კი – გლობალური მასშტაბით: **"შეერთებული შტატები არის ლიდერი გლობალიზაციის პროცესისა, რომელიც გულისხმობს, უპირველეს ყოვლისა, ნაციების უნიფიცირებას, მათ მიერ კულტურულ-ისტორიული ფენომენის, უნიკალური თვითმყოფადობის დაკარგვას, რომელიც ართმევს ნაციებს, დამოუკიდებელი სახელმწიფოებრივი განვითარების უფლებას. რუსეთი უნდა გამოვიდეს, როგორც დამცველი ერების იმ ბუნებრივი უფლების, რომელიც გულისხმობს ნაციონალურ სახელმწიფოში ცხოვრებას, აგრეთვე, იმ სოციოკულტურული თავისებურებების, ისტორიული განვითარების საკუთარი ტრაექტორიისა და საზოგადოებრივი მოწყობის იმ საკუთარი მოდელების დამცველად, რომელიც დამახასიათებელია ამა თუ იმ ნაციისთვის. თუ რუსეთი წამოაყენებს ამერიკულიგლობალიზაციის ალტერნატიულ მსოფლიო პროექტს, რომელიც თავის თავში გაითვალისწინებს, დაიცვას, შეინარჩუნოს და ხელი შეუწყოს ერების განვითარებას, ის გარდაიქმნება ევრაზიული სივრცის სულიერ ლიდერად, მიზიდულობის ჭეშმარიტ ცენტრად ათეულობით ქვეყნისა და ხალხებისთვის, პირველ რიგში, მეზობლებისთვის, კერძოდ, პოსტსაბჭოთა რესპუბლიკებში მცხოვრები ხალხებისთვის"** (ალექსანდრე ჭაჭია, **"პოლიტიკური კლასი"**, გვ. 20, 01. 02. 2006 წ). სწორედ ამ საგარეო პოლიტიკური იდეის გამო რუსეთის ფედერაციის პრეზიდენტმა ვლადიმერ პუტინმა დააჯილდოვა იგი რუსეთის სახელმწიფოს უმაღლესი ჯილდოებით – მეგობრობისა და ღირსების ორდენებით. სხვათა შორის, პუტინის კიდევ ერთი მრჩეველი და იდეოლოგი ვლადისლავ სურკოვი მის მიერ შემუშავებულ სუვერენული დემოკრატიის კონცეფციაში სწორედ ალექსანდრე ჭაჭიას მიერ ფორმულირებულ იდეოლოგიურ დოქტრინას დაეყრდნო.

შემოთავაზებული იდეოლოგიური კონცეფცია უმალ იქნა ატაცებული რუსეთის ფედერაციის მმართველი ელიტისა და კონკრეტულად პრეზიდენტ ვლადიმერ პუტინის მიერ, რომელმაც 2012 წლის დეკემბერში ფედერალური კრებისადმი მიმართვაში განაცხადა: **"რუსეთი უნდა გახდეს სუვერენული და გავლენიანი სახელმწიფო... ჩვენ უნდა შევინარჩუნოთ ნაციონალური და სულიერი იდენტურობა, რათა არ გავქრეთ, როგორც ნაცია... რუსეთმა უნდა შეინარჩუნოს, არა მხოლოდ გეოპოლიტიკური მოთხოვნილება, არამედ მასთან ურთიერთობას უნდა ითხოვდნენ მეზობლები და პარტნიორები... რუსული დემოკრატია – ეს არის რუსი ხალხის მმართველობა, სახალხო თვითმმართველობის საკუთარი ტრადიციების ფარგლებში და არა იმ სტანდარტების რეალიზაცია, რომლებიც გარედან იქნება თავსმოხვეული"**.

რუსეთის ლიდერის განცხადება თავის თავში გულისხმობს საგარეო პოლიტიკისადმი რეალისტურ, ნაციონალური ინტერესებიდან გამომდინარე მოქმედებას და, რაც მთავარია, მრავალპოლუსიანი მსოფლიო წესრიგისკენ სწრაფვას.

დღეს უკვე ნათლად იკვეთება, რომ სახელმწიფოთა საერთაშორისო სისტემა აუცილებლად იქნება მულტიპოლუსიანი, ამაზე თითქმის არავინ დავობს. მაგალითად, მსოფლიო პოლიტიკაში მიმდინარე პროცესებსა და საერთაშორისო სისტემაში მიმდინარე ტრანსფორმირების პროცესს ჰენრი კისინჯერი შემდეგნაირად ეხმაურება: **"მრავალპოლუსიან წესრიგში, რომელიც ყალიბდება, რუსეთი აუცილებლად უნდა აღვიქვათ, როგორც უმთავრესი ელემენტი გლობალური წონასწორობისა და არა საფრთხედ შეერთებული შტატებისთვის"**. მრავალპოლუსიან მსოფლიოში, როგორც ნებისმიერი სხვა სისტემის პირობებში, დიდ სახელმწფოებს გააჩნიათ მოქმედების საკუთარი ლოგიკა, რომელსაც ძალიან საინტერესოდ განმარტავს რეალისტური სკოლის ზემოთ უკვე დასახელებული მეტრი ჯონ მირშაიმერი: **"სახელმწიფოთა მრავალპოლუსიანი სისტემის პირობებში, რთულია შეკავების განხორციელება, იმიტომ, რომ ხშირად აქვს ადგილი დისბალანსს და, როდესაც ძალის ასიმეტრია პროგრესირებს, რთული ხდება ძლიერი სახელმწიფოს შეკავება"**. ამ თეორიული დებულების სამხრეთ კავკასიაზე განზოგადებისას შეიძლება ითქვას, რომ ამერიკელების მხრიდან ჩინეთის მიმართულებით ყველანაირი რესურსის მობილიზაციის, რუსეთიდან მისი გადამისამართებისა და, შესაბამისად, საქართველოზე გეოპოლიტიკური ინტერესის დაკარგვის შემთხვევაში, რთული მისახვედრი არ უნდა იყოს, ვის სასარგებლოდ მოხდება რეგიონში სტრატეგიული ძალის ასიმეტრიული პროგრესი.

ტრანსფორმირების პროცესში არსებული საერთაშორისო სისტემის პოლიტიკური ანალიზიდან გამომდინარე, შეიძლება დავასკვნათ, რომ მალე საქართველოს ხელისუფლებას მარტო, დამოუკიდებლად მოუწევს საქართველოს პოლიტიკურ კლასზე გაბრაზებულ რუსეთის ფედერაციის პრეზიდენტთან პოლიტიკური და გეოპოლიტიკური საკითხების გარკვევა. აღნიშნულის კი, ორი ქვეყნის პოლიტიკურ ელიტებს შორის დღეს არსებული ნეგატიური ურთიერთ დამოკიდებულებიდან გამომდინარე, რბილად რომ ვთქვათ, არასახარბიელო შედეგი ექნება საქართველოსთვის და ქართველი ხალხისთვის.

მკითხველისთვის არ უნდა იყოს რთული წარმოსადგენი, რა დღეში აღმოჩნდება ნებისმიერი გამოკითხვით მსოფლიოში ყველაზე გავლენიან პოლიტიკურ ფიგურად აღიარებულ პიროვნებასთან პირისპირ დარჩენილი პატარა ქვეყნის ფორმალური თუ არაფორმალური მმართველი. ამიტომ, თუ ბატონ ივანიშვილს ქართველთა ბედი ანაღვლებს და სურს საქართველოს გადარჩენა, ალექსანდრე ჭაჭიას მსგავსი მასშტაბური პიროვნება უნდა ჩართოს რუსეთ-საქართველოს შორის ურთიერთობების დარეგულირების პროცესში. ის ან გააკეთებს ამას, ან ვლადიმერ პუტინი, უბრალოდ, გაჭყლეტს, როგორც სპილო – ჭიანჭველას. ღმერთმა ნუ ქნას, მოხდეს ისეთი რამ, რამაც ამჟამინდელი მმართველის შეშინებული წინამორბედი (ოღონდ ფორმალური) CNN-ის პირდაპირ ეთერში ჰალსტუხის (ქართულად – ყლინჯის) ღრღნამდე მიიყვანა, თორემ რეგიონში გეოპოლიტიკური სიტუაციისა და ძალთა ბალანსის ცვლილების შემთხვევაში, რაც გარდაუვალია უახლოეს მომავალში, შიშისგან აცახცახებულ დღევანდელ მმართველს, ალბათ, Fox-News-ის პირდაპირ ეთერში მოუწევს ფრჩხილების კვნეტა, მაგრამ უკვე გვიანი იქნება.

**ირაკლი უბილავა,**
**პოლიტოლოგი**

# არასაზავო ფიქრები მილევადობის მიჯნასთან

*(გაგრძელება წინა ნომრიდან)*

**ისინი ჯიუტად უარყოფენ ასეთ შეთავაზებებს, რათა საქართველოში ტანჯული „მუსლიმები“ და „დიდმპყრობელი“ საქართველო დაუსურათხატონ მსოფლიოს. ამით ეს ხალხი ამ მხარეში (სამცხე-ჯავახეთში, საერთოდ, მესხეთში) იმის საეთნოდივერსიო ნედლეულს წარმოადგენს, რომელმაც უნდა ააღორძინოს ის საღალატო სულისკვეთება, რომელიც: ზემოთაც შეგახსენეთ ეს, ცეცხლითა და მახვილით ოსმალური დროშის ქვეშ ებრძოდა დამოუკიდებელი საქართველოს სახელმწიფოებრიობას და თავს ოსმალურ სახელმწიფო წარმონაქმნად აცხადებდა (შეგნებულად არ ვამბობ თურქულს, თუმცა, ასეც რომ მეთქვა, შეცდომა არ იქნებოდა, რადგან აშკარად სახეზეა პანისლამისტური თარეშის გაღვივება და ამისათვის სათანადო საცეცხლე წერტი შექმნა).**

ამასთან დაკავშირებით საზოგადოებამ უნდა გაისიგრძეგანოს, რომ მსგავსი დემარშებით იწყებოდა მესხეთში საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის წინააღმდეგ ოსმალური იმპერიის ნარჩენთა აულაგმავი თარეში.

აქედან გამომდინარე, ხელისუფლება მოვალეა საქართველოს საზოგადოებრიობას ფართოდ და, რაც მთავარია, გაუყალბებლად წარმოუჩინოს მესხეთის დედანი შინაარსი.

სამწუხაროდ, როგორც უკვე გითხარით, წელი იწურება და უდიადესი მესხის – დიდი რუსთველის 850 წლისთავზე მიგებას ხელისუფლება ხიშტით ხვდება.

ამავე დროს, საქართველოს პარლამენტმა ამჟამად 1918-1919 წლებში მესხეთში (საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკა) მომხდარ ტრაგიკულ მოვლენებს, რომლის დროსაც სწორედ ისლამური დროშის ქვეშ მიმდინარეობდა ქართული ვინაობის აღგვა და მოსახლეობის გენოციდი ამ ძირძველ ქართულ სამკვიდროსზე, მშვიდად უნდა მისცეს სამართლებრივ-პოლიტიკური შეფასება. ოსმალური დიდმპყრობლობის შედეგებს და მისი რეციდივების ნებისმიერ სადღეისო გამოთავხედობასა თუ მცდელობას.

ის, რაც მოხისში (და არა მარტო აქ) ხდება, არ გახლავთ რიგითი ან მარტივი მოვლენა. ამიტომ, ქართულ სამართლებრივ სახელმწიფოსა და სამოქალაქო საზოგადოების მშენებლობის უზრუნველყოფის, ახლო წარსულისადმი სამართლიანი პოლიტიკური თუ სამართლებრივი შეფასების დამკვიდრებისა და საქართველოს თავისუფლების, დამოუკიდებლობისა, ერთიანობის, ეროვნული ღირებულებებისათვის ბრძოლაში გამოჩენილი გმირობისა და ქვეყნისთვის გაღებული სახალხო მსხვერპლის ხსოვნისადმი ღირსეული პატივის მიგების შინაარსის ხელყოფა და სხვადასხვა დემოკრატიას ამოფარებული ანტიქართული აგრესიების წახალისება ერთხელ და სამუდამოდ აღიკვეთოს.

* * *

ის, რომ მე, იმხანად სამხედრო ვალდებულს და სამშობლოსთან არა ხელშეკრულებით მოურთიერთეს, წამგაუცდენელად მომეთხოვებოდა (და მომეთხოვება), მახსოვდეს (ისევ და ისევ გამეორება მიწევს), რომ **„ჯარი სამშობლოს მტრისაგან იცავს და სიცოცხლესაც მხოლოდ სამშობლო მოსთხოვს ჯარისკაცს“**. ეს მოცლილის აკვიტება არაა, – ასეთია ღვთივსათნო შეგნება.

...და რადგან საკუთარი სამშობლოს, ოდაბადის, ლასკარის, ჭერის, ვინაობის შინაარსი, ეტყობა, არც თუ საყველპუროდ ვიცოდი. ამიტომ 1993 წელს, როდესაც დადგა ჩრდილო-დასავლეთ საქართველოს (აფხაზეთის) დედოსხეულიდან წაგლეჯის ცხადლივი საფრთხე, ჩემი ხალხისთვის სამამულო ომში იარაღი არა თუ მე ავიღე, ჩემი 19 წლის ბიჭიც სანგარში ჩავრეკე.

მანამდე, ზვიად გამსახურდიას მოწოდების შესაბამისად, მეგობრებთან ერთად, ჩემზე დამოკიდებული ყველაფერი გავაკეთე, რათა ასეთი საომარი ავანტიურა არ მოეხვიათ ჩვენთვის.

სხვათა შორის, მაშინ, როგორც დევნილი პრეზიდენტის მომხრეს, ე. შევარდნაძის ხუნტა გვდევნიდა. ბუნებრივია, ჩვენ ხუნტის **„სამხედრო“** სტრუქტურაში ვერ გავწევრიანდებოდით, ამის მიუხედავად, ჩვენი წილი ამ სამამულო ომში ისე გავიპიროვნეთ, არანაირი საბუთი ამაზე არ გაგვიფორმებია, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც პირადად ჟიული შარტავას მითითების საფუძველზე 50 ცალი ავტომატი გადმოგვეცა მოხალისეებისთვის (მიღება-ჩაბარების აქტი). უბრალოდ, ვასრულებდით პრეზიდენტ ზვიად გამსახურდიას მოწოდებას – **„გახსოვდეთ, საქართველოს რესპუბლიკის საზღვარი მდინარე ფსოუზე გადისო“** (1993 წ. 20 ივლისი).

ძალიან კარგად მესმის ისიც, რომ თავმოსაწონი ამ ომში არაფერია, სადაც ქართველ მამულიშვილთა ძალისხმევის მიუხედავად და კოლაბორაციული ე.წ. ხელისუფლების (ხუნტის) ღალატის გამო, მოხერხდა 350 ათასი ადამიანის ეთნიკური წმენდის გზით ჩრდილო-დასავლეთ საქართველოდან (აფხაზეთი) გამოძევება, მეორე ნაწილის გენოციდი, ამ მხარის ანექსია და ა.შ.

**დიდოსტატ კონსტანტინეს აქვს წერილი მიწერილი ჯერ კიდევ ჭაბუკ ზვიად გამსახურდიასთვის. წერილში დამოწმებულია მის მიერ თარგმნილი ჰომეროსის ღვთივწდომილი სიტყვები: „ზევსს გაფიცებ ადელაი, ზევსს და მამაჩემის ტკივილებს“!..**

დიახ, მამაჩემის ტკივილებმა გამაბედვინეს სამშობლოს დასაცავ სანგარში ჩახტომა, თორემ, ისევ და ისევ ხმამაღლა ვამბობ, სტყუის ნებისმიერი, ტყვიის არ მეშინიაო თუ იტყვის. ვაღიარებ, მეშინოდა, მუხლიც ამიკაკალდა, მაგრამ ის, რომ ვცახცახებდი, შეემჩნია სხვას, საკუთარ თავს მივუტოვებდი პატივისცემას.

თავგანწირვას უდიდესი, ცადაწვდენილი მოტივაცია სჭირდება და ჩემთვის ასეთად, სხვა შეუგინებლობათა გასწვრივ, მამაჩემის ტკივილებიც იქცა: 1951 წლის 20 მაისს, სიკვდილამდე ორიოდე კვირით ადრე, 37 წლის მამაჩემმა წერილი დამიტოვა, ოთხნახევარი წლის ბავშვს: ანგარიში ჩამაბარა. მის მიერ, გასაგები მიზეზის გამო, ვერშეძლებულისთვის თავგართმევა მისურვა, სულის ამოხდის პირისპირ „სკან სანთელოო“, მესაუბრა, ირგვლივ ყველა და ყველაფერი დალოცა და, რაც მთავარია, ჩემს ვინაობაში გამათვითცნობიერა, უფლება დამიზუსტა, მოვალეობა გამიმკაფიოა, პასუხისმგებლობა გამიპიროვნა. რა საკვირველია, კაცი სიცოცხლეს ეთხოვებოდა და მის წერილში გულაჩუყებამაც გაიჟღერა: **„შვილო, სერგი, შენ გახსოვდეს, გულში რომ მეხუტებოდი, იქვე, საბანში ჩუმად რომ მეუბნებოდი, – შენ ავად ხარ, მამაჩემო, შენს ავადმყოფობას მე მოვარჩენო. მე, შვილო, მახსოვს ის შენი სიტყვები, შენი მოქცევა, შენი მოფერება.**

**მწარეა ასე უდროოდ შვილთან მამის განშორება, მაგრამ, შვილო, სერგი, შენ ჩემი ფიქრი არ გქონდეს, მე არაფერი გამიჭირდება, – ჩემს მამასთან და დედასთან, კიდო სხვა ნათესავებთან ვიქნები.**

**რა ვუყოთ, შვილო, მამა ბევრს მოკვდომია, მაგრამ სიგლახით არ მომხდარა ეს...“**

ბუნებრივია, საზოგადოებისთვის, რომელსაც **„ცრემლებისა არ სჯერა“**, ეს სიტყვები ჩვეულებრივი, რიგითი საუბარია, მაგრამ ჩემთვის წინამდებარე წერილი ყოველთვის გახლდათ ჩემი ვინაობის ათვლა, რათა ავდროებას არ ჩაექირქილა **„დროთა კავშირი დაირღვა და...“** (უილიამ შექსპირი).

* * *

დღეს, როცა ირგვლივ სიძულვილის ენა დათარეშობს, მხოლოდ ასე, რიგით წერილებში უნდა ეძებო ის გულშიჩამწვდომობა, ადამიანად რომ დაგადგენს ამ ცისქვეშეთში. გეთანხმებით, ირგვლივ სიძულვილის ენაზე გადმოიღვარცოფა წამლეკავმა ცინიზმმა, ჩასაფრებამ და კრულვამ. ასეთია **„ახალი ნაციის“** დედაენა.

ამგვარმა მართვადმა ქაოსმა, რომელიც ქვეყანას მოახვია თავს აგრესიული გლობალიზაციის საოკუპაციო ნომენკლატურამ და რისი მართვის პულტთან ახალი ნაცია (თაობა) მოხალისედ დადგა, უზრუნველყოფს იმას, რომ საქართველო დღეს სახელმწიფო კი არაა, არამედ, იგი გახლავთ ადმინისტრაციული მოსაზღვრულობა, რომელშიც ცხოვრობს მიზნობრივად დაქუცმაცებული, თან ერთმანეთთან კრიჭაში დგომის წესით მოყოველდღიურე მილევადობა.

თაობამ (ახალმა ნაციამ), რომელმაც გარეწრეული (ლ. სანიკიძე) დახმარებით ჩაიბარა აწმყო, იგი ღირებული, ერის სულიერად გამაერთსხეულებადი მსოფლმხედველობით არც და ვერც გააშინაარსა.

საფორიაქოა მისი პოლიტიკური პროგრამაც: თუ წამოგცდათ სიტყვა **„ზანგი“**, უმალვე რასისტს გიწოდებენ, მამათმავალს თუ გაერიდები, ე.წ. სქესობრივი უმცირესობის მტრად გაგასაჯარისებენ, მაგრამ გადმონთხეული ზიზღით ქართველ მოძულეობას თუ გაახვავრიელებ, მყისვე გიბოძებენ **„უფლებადამცველის“** წოდებას და საზოგადოების ერთი ნაწილის სადირექტორო საშვს.

ბუნებრივია, ასეთ გარემოში ჩრდილო-დასავლეთ საქართველოსა (აფხაზეთსა) და ცხინვალის მხარის (ზემო იმერეთის, ზემო რაჭის, ჩრდილო ქართლის) დეოკუპაციაზე საუბარი ქვეყნის პოლიტიკური დღის წესრიგიდან გაძევდა ან, უკეთეს შემთხვევაში, მან მიიღო არა სამშობლოს გაერთიანების (მტრული ძალების მიერ მიტაცებული ქართული მიწების გაერთსხეულების) შინაარსი, ან კიდევ ასეთი ძალისხმევისათვის თავგანწირვის ხასიათი, არამედ, ყველაზე უკეთეს შემთხვევაში იგი გადაიქცა რაღაცა ადმინისტრაციის ტერიტორიული მთლიანობის აღდგენის რაობად.

ასეთი **„ტერიტორიული მთლიანობის აღდგენა“** ყოველთვის არ ნიშნავს ხელოვნურად აქნილი და დანაწევრებული სამშობლოს ერთსხეულობას.

ცხადია, დღეს ჩვენი ქვეყნის მდგომარეობას ჭირისუფალი არ ჰყავს. თაობამ მოირგო ისეთი არასახალხო მდგომარეობა, რომლის შესაბამისად დაივალა საბოტაჟი ერის წინააღმდეგ, თუმცა ამაოდ ცდილობს, იგი შენიღბოს ვითომ ოპოზიციონერობაში.

პიროვნების (ან თაობის) საქციელი, რომელიც საზოგადოებისათვის (ერისთვის) კულტურალურად მიუღებელია, არის ეგოპარანოიის გამოვლინება, ანუ პსიქოპატიური მდგომარეობა. ესაა მოვლენა, როდესაც ვიღაც ერთს ან რაღაც სიმრავლეს არ შეუძლია საკუთარ შეცდომაზე ისწავლოს, მიდრეკილია **„პარაჟენცული“** მიზნებისკენ, აბედნიერებს საკუთარი ქვეყნის დამარცხება, საზოგადოებას მიუძღვება კონფლიქტური და ქაოსური აულაგმაობისკენ.

თაობა, რომელიც ქვეყანაში თავს იდგენს **„ახალ ნაციად“** და ცდილობს ქართველ ერს ჩაენაცვლოს, სწორედ ასეთი ფსიქოპატური, შედეგად ქვეყნის ორგული გახლავთ.

გადახედეთ მის ე. წ. რეფორმებს: ასე მაგალითად (ურიცხვი სისულელიდან რომელზე შეგახედოთ): თეატრალურ უნივერსიტეტში გაუქმდა მეტყველების კათედრა, არადა, მსახიობის ოსტატობა დამოკიდებულია მეტყველების კულტურაზე, რომელიც მოძრაობასთან, გარდასახვასთან და, რაც მთავარია, ინტელექტთან ერთად, ქმნის სახეს.

ქართული ენა, რომელსაც ნებისმიერი ამმსოფლიური გაშინაარსება ანუ კაცობრიობის ყველანაირ ენაზე ნაფიქრ-ნააზრევი შეუძლია მშობლიურ სიტყვათა მარაგით მაღალმხატვრულად, თან ზედმიწევნითი სიზუსტით გადმოსცეს, ამავე დროს ჩაიწეროს საკუთარი მრავალათასწლოვანი ანბანით (ასომთავრულით, ნუსხურით, მხედრულით), წინამდებარე **„ახალი ნაციის“** (ლგბტ-თემის, ე. წ. არასამთავრობოების, ვითომ უფლებამცველებისა) და ხელისუფლების ხელში გადაიქცა ისეთივე ენად, საბჭოთა მთავრობამ მანამდე უმწერლობო და იმ დროს საგანგებოდ **„მშობლიური“** მწერლობა თავს მოხვეულ ხალხებს რომ შეუქმნა ხელოვნურად საბჭოთა იმპერიაში.

განსხვავება ისაა, რომ ის ენები რუსული სიტყვებით ახმოვანებდნენ მათ ენაში არ არსებულ ცნებებს, ჩვენს შემთხვევაში ჩიქორთულ ინგლისურს ვამკვიდრებთ ქართული შესატყვისების ნაცვლად.

ამ და ამის მსგავსი უვიცობებით, აი, ეს აღზრდის, ცოდნისა და განათლების საწყისი მოშალა ამ „რეფორმამ“, ანუ განათლების სისტემა მიზნობრივად დაუნგრიეს ქვეყანას.

დიდმა მიხეილ ჯავახიშვილმა, ამჟამად სასკოლო სახელმძღვანელოებიდან გაძევებულმა კლასიკოსმა, ე. ი. ხელმეორედ რეპრესირებულმა მწერალმა ოკუპანტს ჯაყო დაარქვა.

ჯაყოსთვის ქართველი არის პირადი საკარ-მიდამო, სადაც თავისი ქვენა გრძნობებით უნდა დასაწყობდეს.

შეუგინებლობის გაუპატიურებაზე მეტი რა უნდა ეჩვენებინა სულნათელს ქართული საზოგადოებისათვის, რომ მას (ქართველობას) ჯაყოს მიერ საფქვავ აკიდებული მისი ამ შეუგინებლობის დანახვით თავი ღირსებაშელახულად ეგრძნო: თქვენ ნუ მომიკვდებით, არა და არ ჩამოწვეთა სიმწრის ოფლმა ქართული საზოგადოების შუბლზე!..

1989 წელს პროფესორმა ლევან სანიკიძემ გამოსცა სქელტანიანი ნაშრომი **„მესამე დასის საქართველო“ („მერანი“)**. ეს წიგნი სხვადასხვა **„ტალკუჩკაზე“** 1 ლარად იყიდება დღესაც. არადა, რაოდენ საჭირო და შემოსაგაკვეთილებელი ცნობებია მასში: **„და უცებ ფეხზე წამოიჭრა კაკი წერეთელი, თავში მუშტები წაიშინა და ისევ სავარძელში ჩაიკეცა ისტერიული კივილით: „რას შვრებით, რას სჩადიხართ, ქართველებო, თქვენ ხომ რუსეთის დემოკრატიას ღუპავთ, რუსეთის დემოკრატიას!“.**

ვუყურებ დღეის საზოგადოებას და ასე მგონია, დედასამშობლოში ისევ მესამე დასის საქართველოს ინკუბატორებში გამოინკუბატორებული გარეწრეული ნახირი მოიცოხნის საცოხნს, არაფერი შეცვლილა: **„ჩვენთვის ნაციონალური კულტურა არ არსებობს, ნაციონალურ ენას მხოლოდ პირობითი მნიშვნელობა აქვს; რაც შეეხება ნაციონალურ ზნე-ჩვეულებას, ესენი მხოლოდ კონსერვატორობის გამომხატველია“** (ფილიპე მახარაძე).

...სულზე ჩემი ტანჯული საქართველოს ფიქრები მათოვს, წინგაუხედავი თაობისგან დაჭრილი მკერდიდან სისხლს ვარწყევ და აკაფაში (სოხუმი) უჭირისუფლოდ მიტოვებული მამაჩემის საფლავი მტკივა!..

ამ დღეში მყოფი მკაფიოდ ვხედავ: საქონდაქრე ძელზე გაკრულს თუ როგორ მიხაზირებენ სადამსჯელო კოცონს. რაც მთავარია, ცხადად ჩანს, მოხალისე რომ ემამითადება ჯალათებს ფიჩხით, დაპობილი შეშით, კუნძით, ასანთით, არც ისაა მიფარდული, ხელისგულების გასათბობად ვინც იჭერს თადარიგს!..

ხვალამდე, სანამ ამავე მიზნით შენც მოგაკითხავენ, იქნებ შემიჩერდე და იგაკვეთილო ამ მხრივ ჩემი გამოცდილება, ქრისტეს მიერ სულიერო ძმაო!..

**სერგი საჯაია**

ეროვნული ბიბლიოთეკა

# მერაბიშვილმა ახალაიებს ,,გაუჩალიჩა,, — ბოკერიას საიდუმლო რანდევუ უკრაინაში

### ბოკერიას საიდუმლო რანდევუ უკრაინაში — ნაცები და ექსნაცები ერთმანეთს კომპრომატებით აშანტაჟებენ?

მართალია, ამ თემაზე ბევრი ითქვა და დაიწერა, მაგრამ მიუხედავად ამისა, ნაცმოძრაობის დაშლა კარგა ხანს იქნება განსჯა-გაანალიზების საგანი. რეალურად, რა მოხდა ყოფილ მმართველ პარტიაში და რატომ აქციეს ძირძველმა მეგობრებმა ზურგი პრეზიდენტყოფილ მიხეილ სააკაშვილს? — ამ კითხვაზე ყველას, ვისაც არ ეზარება, საკუთარი პასუხი აქვს, მაგრამ რეალობა მხოლოდ ე.წ. ახირებულებმა და ცხადია, სააკაშვილმა იციან.

ასეა თუ ისე, ფაქტია: ერთ დროს ძლევამოსილი პოლიტიკური გაერთიანების დაშლა მომგებიანი ყველაზე მეტად **„ოცნებისთვის“** არ უნდა იყოს, რამეთუ 2012 წლის პირველი ოქტომბრიდან ანუ იმ დღიდან მოყოლებული, როცა ივანიშვილის გუნდმა ხელისუფლება გადაიბარა, მისი დარტყმის მთავარი ობიექტი სწორედ ნაცმოძრაობა გახლდათ, რაც იმას ნიშნავდა, რომ ყველაფერ ცუდს ექსმმართველ გუნდს აბრალებდა და ხშირად მისგან მოწყობილი საბოტაჟითაც აპელირებდა. ახლა კი აბსოლუტურად განსხვავებული მოცემულობაა და აი, რატომ: მიშას აუგად მხოლოდ **„ოცნება“** კი არა, თავად მეგობარყოფილებიც მოიხსენიებენ. ყოველ შემთხვევაში, საპატიმროდან გათავისუფლებულმა თბილისის ყოფილმა მერმა, გიგი უგულავამ სააკაშვილს, პრაქტიკულად, პოლიტიკური ჯართი უწოდა.

როგორ იქცა სააკაშვილი **„პოლიტიკურ ჯართად“**? — იმ მონაცემების მიხედვით, რომელიც **„ვერსიამ“** სხვადასხვა კონფიდენციალური წყაროსგან შეაგროვა, ერთ დროს ქართული პოლიტიკის ვარსკვლავად სახელდებული ოდესის ყოფილი გუბერნატორი **„გაჯართებისკენ“** ეტაპობრივად მიდიოდა.

**„ის, რაც დაემართა, მე თუ მკითხავთ, მიშამ საკუთარ თავს უნდა დააბრალოს. კი ბატონო, პარტიული ორგანიზაცია შეინარჩუნა, მაგრამ რაც უნდა იძახონ, განსაკუთრებული არაფერი მომხდარაო, ყველამ კარგად იცის, რომ გიგას თუნდაც იგივე გიგის გამიჯვნა ნაცმოძრაობისთვის დიდი დანაკლისია. საერთოდ, მიშა ცოტა უფრო ჭკვიანურად რომ მოქცეულიყო, დღეს ყოფილი მმართველი პარტია ისევ ერთიანი იქნებოდა და არც ვანო მერაბიშვილი გაემიჯნებოდა,** — ეუბნება **„ვერსიას“** ადამიანი, რომელიც ნაციონალების შიდა სამზარეულოს კარგად იცნობს და რომელიც აქვე, იმ წერილსაც იხსენებს, რომელიც სააკაშვილმა 2006 წლის ზაფხულში სოციალურ ქსელში გამოაქვეყნა, — **დეტალებს არ ჩავუღრმავდები, ამ წერილში ვანო მერაბიშვილი პიროვნულად ნახსენები არ იყო, მაგრამ სააკაშვილი მასზე ბევრ უსიამოვნო მინიშნებას აკეთებდა. ჰოდა, ვითარებაში გასარკვევად, როგორც ვიცი, გიგა ბოკერია კიევში გადაფრინდა და მიშასთან არასასიამოვნო საუბარიც ჰქონდა. მოკლედ, სწორედ აქედან დაიწყო ნაცმოძრაობის დაშლა“,** — აღნიშნავს **„ვერსიის“** კონფიდენტი, რომელიც ასევე, ხაზგასმით ამბობს, რომ ყოფილი მმართველი პარტიის დაშლაში ლომის წვლილი ე.წ. ახალაიების კლანს მიუძღვის.

**„ზოგადად, ჯერ კიდევ მაშინ, როცა ხელისუფლებაში იყვნენ, პერიოდულად ვრცელდებოდა ხმა, რომ ნაციონალები რამდენიმე ბანაკად იყვნენ დაყოფილნი. მიშას კარზე სხვადასხვა დროს სხვადასხვა კლანი წინაურდებოდა, მაგრამ ახალაიების ფრთამ გავლენა სააკაშვილის პრეზიდენტობის შემდეგაც შეინარჩუნა ანუ სხვა სიტყვებით რომ გითხრათ, ის, რაც ნაცებში მოხდა, პრაქტიკულად, ინტელექტუალებისა და „პლებეების“ დაპირისპირებაა და მეტი არაფერი. ისე, თუ დააკვირდებით, ნაცებს უმეტესად ინტელექტუალები გამოეყვნენ, თუმცა პარტიაში თითო-ოროლა ინტელექტუალიც დარჩა. ავიღოთ, მაგალითად, გია ბარამიძე ან პეტრე ცისკარიშვილი. ბარამიძეზე ვერ გეტყვით, მაგრამ თავდაპირველად ცისკარიშვილიც წამოსვლას აპირებდა, თუმცა ახალაიების კლანმა, რომელსაც ამჯერად მამა ახალაია ანუ როლანდი უდგას სათავეში, როგორც მითხრეს, კომპრომატების გამოქვეყნებით დააშანტაჟა. სავარაუდოდ, კომპრომატების გამოქვეყნების მუქარით დარჩა ნაცმოძრაობაში ნიკანორ მელიაც.**

**რაც შეეხება გია ბარამიძეს, ის ჟვანიას გუნდის ერთადერთი ყოფილი წარმომადგენელია, რომელიც ბოკერია-უგულავასთან არ წავიდა და აქაც, ალბათ, ისევ მამხილებელ მასალებთან მივდივართ,** — გამოთქვამს ვარაუდს **„ვერსიასთან“** ოპერატიულ კავშირზე მყოფი სუბიექტი, რომელიც კომპრომატების კონტექსტში 2005 წლის 3 თებერვლის ღამესაც იხსენებს, — **ბარამიძე ის ადამიანია, რომელსაც ზურაბ ჟვანიას გარდაცვალების თაობაზე პირველს აცნობეს. ჰოდა, არავინ იცის, საბურთალოს ქუჩაზე მისულ ბარამიძეს რა ანახეს. გარდა ამისა, ბარამიძე ე.წ. აფრასიძეების საქმის მთავარი ფიგურანტიც არის.**

**მოკლედ, იმის თქმა მინდა, რომ ამ პიროვნების გასაფუჭებლად იგივე ახალაიების კლანს, ალბათ, საკმარისზე მეტი მასალა აქვს. ბარამიძე გამოცდილი პოლიტიკოსია — 90-იანი წლებიდან მოყოლებული ბევრი აქვს ნანახი და, წესით, ისიც ეცოდინება, ურჩობას რა შეიძლება მოჰყვეს. ამიტომ, ჩემი ვარაუდით, შეიძლება, ძალიანაც არ უნდოდა, რომ სააკაშვილთან დარჩენილიყო, მაგრამ მეტი გზა არ ჰქონდა“.**

ერთ-ერთი პირველი, ვინც თამაშიდან გავიდა, მიხეილ მაჭავარიანი გახლდათ — მან ჯერ კიდევ 8 ოქტომბრის არჩევნების დამთავრებისთანავე განაცხადა, რომ პოლიტიკურ ტაიმ-აუტს იღებდა, მაგრამ საბოლოოდ, მაჭავარიანი ბოკერია-უგულავასთან ვიხილეთ, რასაც **„ვერსიის“** კონფიდენციალური წყარო **„ლოგიკურს“** უწოდებს.

**„იმაზე, რასაც ახლა ვიტყვი, საავტორო უფლება მე არ მეკუთვნის — მიშა მაჭავარიანს „ქართველ გებელსს“ ჯერ კიდევ მოქკავშირის დროს ეძახდნენ ანუ ეს არის ადამიანი, რომელსაც ნებისმიერი ინტრიგის დაგეგმვა კარგად შეუძლია, თან იმის უნარიც აქვს, ამ ინტრიგიდან სუფთა გამოვიდეს. სწორედ ამ ნიუანსის გათვალისწინებით, რატომღაც მგონია, რომ დიდ ნაციონალურ ბუნტში თვისი სიტყვა მაჭავარიანსაც ექნება ნათქვამი,“** — აღნიშნავს წყარო.

ნაცმოძრაობის მეშვიდე ყრილობაზე ნათელი გახდა, რომ დაშლილ პარტიას საგარეო საქმეთა ექსმინისტრი გრიგოლ ვაშაძე, ასევე, ნიკა რურუაც შეუერთდა. მას შემდეგ, რაც ნაცმოძრაობამ ხელისუფლება დაკარგა, ვაშაძემ, რურუამ და კიდევ რამდენიმე ადამიანმა საზოგადოება **,,ივერია”** დააფუძნეს, რომელიც პოლიტიკაში არ ერეოდა, მაგრამ აშკარად ყოფილი მმართველი გუნდის პოზიციებს ამაგრებდა. არცთუ დიდი ხნის წინ, **,,ივერია”** დაიშალა და ნიკა რურუა ნაცმოძრაობის მთაწმინდის მაჟორიტარობის კანდიდატად მოგვევლინა. აქედან გამომდინარე, გასაკვირი არაა, რომ რურუა, რომელსაც თავის დროზე კულტურის მინისტრის პოსტი ეკავა და რომლის სახელსაც 90-იანი წლების არაერთი შავ-ბნელი საქმე უკავშირდება, სააკაშვილის გვერდით დარჩა, მაგრამ საზოგადოების ნაწილი ნაცების მე-7 ყრილობაზე გრიგოლ ვაშაძის გამოჩენამ გააკვირვა, თუმცა **„ვერსიის“** წყარო ამბობს, რომ ამაში გასაკვირი არაფერია.

**„შეიძლება, ეს ღიად არ ჩანდა, მაგრამ გრიგოლ ვაშაძე ყოველთვის ახალაიების კლანთან ასოცირდებოდა და სააკაშვილთან მისი დარჩენაც, უფრო სწორად, აქტიურ პოლიტიკაში ჩაბმაც იმის ნათელი დასტურია, რომ მიშა ახალაიებმა დაღუპეს“,** — გამოთქვამს თავის ვარაუდს **„ვერსიის“** კონფიდენტი.

ყოველივე ზემოთქმულიდან გამომდინარე, შეიძლება ითქვას, ახალაიები სააკაშვილის პოლიტიკური მესაფლავეები არიან. ახლა, ეს შესაძლოა, გადაჭარბებული შეფასებაა, მაგრამ **„ვერსიის”** წყაროების ვერსიებს, რომ სააკაშვილი ახალაიების ტყვეობაშია, კიდევ ერთი გარემოება ადასტურებს: ნაცმოძრაობას ყველაზე ბოლოს პატიმრობაში მყოფი შს მინისტრი გაემიჯნა, უფრო კონკრეტულად, ვანო მერაბიშვილმა, რომელსაც მე-7 ყრილობაზე პარტიული თანამდებობა შეუნარჩუნეს, მოგვიანებით გაავრცელა ინფორმაცია, რომ ნაცმოძრაობის გენმდივნად დარჩენაზე თანხმობა არ განუცხადებია. ადამიანები, ვინც ნაცმოძრაობის კულუარებში კარგად ერკვევიან, ამბობენ, რომ მერაბიშვილსა და ახალაიებს **„მეგობრული და თბილი ურთიერთობა”** არც მაშინ ჰქონიათ, როცა ქვეყანას ნაცმოძრაობა ერთპიროვნულად მართავდა. ამ დაპირისპირებაზე ხმა იმ ყბადაღებულ და ავადსახსენებელ 9 წელშიც არაერთხელ გავრცელებულა. ბოლოს კი, ისიც ითქვა, რომ იგივე **„ციხის კადრები”** სწორედ ამ **„ორთაბრძოლის”** შედეგი იყო ანუ თითქოს მერაბიშვილმა ახალაიებს **„გაუჩალიჩა”**, თუმცა ამ საკითხზე მტკიცებით ფორმაში ლაპარაკი, ცხადია, შეუძლებელია.

ისე, ერთი კია: იმ დროს, როცა ქვეყანაში კედლებსაც ყურები ჰქონდა და, როგორც ამბობენ, მერაბიშვილი ყველას საძინებელს აკონტროლებდა, **„ციხის კადრები”** გლდანის ციხის ჯურღმულებიდან დღის სინათლეზე როგორ მოხვდა?

ასეა თუ ისე, ვანო მერაბიშვილი, რომელიც საპყრობილეს, სავარაუდოდ, მალე დატოვებს, სააკაშვილისთვის, როგორც იტყვიან, მოსიარულე ბომბი იქნება, რადგან მერაბიშვილი ის ადამიანია, რომელმაც ექსპრეზიდენტსა და, ზოგადად, ყოფილ მმართველ გუნდზე, იგივე ახალაიებზე ძალიან ბევრი რამ იცის. ყველაფერ აქედან გამომდინარე, უნდა ვივარაუდოთ, რომ ნაცებისა და ექსნაცების ომი მალე კულმინაციას მიაღწევს და შესაძლოა, დიდი ბატალიების მოწმენიც გავხდეთ.

ნინო დოლიძე

# “როცა საქართველოში ჩავედი, ხალხმა იცოდა ცეკვა-სიმღერა და სადღეგრძელოების თქმა, მეტი არაფერი” — მიხეილ სააკაშვილი ქართველებზე

საქართველოს ექს-პრეზიდენტმა მიხეილ სააკაშვილმა უკრაინული ტელეკომპანია Чернівецький Промінь-ის ეთერში საქართველოში მისი მთავრობის მიერ განხორციელებულ ცვლილებებზე და უკრაინაში დაგეგმილ და განსახორციელებელ რეფორმებზე ისაუბრა

**“როცა მე საქართველოს პრეზიდენტი გავხდი, ქვეყანას ჰყავდა 100 000 ვიზიტორი, ტურისტიც კი არა. როცა მე დავასრულე ჩემი ვადა, ქვეყანას ჰყავდა 6 მილიონი ტურისტი. როგორ გავაკეთეთ ეს? ჩვენ ვხატავდით ქალაქებს, ვიგონებდით მათ, ისინი არ იყო და ვიგონებდით. მაგალითად, ბათუმი მე პირადად დავხატე და მოვიგონე — რაღაც ვალენსიიდან, რაღაც ბარსელონიდან, რაღაც ნიციდან და ნიუიორკიდან. ავიღეთ ელემენტები და ის ახლა მსოფლიოს ერთ-ერთი ულამაზესი ქალაქია...**

**“უკრაინელები ქართველებზე მეტად შრომისმოყვარენი და კანონმორჩილები არიან, უფრო გახსნილები რეფორმებისთვის ვიდრე ქართველები იყვნენ მაშინ, როცა ვიწყებდით. ახლა ქართველებმაც ისწავლეს, პოსტსაბჭოთა თაობა შეიცვალა, გაიზარდა. როცა მე საქართველოში ჩავედი, ეს იყო კარიკატურული ქვეყანა, სადაც ხალხი დადიოდა ულვაშებით, აეროდრომი-ქუდებით, იცოდნენ ცეკვა-სიმღერა, სადღეგრძელოების თქმა და მეტი არაფერი შეეძლოთ. ახლა, საქართველო არის მაღალტექნოლოგიური ქვეყანა, ქვეყანა სადაც სრულიად არაჩვეულებრივი ახალგაზრდობა ცხოვრობს, სადაც უამრავი საინტერესო ინიციატივა იბადება ეკონომიკის სფეროში, ქვეყანა, რომელიც ყველაზე ნაკლებად კორუმპირებულია, მაშინ როცა ახლა უკრაინა ევროპაში ყველაზე კორუმპირებული ქვეყანაა.**

**ასე რომ, უკრაინელი ხალხი უფრო მეტად არის მზად რეფორმებისთვის, ვიდრე ჩვენ ვიყავით. ერთადერთი პრობლემა არის მთავრობა, რომელიც ახლა ყავს უკრაინას. ჩვენ ახლა ხელისუფლება არ გვყავს. პოროშენკო დაკავებულია ტელეკომპანიების კონტროლით, ყიდულობენ პატარა ტელეკომპანიებს, ზუსტად იანუკოვიჩის მსგავსად. მე უკვე აღარ მაჩვენებენ არც ერთ ცენტრალურ არხზე. ქვეყანას ახლა აკონტროლებს კრიზისი და არა ხელისუფლება. აქ უნდა შეიცვალოს პოლიტიკური კლასი, რადგან ძველი პოლიტიკური კლასი ვერ გაატარებს რეფორმებს. “ბარიგები” ვერ შექმნიან თანამედროვე სახელმწიფოს. რა გავაკეთეთ ჩვენ საქართველოში? შევქმენით სახელმწიფოებრიობა. აი, ეს სჭირდება უკრაინას”** — აღნიშნა სააკაშვილმა საუბრისას.

*“ილორის” კომენტარი — ამ არამზადის აზრს რომ გაეცნობი, ოდნავი ეჭვიც არ გრჩება ადამიანს იმაზე, რომ სააკაშვილი არის ქართველთმოძულე სომეხი დაშნაკი სააკიანცი, რომელიც უკვე ზიზღს ვეღარ უჭერს თავს. არ გამოვრიცხავ, რომ მას ბავშვობიდან გამოყოლილი სინდრომი აწუხებდეს დღესაც და ის ასოციაციები უმღვრევდეს გონებას, როცა დედამის გიულის ღამღამობით “ულვაშიანი და აეროდრომისქუდიანი” ქურთები, მოგვიანებით კი იგივე კონფიგურაციის თურქები სტუმრობდნენ და მთელი ღამე დროს ატარებდნენ მასთან. ის თუ მიაჩნია სააკიანცს ქვეყნის პროგრესად როცა სკოტჩით სკამზე მიჭედებულ მამაკაცს კასტილიანი არამზადა აუპატიურებდა 30 ლარად, ან მისი მითითებით ჩადენილი ამაზრზენი მკვლელობები თუ უკანატანში ცოცხგაჩრილი პატიმრები, ასეთი “სიამოვნება” არ მოჰკლებოდეს მის ცოლშვილს და მის ყველა გულშემატკივარს!*

*რა იცის ამ მართლაც ბიოლოგიურმა და პოლიტიკურმა ნაბიჭვარმა, რითი სულდგმულობდა “ვეფხისტყაოსნისა” და აგიოგრაფიის შემოქმედი საქართველო საუკუნეების განმავლობაში, როცა მისმა თანამემამულეებმა ზურგი აქციეს ქრისტიანულ სარწმუნოებას და მტრად გადაეკიდნენ საქართველოს. დიახ, ეს არამზადები დღესაც მტრობენ იმ საქართველოს, რომელმაც ძნელბედობის ჟამს შეიფარა თურქეთიდან სიკვდილს გამოქცეული სომხები, დაასახლა ისინი ჯავახეთში, გაუჩინა სარჩო-საბადებელი, ეს უღლეურები კი დღეს ამტკიცებენ, რომ ჯავახეთი სომხეთის ძირძველი ტერიტორიააო. ასევე არაადამიანურად მოიქცნენ ეს არამზადები აფხაზეთში, საიდანაც აფხაზთა მოძმე ქართველები იარაღით გამოყარეს, ახლა კი აფხაზეთში სომხური კულტურული ავტონომიის მოთხოვნას ბედავენ.*

*აი, ასეთი გარეკილი და უტიფარი ნაბიჭვარია მიხეილ სააკიანცი და ჩვენ ჭეშმარიტად გვეცოდება ყველა ის ქართველი, ვინც ჯერ კიდევ მხარს უჭერს საქართველოს დამაქცევარ ნაციონალებს და მათ ხელისუფლებაში დაბრუნებაზე ოცნებობს.*

*უკანმოსვლამდე არაფერი გეჭამოთ, თქვე საცოდავო ნაცებო და ნაცთა მომხრეებო!*

*მაგრამ, თუ უფრო სერიოზულად შევხედავთ ამ საქმეს, უპრიანი იქნება დავიმოწმოთ ჟურნალისტი ნუგზარ ფოფხაძე:*

*“არასოდეს, ხალხის არჩეულ არცერთ პრეზიდენტზე საჯაროდ აუგი არ მითქვამს. ეს შემთხვევა გამონაკლისი იქნება: მხოლოდ კარიკატურულობაზე, ულვაშებზე, ცეკვა-თამაშსა და სადღეგრძელოებზე.*

*ბოდვა თუ მართლა მას ეკუთვნის, გადაუდებლად სამკურნალოა!!! არადა, აქამდე მაინც ნიჭიერ ადამიანად ვიცნობდი. სასწრაფოდ, ექიმთან!!!”*

*იმდენად არაკაცური და ამაზრზენია სააკიანცის საქციელი, რომ აღშფოთებას ვერ მალავს თვით თამარ ჩერგოლეიშვილიც კი, გიგა ბოკერიას მეუღლე, ერთ დროს თავად გამოუსწორებელი ნაციონალი და სააკიანცის ყველა ხუშტურის “გამპრავებელი”:*

*“ძლივს რაღაც სასიხარულო რომ მოხდება — ვიზალიბერალიზაციას ვგულისხმობ — რატომ უნდა მოგინდეს* ***party pooper-oba****, გაუგებარია.*

*რატომ საუბრობ სხვის ქედმაღლობაზე მაშინ, როდესაც თავად, მთელ ერს კარიკატურას უწოდებ, ერს რომლის 95%-მაც ერთ დროს შენ აგირჩია, გაუგებარია როგორც მორალურად, ისე პრაგმატულად. გაუგებარია, რატომ ანთხევთ ბოღმას საკუთარ თანამემამულეებზე. გაუგებარია, რატომ აყენებთ შეურაცხყოფას თანამოქალაქეებს, რატომ წარმოაჩენთ მათ ქურდბაცაცებად.*

*გაუგებარია, რატომ ამტკიცებთ, რომ ევროპელების ამ ნაბიჯით ქართველები ბოროტად ისარგებლებენ. გაუგებარია, რატომ აზოგადებთ მთელ ერზე იმ დანაშაულს, რასაც კონკრეტული ადამიანები სჩადიოდნენ, სჩადიან და კვლავაც ჩაიდენენ.*

*ასევე გაუგებარია, რატომ საუბრობ სხვის ქედმაღლობაზე მაშინ, როდესაც თავად, მთელ ერს კარიკატურას უწოდებ?*

*ასევე გაუგებარია, რატომ უნდა ანთხიო შხამი, იმის ნაცვლად, რომ გადაწვე და დატკბე იმით, რომ შენმა შრომამ შედეგი მოიტანა — მერე რა, რომ ოპონენტი გიხტება წილში (თუნდაც დაუმსახურებლად), რა გამოდის? ასე ხომ იწვები, რომ ყველაფერს არა ჩვენი ხალხის საკეთილდღეოდ, არამედ საკუთარი თავისთვის პოლიტიკური ქულების დასაწერად აკეთებდი?*

*ზნეობას რომ თავი დავანებოთ და თუნდაც ცინიკურად მივუდგეთ, თვითკონტროლი როგორ უნდა მოგეშალოს ისე, რომ იმასაც ვერ მიხვდე — მთლიანად აცდენილი რომ ხარ ხალხის განწყობას? საიდან ამდენი უკონტროლო გესლი?”*

ეროვნული ბიბლიოთეკა

# პარლამენტი თბილისში გადმოაქვთ

“საქართველოს პარლამენტის ქუთაისიდან დედაქალაქში გადმოტანა პრაქტიკულად გადაწყვეტილია. ყველა ერთის წინააღმდეგ – კონსტიტუციიდან, დიდი ალბათობით იმ მუხლს ამოიღებენ, რომელიც პარლამენტის ადგილსამყოფლად ქალაქ ქუთაისს განსაზღვრავს. კომისიის ფარგლებში ასევე გამოითქვა მოსაზრება, რომ ყველა კონსტიტუციური ორგანო იყოს დედაქალაქში და ეს თავად კონსტიტუციით განისაზღვროს. შეგახსენებთ, რომ ამას წინათ საკონსტიტუციო კომისიის მორიგი სხდომა გაიმართა, სადაც საკანონმდებლო ორგანოს ადგილმდებარეობზე მსჯელობდნენ. ამ ეტაპზე კომისიის წევრების მხრიდან პოზიციის დაფიქსირება მოხდა და როგორც აღმოჩნდა, პრაქტიკულად ყველა პარლამენტის თბილისში გადმოტანას ემხრობა. წინააღმდეგი იყო მხოლოდ ერთი კომისიის წევრი ზურაბ ჭიაბერაშვილი. რომელიც კონსტიტუციაში არსებული ჩანაწერის უცვლელად დატოვებას ითხოვს. დანარჩენი კი ამ ჩანაწერის შეცვლის მომხრეა და პარლამენტის ადგილსამყოფელის განსაზღვრად თბილისის, ან დედაქალაქის ჩაწერას ითხოვს”, – იუწყება სოციალურ ქსელებში გამოქვეყნებული წერილები სათაურით **“პარლამენტი თბილისში გადმოაქვთ/საკონსტიტუციო კომისიაში ამ იდეას მხოლოდ ერთი მოწინააღმდეგე ჰყავს”.**

**“პარლამენტის ადგილსამყოფლის საკითხთან დაკავშირებით, კომისიის ერთი წევრის გარდა თითქმის ყველა იყო ერთ აზრზე. დასახელდა რამდენიმე ვარიანტი – ერთია კონსტიტუციიდან საერთოდ ამოვიღოთ ნორმა, რომელიც პარლამენტის ადგილსამყოფელს განსაზღვრავს და ეს საკითხი განისაზღვროს პარლამენტის რეგლამენტით. მეორეა ის, პირდაპირ კონსტიტუციაში გაიწეროს, რომ პარლამენტის ადგილსამყოფელია ქალაქი თბილისი. იყო მოსაზრება, ხომ არ გაიწეროს კონსტიტუციაში, რომ პარლამენტის ადგილსამყოფელი არის ქვეყნის დედაქალაქი. ერთადერთი, ვინც გამოთქვა მოსაზრება, რომ პარლამენტი ქუთაისში უნდა დარჩეს, ყოფილი “ნაციონალი” ზურაბ ჭიაბერაშვილი იყო”** – აცხადებს საკონსტიტუციო კომისიის წევრი, დეპუტატმა გიორგი კახიანი. კომისიის კიდევ ერთი წევრი, ფრაქცია **“ქართული ოცნების”** თავმჯდომარე მამუკა მდინარაძე ამბობს, რომ **“პარლამენტის ადგილმდებარეობის კონსტიტუციაში განსაზღვრა სწორი პრაქტიკა არ არის”**, – აღნიშნავს გამოცემა.

**“კომისიის ერთი წევრის გარდა, ძალიან დიდი უმრავლესობა აყენებდა საკითხს, რომ პარლამენტის ადგილმდებარეობად განისაზღვროს თბილისი. აღნიშნულ საკითხზე იქნება ცხარე კამათი, მსჯელობა. ჩემი პირადი მოსაზრებაა, რომ კონსტიტუციით არ იყოს განსაზღვრული პარლამენტის ადგილსამყოფელი და მოხდეს შესაბამისი მუხლის კონსტიტუციიდან ამოღება”**, – აცხადებს მამუკა მდინარაძე. **“საპარლამენტო უმცირესობის წევრის ზურაბ ჭიაბერაშვილის თქმით, მისთვის მიუღებელია კოლეგების აზრი, რომ პარლამენტის ქუთაისში ყოფნა რეგიონის განვითარების თვალსაზრისით არაფერს ცვლის. საპარლამენტო უმრავლესობის წევრის ზაზა გაბუნიას თქმით კი, თუ სად იქნება პარლამენტი, ეს საკითხი ჯერ გადაწყვეტილი არ არის. მისი თქმით, ამასთან დაკავშირებით აზრთა სხვადასხვაობაა თავად უმრავლესობის წევრებში”**, – განაგრძობს გამოცემა.

**“პარლამენტის ქუთაისიდან თბილისში გადმოტანას მხოლოდ მე ვეწინააღმდეგები. დანარჩენი წევრები ითხოვდნენ, კონსტიტუციაში პარლამენტის ადგილსამყოფელი ჩაიწეროს თბილისი ან დედაქალაქი. მათი მოსაზრება იყო, რომ პარლამენტის ყოფნა ქუთაისში რეგიონის განვითარების თვალსაზრისით არაფერს ცვლის. ამ მიდგომასთან მაქვს სერიოზული პრეტენზია, იმიტომ, რომ თავის დროზე, როცა გადატანა მოხდა, არავინ ფიქრობდა, რომ ეს იქნებოდა იმერეთის რეგიონის, ქუთაისის განვითარების ერთადერთი გარანტია. საუბარი იყო კომპლექსურ ღონისძიებებზე, მათ შორის სახელმწიფო ინსტიტუტების გადატანაზე სხვადასხვა რეგიონებში, მაგალითად, საკონსტიტუციო სასამართლოს გადატანა ბათუმში, პარლამენტის ქუთაისში. ამას ასევე ახლდა ქვეყნის სწრაფი ეკონომიკური ზრდა აქტივობა და ინფრასტრუქტურული მშენებლობები რეგიონებში და მათ შორის გავიხსენებ ქუთაისის აეროპორტის მშენებლობას. მაშინ ზუსტად ის ხალხი, ვინც დღეს გადმოტანას უჭერს მხარს, აბუჩად იგდებდა ქუთასის აეროპორტის მშენებლობას, ახლა კი ამ პროექტს დადებითად აფასებენ და ამბობენ ტურისტული თვალსაზრისით ძალიან კარგი რამ გაკეთდა”**, – აცხადებს გამოცემის კორესპონდენტთან საუბრისას ზურაბ ჭიაბერაშვილი.

გაზეთმა **“ილორმა”** არაერთგზის აღნიშნა, თუ რა ჭეშმარიტ მიზანს ემსახურებოდა ნაცდაშნაკების მიერ პარლამენტისა და მთავრობის თბილისიდან გადატანა. ყველაფერი კი დაიწყო იმით, რომ საკონსტიტუციო სასამართლო გადატანილი იქნა ბათუმში, რაც თბილისისათვის საქართველოს დედაქალაქის სტატუსის ჩამორთმევის პრელუდია გახლდათ.

გაიხსენეთ შორეული წარსული – როცა დავით აღმაშენებელმა თბილისი არაბებისაგან გაწმინდა, მან დედაქალაქი ქუთაისიდან თბილისში გადმოიტანა, რადგან აღმოსავლეთ საქართველოს ცენტრად წოდებულ თბილისში უცხოტომელთა მოძალება საფრთხეს უქმნიდა მთლიანად აღმოსავლეთ საქართველოს. სწორედ აღმოსავლეთ საქართველოს სამშობლოსაგან ჩამოცილების გეგმა ჰქონდა დაშნაკ სააკიანცს და მის დაშნაკურ ბანდას, როცა საქართველოს დედაქალაქის გადატანას აპირებდნენ ქუთაისში. ამ ვერაგულ გეგმაში საკმაოდ დიდი ქრთამი აიღო სააკიანცმა ამერიკელი სომხებისაგან, რომლის უკან დაბრუნებაც მალე მოუწევს. გაიხსენეთ, ორიოდ წლის წინ როგორ ყელგამოწეული იხვეწებოდა სააკიანცი – ოღონდ პარლამენტს თბილისში ნუ დააბრუნებთ და რაც გინდათ ის გააკეთეთ! კარგად იცოდა ამ არაკაცმა, რომ თბილისისათვის დედაქალაქის სტატუსის მოხსნით გაადვილდებოდა აქ უცხოტომელთა შემოთესვლის პროექტის განხორციელება, რისთვისაც აშენდა უამრავი საცხოვრებელი ფართი, რომელიც დღესაც შეუსახლებელია. სააკიანცს განზრახული ჰქონდა ალეპოდან 30.000 სომხური ოჯახის თბილისში გადმოსახლება, რაშიც მილიარდობით თანხას აიღებდა ქრთამად მსოფლიოს მასონური ორგანიზაციებისაგან. ამ თანხას კი იგი თავის ევროამერიკელ ამფსონ ჩინოვნიკებს გაუყოფდა (ზუსტად ისევე, როგორც 2008 წელს გაუყო თავის ამერიკელ მფარველებს საქართველოსათვის დახმარების სახით გადმორიცხული 5 მილიარდი დოლარი). ამიტომაც იჭაჭებიან სააკიანცისა და პოლიტიკურ ნაგვად ქცეული ნაციონალების რეანეიმირებისათვის დოულები და სხვა არამზადები, რომელსაც კოვზი ნაცარში ჩაუვარდათ.

მეტი სიფხიზლე გვმართებს ქართველებს, თორემ ერთ მშვენიერ დღეს, ჩვენი დოყლაპიობით გათამამებულმა გადამთიელებმა მართლაც შეიძლება მოიყვანონ სისრულეში საქართველოს დაშლა-დანაწევრების გეგმა!

**რ. შალამბერიძე**

# კიდევ ერთხელ გავიხსენოთ, რა ტერმინები არსებობს მშობლიურ ქართულში ფრანგული affair-ის აღსანიშნავად

***„Affair** – ეს ფრანგული ტერმინი სწრაფად გამდიდრების, პოლიტიკური ზეგავლენის მოპოვების მიზნით რაღაც ბნელი საქმის წამოწყების აღსანიშნავად იხმარება და საქართველოში მეცხრამეტე საუკუნის დასაწყისში რუსებთან ერთად შემოვიდა. აქედანვეა აფერისტიც – აფერის მონაწილე”, – ამის შესახებ სოციალურ ქსელში ჟურნალისტი თეიმურაზ ქორიძე წერს.*

„ვინაიდან ფრანგებს, რუსებს, გერმანელებს და დანარჩენ ევროპელებსაც თავიანთი ცოდვები ეყოფათ, დავაზუსტებ, რომ საქართველოში რუსებმა შემოიტანეს ტერმინი **„აფერა”** და არა ის ქმედებები, რასაც ეს ტერმინი გულისხმობს. რუსის მოსვლამდეც და რუსის წასვლის შემდეგაც გამდიდრების, შურისძიების, დაჩაგვრის, ზეგავლენის მოპოვების თუ სხვა რამ ბნელი საქმის კეთებისა და ამ საქმის მკეთებელთა აღსანიშნავად ქართულ ლექსიკაში, სულო და გულო, სიტყვათა მთელი არსენალია: ხიმანკლობა, ცბიერება, ვერაგობა, ხრიკიანობა, მზაკვრობა, ქვებუდანობა, ნამარდობა, ყალთაბანდობა, შარიანობა, გაიძვერობა, აბრუნდობა, დავაქრობა, გაუტანლობა, თვალთმაქცობა, ძირის გამოთხრა, ხლართის გაბმა, ხვანჯის გაბმა, ფეხის დადება, სარმის გამოდება; მზაკვარი, ეშმაკი, ვირეშმაკი, მანქანიერი, კუდამელა, ხიმანკალი, ფლიდი, ოინბაზი, გაქნილი, თვალთმაქცი, გველაძუა, თაღლითი, მლიქვნელი, მატრაბაზი...

მდიდარი ლექსიკური მარაგიდან გამომდინარე, შეგვიძლია თამამად დავასკვნათ, რომ აფერისა და აფერისტის არსი ჩვენ სხვისგან ნამდვილად არ გვესწავლება (შეგვიძლია გულისტკივილით მხოლოდ ის აღვნიშნოთ, რომ რუსულის გავლენით ქართულ ენაში აგერ ორი საუკუნეა დამკვიდრებულია არა ფრანგული affair – აფერა, არამედ მისი რუსული ინტერპრეტაცია афера – აფიორა). პირიქით, შეგვიძლია ჩვენი ცოდნა და გამოცდილება თანამედროვე ევროპას შევთავაზოთ და წარმატების დიდი იმედიც ვიქონიოთ. თუ ალღო არ მღალატობს, ზოგიერთი ჩვენი თანამემამულე საერთაშორისო არენაზე ამას უკვე აკეთებს კიდეც და არცთუ ურიგოდ.

აფერის აღსანიშნავი ყველა ქართული ტერმინი რომ მიესადაგება, ქართული სინამდვილიდან სამიოდე ასეთ მაგალითს შეგახსენებთ: **„აშშ ჩვენი მეგობარი ქვეყანაა”; „ერთიანი ნაციონალური მოძრაობა პოლიტიკური ორგანიზაციაა”** და **„რუსს არ დაველაპარაკები, სანამ ის ოკუპირებულ ტერიტორიებს არ დაგვიბრუნებს”.**

დიდი და მდიდარი აშშ არ არის, არ ყოფილა და არც ოდესმე იქნება საქართველოს ან მსოფლიოს სხვა ნებისმიერი ქვეყნის **„მეგობარი”** ამ სიტყვის პირდაპირი და ტრადიციული გაგებით. იგი, შესაძლოა, იყოს მეზობელი, მფარველი, პარტნიორი, მოკავშირე, მტერი, დუშმანი, მაგრამ არავითარ შემთხვევაში – **„მეგობარი”.**

სახელმწიფოთა შორის ურთიერთობათა ისტორია **„მეგობრობის”** ცნებას არ ცნობს და არც იცნობს. თუნდაც იმ უბრალო მიზეზის გამო, რომ **„მეგობრობა”** გულისხმობს უანგარობას. აშშ-ს, რუსეთს, ჩინეთს, ბრაზილიას, არგენტინას, ირანს, ზიმბაბვეს, პრუსიას, რომის იმპერიას, მონღოლთა სახანოს... არ ჰყოლიათ, არ ჰყავთ და არ ეყოლებათ **„მეგობარი ქვეყნები”**. ეს ჩვენ, **„მესამე სამყაროს” „შეუმდგარი სახელმწიფოები”** ვცდილობთ სასურველის სინამდვილედ წარმოდგენას და საკუთარი თავის ძლევამოსილი ქვეყნის მეგობრობაში დარწმუნებას. უფრო ზუსტად, არცთუ უანგარო ზრახვებიდან გამომდინარე, ამას ცდილობენ იმ **„ძლევამოსილი”** და **„შეუმდგარი”** ქვეყნების ხელისუფლებები. თუ ღმერთმა ინება და, ოდესმე ამერიკის **„მეგობრობა”** ფეხებზე დავიკიდეთ, ეს იმის მანიშნებელი იქნება, რომ საქართველო სამხედრო და ეკონომიკური თვალსაზრისით **„მეგობარ”** აშშ-ს არაფრით ჩამოუვარდება!

ჯერჯერობით კი მხოლოდ ვამაყობთ ბუნებაში არარსებული მეგობრობით, თვალებში და ხელებში შევციცინებთ მდიდარ მეგობარს, რომელიც მშიერი ოკეანისგაღმელი **„მეგობრისთვის”** გამოხრულ ძვალს თუ გაიმეტებს და იმასაც – არცთუ უანგაროდ.

ამიტომ არის აფერა **„ამერიკა ჩვენი მეგობარია”.**

სანამ **„რუსეთუმეობისთვის”** ინკვიზიციის წმინდა კოცონისთვის გამიმეტებდეთ, ვიტყვი – რუსეთს არ ვახსენებ იმის გამო, რომ მას საქართველოში **„მეგობრად”** არავინ მოიხსენიებს (სხვათა შორის, ძალიან თვალსაჩინო აფერის კლასიკური ნიმუში გახლდათ დიად საბჭოეთში დამკვიდრებული გამოთქმა: **„ნეუკლონნო რასტიოტ ბლაგოსასტაიანიე სავეტსკოვო ჩელავეკა”).**

ახლა რაც შეეხება თეზისს, ბოლო 17 წლის განმავლობაში ცეცხლით და მახვილით რომ ინერგებოდა საქართველოს მოქალაქეთა შემეცნებაში: **„ერთიანი ნაციონალური მოძრაობა არის პოლიტიკური პარტია”.**

ამ, ბოდიში და, „პარტიის” მიზანი არ ყოფილა პოლიტიკური ძალაუფლების ქვეყნის აღმშენებლობის, დემოკრატიული საზოგადოებისა თუ სახელმწიფოებრიობის მშენებლობისათვის გამოყენება. მისი მიზანი იყო ხელისუფლების უზურპაცია ნაციონალური დიქტატორული რეჟიმის დასამკვიდრებლად. ბელადი სააკაშვილი ცოტა უფრო ნიჭიერი და ცოტა უფრო მომთმენი ადამიანი რომ ყოფილიყო, მისი ხელისუფლებიდან მოშორება საქართველოს უზარმაზარი ტანჯვის და ზღვა სისხლის ფასად დაუჯდებოდა. თუმცა, ისიც გასათვალისწინებელია, რომ ჯერ ყველაფერი არ დამთავრებულა. სააკაშვილს საქართველოში ჯერ კიდევ ათასობით მომხრე ჰყავს – გულუბრყვილოებიც, მოტყუებულებიც, პოლიტიკას მიტმასნილი უნიჭოებიც და, რაც მთავარია, ისეთები, უკან დახევა რომ არ შეუძლიათ, რადგან მათ უკან დგას დაუნდობელი ურჩხული – პასუხისმგებლობა ჩადენილი უპატიებელი დანაშაულების გამო. პასუხისმგებლობა ოფიციალური სამართლისა და, რაოდენ სამწუხაროც არ უნდა იყოს – ლინჩის სამართლის წინაშეც.

დიდი, გრანდიოზული, ძალიან გამჭვირვალე და საქართველოს სახელმწიფოებრიობისათვის უზარმაზარი საფრთხის შემცველია ნაცმოძრაობის მიერ საკუთარი უსუსურობისა და მოღალატური ქმედებების გადასაფარავად მოგონილი თეზისი – **„რუსს არ უნდა დაველაპარაკოთ, სანამ იგი ოკუპირებულ ტერიტორიებს არ დაგვიბრუნებს!”** ადამიანურ ენაზე ეს ნიშნავს, რომ საქართველომ არ უნდა სცადოს წართმეულის დაბრუნება, სამუდამოდ უარი უნდა თქვას თავის ისტორიულ მიწა-წყალზე; ანუ, ნაციდეოლოგების ლოგიკით, მოთმინებით დაელოდოს იმ სანუკვარ დღეს, როცა რუსეთი აღიგვება მიწის პირისაგან.

ალბათ ლაპარაკიც არ ღირს ისეთი ლოკალური ხასიათის აფერაზე, როგორიცაა სააკაშვილის **„უზარმაზარი საერთაშორისო ავტორიტეტი”**, ფასადების გადაღებვა, **„გახსნები”**, შადრევნები, **„ხალხში გასვლები”, „მსოფლიოში ყველაზე კომპეტენტური მთავრობა”, „თავისუფალი ბიზნესი”, „კორუფციის დამარცხება”, „დემოკრატიული საზოგადოების მშენებლობა”, „ღიმილიანი საქართველო”** და მრავალი, მრავალი სხვა.

აფერაა სანდრა რულოვსის **„გაპოლიტიკოსება”**, უფრო ზუსტად, მისი გაპოლიტიკოსებისა და საქართველოდან თავქუდმოგლეჯით გაქცეული სააკაშვილის სანდრათი ჩანაცვლების წარუმატებელი მცდელობა. აღარაფერს ვამბობ ამ ქალბატონის ყოვლად სულელურ საჯარო გამოსვლებზე, მისივე შესრულებულ მეგრულ სიმღერებსა და მრავალჯერ გამეორებულ **„გვირაბის”** თეორიაზე – ვისაც სააკაშვილთან შორეული ურთიერთობა მაინც ჰქონია, ვისაც რუსული თვითმფრინავის ხმაზე მისი რეაქცია უნახავს, დამერწმუნება, რომ ყოფილი **„დიდი ლიდერი”** არავითარი გვირაბის გამთხრელი, სამშობლოში ინკოგნიტოდ დამბრუნებელი და კამო ტერ-პეტროსიანივით იატაკქვეშელი მამაცი მებრძოლი არ არის. იგი არის საკუთარი **„დევნილობით”** მოკეკლუცე ყოვლად ჩვეულებრივი აფერისტი – აფერების დიდოსტატი.

აფერაა **„ერთიანი ნაციონალური მოძრაობის”** თეორია იდეოლოგიური შეუთავსებლობის გამო გათიშვა-გამოყოფა-გაჭინთვების შედეგად **„კიდევ უფრო ძლიერი პოლიტიკური მოძრაობის”** დაბადების თაობაზე. სინამდვილეში, ეს არის ნაცმოძრაობის შედარებით ინტელექტუალური ნაწილის მცდელობა, როგორმე ჩამოირეცხოს სააკაშვილის დანაშაულებრივი ხელისუფლების სისხლი და სირცხვილი. აქედან გამომდინარე, შეუნიღბავი აფერა იყო წლევანდელი 20 იანვრის სააკაშვილის ერთგული ნაცების შვიდიათასკაციანი ყრილობა თბილისის სპორტის სასახლეში; აფერა იქნება გიგაგიგის (ბოკერია-უგულავას) ფრთის უახლოეს მომავალში დაანონსებული ყრილობაც. ორივე ფრთის ერთადერთი და სანუკვარი მიზანი რევანშია და ისინი ამას არც მალავენ – ჩვენ დავამარცხებთ ბიძინა ივანიშვილის რეჟიმს! ეკონომიკის ამაღლებაზე ზრუნვა კი არა, სამართლებრივი სახელმწიფოს მშენებლობა კი არა, რუსეთთან ურთიერთობების მოგვარებასა და საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის აღდგენაზე ზრუნვა კი არა – მართლმორწმუნე და პროტესტანტი ნაცების უზენაესი მიზანი ვინმე უთანამდებობო, მაგრამ გავლენიანი პერსონის დამარცხება ყოფილა!

ორივე ფრთას უკან კლდესავით უდგას კიდევ ერთი გუშინდელი ნაცი, **„გირჩი”**, რომლის აფერა ერთდროულად ტრაგიკულიცაა და კომიკურიც – იგი საზოგადოების დარაზმვას ნაცების სასარგებლოდ... მარიხუანის ლეგალიზაციის მოთხოვნით ცდილობს. ეს არ გახლავთ უვიცობა ან გულუბრყვილობა ისევე, როგორც არ არის რაიმე კეთილშობილური (მაგალითად, ქვეყნის ეკონომიკის გაჯანსაღების) მიზნით ნაკარნახევი – გირჩებმა იციან, რომ საქართველოში ნარკოტიკების ტრაგიკულად ბევრი მომხმარებელია და მათი სისუსტის (გნებავთ – სენის) სათავისოდ გამოყენებას ლამობენ...

მოდი, კიდევ ერთხელ გავიხსენოთ, რა ტერმინები არსებობს მშობლიურ ქართულში ფრანგული affair-ის აღსანიშნავად”.

**თეიმურაზ ქორიძე**

# ირაკლი ზარქუა: სად არიან NGO-შნიკები ვინც ადამიანის უფლებებს იცავენ და მედიის „განვითარებაზე ზრუნავენ“?!



**„ქართული ოცნების”** წევრი ირაკლი ზარქუა სოციალური ქსელში მამუკა მდინარაძის და ნიკა გვარამიას დებატებს ეხმაურება:

**„ეს დღეები, სამწუხაროდ, ვერ ვახერხებდი მედიაში გაშუქებული თემების თვალყურის დევნებას და დღეს ვნახე იმ სამარცხვინო და ამაზრზენი გადაცემის ჩანაწერი, სადაც მამუკა მდინარაძეს, როგორ ლაჩრულად ეჭრება გადაცემის მსვლელობისას და შეურაცხყოფას აყენებს სტუმარს, ეს გაკაპასებული და სასოწარკვეთილი გვარამია. რაც არ უნდა განსხვავებული ხედვა და აზრი გქონდეს სტუმართან მიმართებაში, ვინ გაძლევს შენ უფლებას, რომ შეურაცხყოფა მიაყენო და სტუდიის დატოვებისკენ მოუწოდო. ამით კიდევ ერთხელ დადასტურდა, ნაცნაპროკურორალ გვარამიას რეალური სახე, მიზანი და ამოცანა, რომ რამენაირად ოპონენტი წყობიდან გამოიყვანოს და მოგონილი სისულელეებით დებატები წააგებინოს. თუმცა, გვარამიას და მისთანების რეალური სახე დიდი ხანია იცის საზოდოებამ და ამაზე ბევრს არ ვილაპარაკებ. მე უფრო ის მაინტერესებს, რატომ დუმს ჟურნალისტური ეთიკის ქარტია?! რატომ არ აკეთებენ სხვა მედია წარმომადგენლები გვარამიას ამ ამაზრზენ გამოხტომაზე კომენტარს? სად არიან NGO-შნიკები ვინც ადამიანის უფლებებს იცავენ და მედიის „განვითარებაზე ზრუნავენ”... ეს არის მედია-სტანდარტი?! ასე უნდა ვესაუბროთ მოწვეულ სტუმრებს საკუთარ არხზე და გადაცემებში?! სასოწარკვეთილი გვარამიას ეს გამოხტომა მისაღებია თქვენთვის და სამაგალითო? და, თუ განსხვავებული შეხედულების ხართ მაშინ კეთილი ინებეთ და პოზიცია დააფიქსირეთ, რომ ამგვარი ქმედება და გამოხტომა ჟურნალისტისგან თუ არხის მმართველისგან მიუღებელია და გმობთ. აი, მაშინ ჩავთვლი რომ მედია სწორი მიმართულებით ვითარდება...**

**P.S. ყოჩაღ მამუკა, შენ შეძელი სასოწარკვეთილი გვარამიას მშიდად, გაწონასწორებულად, არგუმენტირებულად და დამაჯერებლად ბეჭებზე დაგდება. ეს მხოლოდ რჩეულთა ხვედრია”**, — წერს ზარქუა.

*“ილორის” კომენტარი — არაერთგზის დაამტკიცა ვიღაც გადაგვარებულმა გვარამიამ, რომ მისთვის მთავარი მიზნის მიღწევაა, ხოლო თუ როგორი ბინძური მეთოდების გამოყენებით მიაღწევს ამ მიზანს, მისთვის მნიშვნელობა არ გააჩნია.*

*შეიძლება ქალს ეპატიოს გაწიწმატება, რადგან იგი “სუსტი სქესის” წარმომადგენელია და საკუთარი არგუმენტების დაცვის დროს, ოდნავმა ანტიარგუმენტმაც კი შეიძლება გამოიწვიოს მასში ფსიქოლოგიური დისბალანსი და იმის გააზრებით, რომ მამაკაცისაგან მას ბევრი რამ მიეტევება, შეიძლება გადასცდეს კორექტულობის ზღვარს. იგივე ფორმულა შეიძლება მივუსადაგოთ იმ შარვლიან არარაობასაც, რომლისთვისაც მამაკაცის ატრიბუტიკა რუდიმენტულ გადმონაშთს წარმოადგენს და, სინამდვილეში, საკუთარი არარაობა გაიგივებული აქვს მდედრობით სქესთან, მაგრამ არა წესიერ ქალბატონთან, არამედ შარაგზის კახპასთან, რომელიც გარკვეული სარგებლის მიღების მიზნით ყოველგვარ უმსგავსოებას კადრულობს. სწორედ ამგვარი არარაობა გახლავთ უკვე “ქალბატონად” აღიარებული ბიოლოგიური, პოლიტიკური თუ ინტელექტუალური არარაობა ნიკა გვარამია, რომელიც უკვე თავადაც აღარ მალავს საკუთარ არატრადიციულ სექსუალურ ორიენტაციას!*

*გარდა ამისა, ის ძველი ქართული ანდაზაც უნდა გავიხსენოთ, რომ “ვირისგან წიხლი საწყენი არ არის”, მით უმეტეს მაშინ, თუ ეს ვირი დედალია!*

# რედაქციაში წერილი მოვიდა

ამას წინათ, სოციალურ ქსელში დაიბეჭდა, არც თუ დიდი მოცულობის მასალა, საკმაოდ მოზრდილი სათაურით: — **“კომბლე მიდის სოლოლაკში და ბიძინას ეკითხება, — ჯეჯელავა აქ არისო? — ლარი, ტრამპი და...”**, რომელშიც **“პროვოკატორად”** სახელდებული ავტორი უდიერად მოიხსენიებდა ქართული კულტურისა და სულიერების ძეგლის **“ვეფხისტყაოსნის”** გმირებს.

ჩვენი გაზეთის ავტორის, ცნობილი მსახიობის ქალბატონ ნაზი ნავროზაშვილის წერილი იმ მასალაზე გამოხმაურება გახლდათ. მან პასუხი გასცა როგორც აღნიშნული შეურაცხმყოფელი პუბლიკაციის ავტორს, ასევე იმ ადამიანთა ჯგუფს, რომელთაც ვერ შეუგნიათ ქართული ლიტერატურის ძეგლების ზოგადსაკაცობრიო მნიშვნელობა და უპატიებლად ეღლაბუცებიან გმირებს, რომელთაც საუკუნეთა მანძილზე ეკისრათ ქართველი ერის სულიერი და ზნეობრივი ორიენტირის ფუნქცია!

ქალბატონ ნაზი ნავროზაშვილის წერილს დიდი გამოხმაურება მოჰყვა, რედაქციას გამოეპასუხნენ ღვაწლმოსილი ადამიანები, რომელთათვისაც ქართული ლიტერატურის ძეგლები წმინდა ხატი გახლავთ.

გთავაზობთ რამდენიმე გამოხმაურებას.

**ბატონო როლანდ, გულწრფელი მადლობა მინდა გითხრათ იმ და საკადრისი პასუხისთვის, რომელიც თქვენი გაზეთის საშუალებით, კერძოდ კი, იმ უნიჭიერესი და ზნეობრივი ქართველის, ქ-ნ ნაზი ნავროზაშვილის საშუალებით გაეცით, ჩვენი კულტურის ხელყოფის მსურველთ.**

ლევან სახამბერიძე

**ბატონო რედაქტორო! ულრმესი მადლობა, დიდი მადლობა ამ წერილის გამოქვეყნებისთვის და თქვენი კაცური პოზიციისათვის!**

გიორგი ბერიანიძე

**ბატონ როლანდ ჯალაღანიას!**

**წინა ნომერში უკვე წაკითხული მქონდა ის უმსგავსობა. ძალიან განვიცადე: — ნუთუ აქამდე დაეცნენ ადამიანები-მეთქი?! უდიდესი მადლობა, ამ წიგნიერ, უგანათლებულეს და სულითხორცამდე ჭეშმარიტად ქართველ ქალბატონს!!! დიდი მადლობა თქვენ!**

მარიკა იმნაიშვილი

# ყველამ ერთად ვუთხრათ უარი მაღალი პროცენტით გაჯერებულ კრედიტებს!

**დღეს საქართველო მსოფლიო ბანკის, ხოლო ქართველები მისი ბანკების მევალეები გახლავართ!**

ჩვენი ქვეყანა, სამწუხაროდ, ერთ დიდ მევახშეთა კალათს დაემსგავსა, რომელშიც მოთავსებულია ის პროდუქტი, რომლის დიდი ნაწილიც, თავისი არსით საფრთხეს უქმნის თითოეული ჩვენგანის არსებობას!

ეს არის ნაკრები, იმ ბანკების — **ჩვენი ჯიბის მანკების**, მიკროსაფინანსოების — **ბრაკების** და ლომბარდების, რომელთა **ეკალ-ბარდებიც**, მთელს ქვეყანაშია მოდებული და რომლებიც ნაცვლად დახმარებისა, წურბელებივით იკვებებიან, მდიდრდებიან, გაღარიბებული, გაღატაკებული ხალხის ხარჯზე,

მალე ქუჩებში სასურსათო მაღაზიებისთვის და აფთიაქებისათვის ადგილი აღარ დარჩება, ყოველი ფეხის ნაბიჯზე ისინი გვხვდებიან!

მათ **24-საათიან** რეკლამას დაპყრობილი აქვს: ტელევიზია, რადიო, ინტერნეტი!

ამას ემატება მობილურ ტელეფონზე მესიჯები, რეკვები და ფერად-ფერადი სესხის შემოთავაზებები! ეს ყველაფერი კი მარტო ადამიანის ჯიბეში ხელის ჩაყოფა კი არ გახლავთ, არამედ უფრო მეტიც, ხელების ფათურია თითოეული ჩვენთაგანის ფინანსურ სამზარეულოში და ცხოვრებაში.

**საქართველოში არ არსებობს ოჯახი, რომლის რომელიმე წევრსაც ვალი არ გააჩნდეს, ანუ სესხი.**

ჩვენ უამრავი ადამიანი ვიცით ვალის გამო გაუბედურებული, **ათასობით ადამანი მოტყუებული,** სახლებიდან გამოძევებულნი და ღია ცის ქვეშ დარჩენილნი, ვიცით წლობის მანძილზე თუ როგორ უჭერს ყელში და ახრჩობს თითოეულ მათგანს **პროცენტის თოკი!**

ისიც კარგად ვიცით, თუ რამდენ მათნაირ ფინანსებით სავსე ორგანიზაციას დაუხურავს თაღლითობის ქუდი და ხალხის შეგროვილ დანაზოგთან ერთად გამქრალან ჰორიზონტიდან!

**დღეს მოდაშია ახალი ონლაინ კრედიტები, ანუ სესხის აღება ინტერნეტის მეშვეობით, რომელიც ადვილად ხელმისაწვდომია ყველასათვის და რომლის მორევშიც ძირითადად ახალგაზრდობა იძირება.**

**ერთხელ და სამუდამოდ უნდა გავიგოთ, რომ იაფი, სწრაფი და უფასო ფული არ არსებობს! და ეს ყველაფერი მხოლოდ და მხოლოდ მათ ფასიან რეკლამებშია ლამაზი ზღაპრის სახით გადმოცემული.**

დღეს სახელმწიფომ მეტი ყურადღება უნდა დაუთმოს სწორედ ასეთი ბანკების, მიკროსაფინანსოების და ლომბარდების კონტროლს, რათა თითოეული მოქალაქე უკეთ იყოს დაცული ოფიციალური თაღლითებისა და ყაჩაღებისაგან, რომელთა ბედნიერებისთვისაც ადამიანები უბედურდებიან, თითოეულმა ჩვენგანმა უნდა შევძლოთ ვიცხოვროთ ვალის გარეშე!

საქართველოში ერთხელ და სამუდამოდ უნდა დასრულდეს ღარიბი მოსახლეობის კიდევ უფრო გაღარიბება და ამ ყველაფრის ხარჯზე მდიდრების გადამდიდრება!

**გოგიტა ჯვებენავა,**
**მხატვარი**

# ვინ აპირებდა გურამ თიკანაძის ნეშტის დაჭრას და ჯიბეებით ჩამოტანას შხარას მწვერვალიდან



ლელა ნიჟარაძე თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ქართული ენის ინსტიტუტთან არსებული, ძველი ქართული ხელნაწერების შემსწავლელი სამეცნიერო ლაბორატორია **„ორიონის”** მეცნიერ-თანამშრომელი, სვანურის ღვაწლმოსილი მკვლევარია. მისმა მეხსიერებამ ფერუცვლელად შემოინახა ადრეულ ბავშვობაში მიღებული მძაფრი შთაბეჭდილებები, მათ შორის ისეთი, წიგნში დაბეჭდილ მოგონებაში რომ არ არის შეტანილი.

ეს გურამ თიკანაძის შესახებ ჩანაწერებია: **„მეხის გავარდნას ჰგავდა შემზარავი ამბავი, გურამი დაიღუპაო. მთელი უშგული შეიკრიბა, მოდიოდნენ ჩვენს სახლშიც, მერე შეიკრიბნენ მთელი სვანეთის ალპინისტები, როგორც ზემო, ისე ქვემო სვანეთის, ცნობილები და გამოცდილები, გამოიძახეს თბილისიდან მაშველთა რაზმი და 40-კაციანი ჯგუფი უნდა წასულიყო შხარაზე გურამის ნეშტის ჩამოსასვენებლად.**

**ჩვენს სახლში დიდი ხალხმრავლობა იყო... სვანეთში დიდი მითქმა-მოთქმა ატყდა, მას უღალატეს და ეს ამბავი მოუწყვესო, ჭორებს ბოლო არ უჩანდა ... როცა ალპინისტები მივიდნენ შხარას ძირში, გადაწყდა: კლდეზე უნდა ასულიყვნენ მხოლოდ სვანი მთამსვლელები და ერთი კაცი, თბილისელი თამაზი — გვარი არ მახსოვს, რომელიც იმ ტრაგიკულ დღეს გურამთან იყო თოკში შებმული... თბილისელი მაშველები კი შხარას ძირში უნდა დარჩენილიყვნენ და საჭიროების შემთხვევაში დაიხმარდნენ.**

**ასე ავიდნენ შხარაზე, წინ — ბექნუ ხერგიანი, უკან — ჯგუფი (თუ არ ვცდები, 20 კაცი)... როცა შხარაზე ასულან, გურამის ნეშტისთვის რომ გადაუხედავთ, გრიშა გულბანს (რომელიც ძალიან ცნობილი, დიდი მთამსვლელი იყო) იმ თამაზისთვის (რომელიც გურამთან ერთად იყო თოკში შებმული) მოუთხოვია, დაწვრილებით აღეწერა ის გარემოება, რომელშიც გურამი დაიღუპა, როგორ მოხდა ეს ყველაფერიო. მან კი, თურმე, დეტალურად აუხსნა, თუ როგორ გადმოვარდა კლდიდან დიდი ქვა და როგორ ჩაჭრა გურამის ბაწარი, — ასე მოწყდაო კლდიდან.**

**ის მთამსვლელი, თამაზი, გურამის დაღუპვის მერეც ხშირად ამოდიოდა უშგულში ჩვენთან. დადგა საკითხი გურამის ჩამოყვანა-არჩამოყვანაზე. მერე ბექნუს უთქვამს, დავჭრი, დავაკონსერვებ, ჯიბეებში ჩავიწყობ გურამის ნეშტს და ისე ჩავიტან, აქ მაინც არ დავტოვებო... ასე იყო თუ ისე, ნეშტი ჩამოასვენეს. მას არც კი აკადრეს რაიმე ტრანსპორტზე, მაგალითად, — მარხილზე ან დიდ მანქანაზე დასვენება, ისე ატარეს, სულ ბეჭებით.**

**ერთმანეთს ენაცვლებოდნენ ბრგე და ახოვანი ვაჟკაცები, არც სამგლოვიარო სვანური ზარი შეუწყვეტიათ და ამგვარად ჩამოიყვანეს 5-6 კილომეტრის მანძილზე, დაასვენეს ჩვენი სახლის წინ, კოშკთან, პატარა მოედანზე. იქ გაუმართეს სამგლოვიარო ცერემონია. იყვნენ ქალები, ადგილობრივები, რომელთაც ქართულად დაიტირეს, რათა სიტყვების შინაარსი სტუმრებსაც გაეგოთ, რადგანაც გურამის უამრავი ახლობელი თუ მეგობარი იყო ჩამოსული თბილისიდან უშგულში პატივის მისაგებად.**

**გამონაკლისი იყო ბიცოლაჩემი ივდითი, რომელიც, როგორც მურმან ლებანიძე აღწერს, მართლაც კივილით გამოვარდა სახლიდან და ასე პოეტურად დაიტირა სვანურად... მერე დიდი დავა გამოიწვია ადგილობრივ, სვან მთამსვლელებში იმან, თუ რომელი გზით წამოესვენებინათ გურამი, ლენტეხის თუ მესტიის... არ დათმეს მესტიელმა მთამსვლელებმა: ეს ჩვენკენ უფრო მოდიოდა და ამიტომ ეს გზა ეკუთვნისო...**

**გადაწყდა, გურამი მესტიით ჩამოესვენებინათ თბილისში. ამასობაში დაღამდა კიდეც და მთვარიანი ღამით, ზარით წამოასვენეს გურამი მესტია-უშგულის გზით...**

**აქაც პატივით დაკრძალეს, სვანური ქვა „კა” და სვანური ზარი აქაც თანმდევი იყო მისთვის... ივდითი განთქმული გახლდათ, როგორც მოტირალი ქალი... აი, მან ასეთი რამეც დაატირა გურამს (რასაკვირველია, სვანურად): საბრალო გურამის დედაო, გურამი შხარას დიდ კედლებს წასასმელად (როგორც კარაქიო — იგულისხმებოდა) არ ეყოო...**

**ივდითი ნიჟარაძე 84 წლისა გარდაიცვალა და ჭაღარა არ ჰქონდა. მისი პორტრეტი დახატული აქვს ცნობილ ქართველ მხატვარს ირაკლი თოიძეს... პალო, რომელზეც გურამ თიკანაძე მოსწყდა, ცნობილმა მთამსვლელმა დიმიტრი დანგაძემ მომდევნო წელს ჩამოიტანა შხარადან, როცა მწვერვალი დაიპყრო (ალბათ, იმავე მარშრუტით წავიდნენ, გურამმა და მისმა ჯგუფმა რომ გაიარეს). ეს პალო ერთხანს ჩვენს სახლში იყო. მგონი, მალევე წამოიღეს მხარეთმცოდნეებმა თბილისში. რაც შეეხება გურამის წერაყინსა და საძილე ტომარას, ისინი იქ არის, ჩვენს სახლში...”**

ეკა პატარაია

# გეჯა – პირველყოფილი ფუტკრის სამფლობელო

*„გეჯიდან ამოღებულ ფიჭიან თაფლს გოლეული ეწოდება და ძალიან გემრიელია. მეტიც, ორმაგად სასარგებლო და ხარისხიანია, ვიდრე ჩვეულებრივ, ფიცრიან სკაში, ხელოვნურ ჩარჩოებზე მოყვანილი თაფლი"*



სვანეთში ყოფნისას ყურადღება მიიქცია მასპინძლის ბაღში საყრდენებზე გადებულმა სახურავიანმა ხის მორებმა. მითხრეს, რომ ასეთია სვანური სკა, საიდანაც თაფლიც განსაკუთრებული ამოგვაქვს და ფიჭაც განსხვავებული აქვსო. გეჯა, იგივე მრგვალი სკა, წინათ არა მხოლოდ სვანეთში, მთლიანად საქართველოში სცოდნიათ. თანამედროვე მეფუტკრე სვანებმა არ იციან, როგორ გაჩნდა გეჯა, მაგრამ ფიქრობენ, რომ ოდესღაც, ძველმა ადამიანმა, სანამ ფუტკარს მოიშინაურებდა, სწორედ ბუნებაში აღმოაჩინა ტრადიციული სკის წინამორბედი.

**აკაკი ზუმაძე, ხაიშელი მეფუტკრე, ისტორიის მასწავლებელი:** – თანამედროვე სკა ფიცრებისგან არის შეკრული და შიგნით მავთულგაყრილი, ხელოვნური ჩარჩოები აქვს, რომელზედაც ფუტკარი ფიჭას აკეთებს და თაფლს ასხამს. გეჯა კი ხის ჯანმრთელი მორისგან კეთდება. ორად უნდა გაყო და შუაგული ამოაცალო. მორებს ორკაპა საბჯენებს ან კუნძებს ვუდგამთ. მიწიდან 80 სმ სიმაღლეზე იდგმება. გეჯისთვის საუკეთესო მასალაა თელა, ცაცხვი, წაბლი. ეს ჯიშები ადვილი დასამუშავებელია და სითბოსაც კარგად ინარჩუნებს. გეჯას ხის ქერქი ან სხვა სახურავი უნდა დააფარო, წყალი რომ არ ჩავიდეს. წინათ თეთრ ქვებს აფარებდნენ, ვითომ თვალისგან დასაცავად. გეჯიდან ამოღებულ ფიჭიან თაფლს გოლეული ეწოდება და ძალიან გემრიელია. მეტიც, ორმაგად სასარგებლო და ხარისხიანი, ვიდრე ჩვეულებრივ, ფიცრიან სკაში, ხელოვნურ ჩარჩოებზე მოყვანილი თაფლი, თუმცა უფრო ცოტა მოდის გეჯაში, რადგან ფუტკარს არა მხოლოდ თაფლის, არამედ ჩარჩოს, ფიჭის წარმოებაზეც უწევს მუშაობა.

ჩრდილოეთ კავკასიაში იმდენად პოპულარულია ჩვენებური გეჯა და ფუტკარი, რომ სვანეთში ხშირად ჩამოდიან სტავროპოლიდან და ფუტკარს გეჯიანად ყიდულობენ. ამბობენ, თქვენებურ ფუტკარს უფრო გრძელი ხორთუმი აქვს და ყვავილიდან ნექტარი უფრო ღრმად ამოაქვს, გეჯა კი ბუნებრიობიდან გამომდინარე იდეალურიაო.

**– გეჯა სკის ბინადარ ფუტკარს რა თავისებურებები ახასიათებს?**

– უფრო დამოუკიდებელია და ბუნებრივ პირობებთან მიახლოებულად ცხოვრობს, ვიდრე ფიცრის სკის ბინადარი კულტურული ოჯახი. მეფუტკრის ნაკლებ ჩარევას საჭიროებს. ფიცრულ სკაში ოჯახს მეფუტკრე გაყოფს, გეჯაში კი ბუნებრივად ხდება. დედა ფუტკარი სკიდან გამოვა, იქვე ხის ტოტს დაეკიდება, ნაყარიც გვერდით ჩამოუსხდება და ამ დროს მეფუტკრეს ახალი სკა მზად უნდა ჰქონდეს. რომ ჩაფერთხებით ჩაყაროს ახალი ოჯახი. თუ მეფუტკრე ყურადღებით არ იქნება, შესაძლოა, ფუტკარი დაკარგოს, ტყეში წავლენ და ბინას იქ დაიდებენ. ხშირად მინახავს ასეთი გაველურებული ოჯახები. თავს შესანიშნავად გრძნობენ ფუღუროში. ძირითადად, ცაცხვს ეტანებიან. ერთხელ, მაშინ, როცა სკოლის მოსწავლე ვიყავი, სახლის მასალად მსხვილი ცაცხვი მოვჭერი, დაახლოებით 18 მეტრ სიმაღლეზე ტოტი არ ჰქონდა, წვერში, ფუღუროში ფუტკარი ჰყოლია. ხე რომ წაიქცა, ფუღურო დაიმსხვრა. იქვე საძოვარზე გარეკილი ჩემი თხები აყვირდნენ, ვიფიქრე, კრაზანებმა დაკბინეს-მეთქი, მაგრამ ადგილზე მისულს ირგვლივ 50-60 კილოგრამამდე ქათქათა, თეთრი გოლეული დამხვდა. თხებს თაფლში გაევლოთ და ფუტკარიც იმიტომ დასეოდა. შინ დაბრუნებულმა ეს მამას ვუამბე, მითხრა, ის ადგილი მიმასწავლეო. მარლა აიღო და ტყეში წავიდა. ვეცდები, ფუტკარი შინ მოვიყვანო, შენ კი სკა გამიმზადეო. უპოვია დედა ფუტკარი (რომელიც გარეგნულად განსხვავებულია) და ემალის სათლში, სიროფში ჩაუსვამს მამას. ცოტა ხანში ფუტკარს ჭურჭელი გაუვსია, მერე მარლით თავი მოუკრავს და ასე მოიყვანა სახლში, სადაც თავიდან მოვიშინაურეთ.

**– ფუტკარს რომელიმე მცენარე განსაკუთრებით უყვარს?**

– ვიცი, რომ ცაცხვის ყვავილობისას ფუტკარი ტრადიციას არღვევს და ღამითაც მუშაობს – მხოლოდ ორ კვირას ყვავილობს ცაცხვი და ფუტკარიც ეშურება, რომ რაც შეიძლება მეტი მოასწროს. საოცარია, ასეთი რამ ადამიანებს ნაკლებად ესმით, ფუტკარი კი ისეთი გონიერი და შრომისმოყვარეა, ზოგჯერ კაცს მის წინაშე შენი სიზარმაცის გამო შეგრცხვება. განსაკუთრებულია ალპურ საძოვრებთან ახლოს მყოფი ფუტკრის თაფლი. გემოც სხვა აქვს, ხარისხიც და რაოდენობაც მეტია, რადგან იქვე გეჯასთან ახლოს აქვს ნექტრის საბადო და შორს წასვლა არ უწევს.

**– დედა ფუტკარს განსაკუთრებული ხასიათიც ჰქონია.**

– უნდა ნახოთ, დედა ფუტკარი როგორ არჩევს საქმროს. სკიდან გამოვარდება, ვერტიკალურად ძალიან მაღლა და სწრაფად აიჭრება, გაჰყვება მამრების გუნდი, მაგრამ ბევრი მალე იღლება და თავს ანებებს. ვინც ბოლომდე მიჰყვება, მეწყვილედაც იმას ირჩევს. ხშირად მინახავს საოცარი რამ – მამრი ფუტკარი განაყოფიერებას რომ მორჩება, გაზანტდება, სკიდან გამოსვლა აღარ უნდა, მზა თაფლით იკვებება. მუშა ფუტკარი ამას დიდხანს არ მოითმენს. როგორც ადამიანს, ხელკავს უკეთებენ უქნარებს, სკიდან აცილებენ და შიგნით აღარ უშვებენ.

ფუტკრებთან თითქმის მთელი ცხოვრებაა ურთიერთობა მაქვს და ხშირად მიფიქრია, ნეტავ ქართველი ამ საოცარ მწერს ჰგავდეს, მასავით დაუზარელი, შრომისმოყვარე და მოწესრიგებული გახდეს-მეთქი. გვქონდა ეს თვისებები, მაგრამ მისი დეფიციტი გაჩნდა.

## გეჯა, ბეჰ, ხოკერი, ჯარა ან უბრალოდ სკა

სვანეთში სკას გეჯა უფრო მოგვიანებით დაერქვა, ძველი სახელი კი არის ბეჰ, აჭარაში მორის სკას ჯარა ჰქვია, ფშავში – ხოკერი და ა.შ. სვანურად მეფუტკრეობას ლიღბური ეწოდება და უძველესი ტრადიციებიც აქვს.

ფუტკრის გამოყრის პროცესია **„ლიშგრინე"**, რა დროსაც ფუტკრის პატრონი **„ჯგრაგ ნენჩაშს"** (ტყის წმინდა გიორგის) ეხვეწებოდა, განაყარი არ გამექცესო. ფუტკრის ჩასასახლებლად მზად ჰქონდა გეჯა **(„ბეჰ")**, რომელსაც შიგნით წაუსვამდა თაფლიან წყალს (ფუტკრის მისაზიდად) ან ჩასვამდა ფუტკრის დედას **(„დის")**, თან ახმაურებდა რკინას, რასაც ჭექა-ქუხილის ეფექტი უნდა შეექმნა. ზოგჯერ ნაცრით აამტვერიანებდა გარემოს, ხანაც წყალს მოაპკურებდა გამონაყარი ფუტკრის ირგვლივ, რომ ფუტკარს წასვლა დაზარებოდა. ამბობენ, ერთი გეჯა წელიწადში 1 ფუთამდე თაფლს იძლევაო. სკიდან ასევე იღებენ ფუტკრის რძეს, დინდგელს, ყვავილის მტვერს, ჭეოსა და სხვას.

**ეკა ლომიძე**

# ვინ იყვნენ ცნობილი განგსტერები, რომლებიც მსოფლიოს შიშის ზარს სცემდნენ

vinsent The Chin ჯიგანტე (1928-2005) ნიუ-იორკში დაიბადა. სკოლა კრივის გამო მიატოვა. 25 ჩატარებული ბრძოლიდან 21 მოიგო. პირველად 25 წლის ასაკში დააპატიმრეს. 17 წლიდან ჯენოვეზეს ბანდის წევრი იყო. მოგვიანებით, „ნათლია" გახდა, ხოლო მაფიოზ ტონი სალერნოს დაპატიმრების შემდეგ – მისი კლანის ბოსი. მორიგი დაპატიმრება რომ აეცილებინა, თავი გიჟად გაასაღა. ნიუ-იორკის ქუჩებში პიჟამით დასეირნობდა, რის გამოც „პიჟამის მეფე" შეარქვეს. 2003 წელს გამოძალვის ბრალდებით დააპატიმრეს. ციხეში რამდენიმე წელი გაატარა და 2005 წელს გარდაიცვალა.

**ალბერტ ანასტასია** (1903-1957) იტალიაში დაიბადა და მშობლებთან ერთად ამერიკაში გადასახლდა. პირველად ადამიანის მკვლელობისთვის გაასამართლეს და „სინგ-სინგის" ციხეში ჩასვეს, მაგრამ ტრაგედიის ერთადერთი მოწმე საეჭვო ვითარებაში გარდაიცვალა და ანასტასია ციხიდან გაათავისუფლეს. უამრავი მკვლელობის გამო (ერთ-ერთი ვერსიით, „ალბერტას" დაჯგუფებას 400 ადამიანის მკვლელობა ედება ბრალად), მას „ჯალათთა ლორდს" ეძახდნენ. მოგვიანებით, ანასტასია ჯო მასერიას ბანდაში მოხვდა. მეგობრობდა ასევე მკვლელ ჩარლი (ლაკი) ლუჩანოსთან. ბოსის მოკვლის შემდეგ მკვლელების ჯგუფის – Murder Inc-ის ლიდერი გახდა. 50-იან წლებში ლუჩანოს ოჯახს დაუახლოვდა, მაგრამ 1957 წელს ის კარლო გამბინოს ბრძანებით მოკლეს.

**ჯოზეფ ბონანო** (1905-2002) კუნძულ სიცილიაზე დაიბადა. 15 წლის დაობლდა. 19 წლისა, მუსოლინის რეჟიმს ჯერ კუბაზე გაექცა, შემდეგ აშშ-ში გადაბარგდა. მარანძანოს ბანდა იტალიის ყველის ქარხნებს, სამკერვალოებსა და სამგლოვიარო ბიუროებს აკონტროლებდა. ბანდის ლიდერის მოკვლის შემდეგ ბონანომ კაპიტალის დაგროვება შეძლო, მაგრამ საქმეებს სხვა, უფრო გავლენიანმა განგსტერებმა ჩამოაცილეს. ბონანომ ღრმა მოხუცებულობამდე მიაღწია.

**არტურ ფლეგენჰეიმერი** (1902-1935), მეტსახელად „ჰოლანდიელი შულცი" ბრონქსში დაიბადა. პირველად ციხეში 17 წლის ასაკში, ქურდობისთვის მოხვდა. იქიდან გამოსული, სპირტიანი სასმელების ბიზნესში ჩაერთო (იმ პერიოდში ამერიკაში მშრალი კანონი მოქმედებდა). მის ბანდას კაპონე და ლუჩანო მტრობდნენ. განგსტერი 1935 წელს ანასტასიას ბრძანებით მოკლეს.

**ონ გოტი** (1940-2002) 16 წლის იყო, როცა ქუჩურ ბანდაში – „ბიჭები ფულტონ-როკაუეიდან" მოხვდა და ცოტა ხანში მისი ლიდერი გახდა. „ბიჭები" ქურდობდნენ და მანქანებს იტაცებდნენ. 70-იან წლებში გოტი გამბინოს ერთ-ერთი კლანის წევრი გახდა, რომელსაც პოლ კასტელანო ხელმძღვანელობდა. გოტი კასტელანოსგან მალულად, ნარკოტიკებით ვაჭრობდა და როცა ბოსმა მისი თავიდან მოშორება გადაწყვიტა, თავად მოკლა კასტელანო. ჟურნალისტებმა გოტის „ელეგანტური ჯონი" შეარქვეს. პოლიციამ მაფიოზი 1992 წელს მკვლელობისთვის გაასამართლა. გოტი 2002 წელს ციხეში გარდაიცვალა.

**მეიერ ლანსკი** (1902-1983) რუსეთში (დღევანდელი ბელორუსიის ტერიტორიაზე) დაიბადა. მეიერ სუხომლიანსკი პატარა იყო, როცა მშობლებმა ამერიკაში წაიყვანეს საცხოვრებლად. ნიუ-იორკში ჯერ ჩარლზ ლუჩანოს დაუმეგობრდა, შემდეგ – ბაგსი სიგალს. სამეულმა ბანდა – „ბაგი და მეიერი" ჩამოაყალიბა. თავდაპირველად აზარტულმა თამაშებმა გაიტაცა, შემდეგ ფულს „ათეთრებდა". როცა მეგობრებმა ფული ვერ გაიყვეს, ლანსკიმ სიგალის მოკვლა ბრძანა. მიუხედავად იმისა, რომ მისი ბანდის წევრები მთელი მსოფლიოს სამორინეებს აკონტროლებდნენ, ლანსკის ერთი დღეც არ გაუტარებია ციხეში.

**ფრანჩესკო კასტილია** (1891-1973) 13 წლის იყო, როცა ბანდიტების გარემოცვაში მოხვდა და სახელიც შეიცვალა – ფრენკ კოსტელო გახდა. ჩარლი ლუჩანოსთან დამეგობრების შემდეგ აზარტულ თამაშებში ჩაება. მაფიოზების გარდა, იგი პოლიტიკოსებთანაც მეგობრობდა, რომელთა დახმარებითაც, არაერთხელ აარიდა პატიმრობას თავი. ვიტო ჯენოვეზესთან დაპირისპირების შემდეგ, კოსტელო საქმეებს ჩამოშორდა და ღრმა სიბერემდე იცოცხლა.

**კარლო გამბინო** (1902-1976), ამერიკის ყველაზე გავლენიანი განგსტერი, იტალიაში დაიბადა. 19 წლის იყო, როცა ადამიანი მოკლა და აშშ-ში გაიქცა, სადაც ბიძაშვილი, პოლ კოსტელანო ელოდა. ერთად ახალი კლანი ჩამოაყალიბეს, რომელსაც გამბინო სიკვდილამდე ხელმძღვანელობდა.

**„იღბლიანი" ჩარლი ლუჩანო** (1897-1962) იტალიაში დაიბადა. 9 წლის იყო, როცა მისი ოჯახი საცხოვრებლად ნიუ-იორკში გადასახლდა. იგი ბანდა „ხუთი წერტილის" წევრი გახდა, რომელიც მანჰეტენის პროსტიტუციასა და რეკეტს აკონტროლებდა. 1935 წელს იღბლიანი ჩარლი „ბოსების ბოსი" გახდა. 1936 წელს პოლიციამ დააკავა და 30-წლიანი პატიმრობა მიუსაჯა, მაგრამ მან მოსამართლეები მოისყიდა და 1946 წელს გაათავისუფლეს. ლუჩანო იტალიაში გადასახლდა, სადაც 1962 წელს გულის შეტევით გარდაიცვალა.

**ალ კაპონე** (1899-1947) ბრუკლინში, იტალიელი ემიგრანტების ოჯახში დაიბადა. ლუჩანოს მსგავსად, ისიც „ხუთი წერტილის" წევრი იყო. შეტაკებისას მიღებული ჭრილობის გამო, მეტსახელად „სახენაიარევი" შეარქვეს. 1919 წელს ჩიკაგოში გადასახლდა და ჯონი ტორიოს ბანდას მიეკედლა. 26 წლისა, უკვე ამ ბანდის ლიდერი გახდა. მისი ძირითადი სფერო რეკეტი, სუტენიორობა და სათამაშო ბიზნესი იყო. 1929 წლის ვალენტინობას უამრავი მაფიოზი გამოასალმა სიცოცხლეს. რამდენჯერმე დაუსხლტა პოლიციას, მაგრამ 1931 წელს გადასახადების გადაუხდელობისთვის გაასამართლეს. ციხიდან 7 წლის შემდეგ გამოვიდა და დიდხანს აღარ უცოცხლია.

**ბენჯამინ „ბაგსი" სიგალი** (1906-1947). მან ჩარლი ლუჩანოს ბრძანებით უამრავი ადამიანი გამოასალმა სიცოცხლეს. 30-იან წლებში ბაგსი ჰოლივუდის ვარსკვლავებს დაუმეგობრდა და ლას-ვეგასში კაზინო „ფლამინგო" გახსნა. როცა კოლეგებმა აღმოაჩინეს, რომ სიგალი ფულს იპარავდა, მოკლეს.

**ჯუზეპე ანტონიო დოტო „ჯო ადონისი"** (1906-1971) ნეაპოლში დაიბადა. მოგვიანებით მისი ოჯახი ამერიკაში გადასახლდა. 1928 წელს ადონისი მეგობრებთან ერთად, პიზანოს ბანდის წევრი გახდა. ფრენკ კოსტელო ბრმად ენდობოდა, ის ყველა მაფიოზურ გარჩევას ესწრებოდა. სიცოცხლის უკანასკნელ წლებში ნიუ-ჯერსის სათამაშო ბიზნესს განაგებდა. ერთი პერიოდი რობერტ კენედის მხარდამჭერი იყო. დოტო ერთ-ერთი იმ განგსტერთაგანია, ვინც ბუნებრივი სიკვდილით გარდაიცვალა.

**ბერნარდო პროვენცანო** სიცილიაზე, სოფელ კორლეონეში 1933 წელს დაიბადა. ახალგაზრდა განგსტერზე ლუჩანო ლიჯიო ამბობდა: „ანგელოზივით ისვრის და ქათმის ტვინი აქვს". მოგვიანებით იგი კორლეონეების ბანდაში აიყვანეს. დროთა განმავლობაში, ძალაუფლება და ავტორიტეტი მოიპოვა და კორლეონეს ბანდის ლიდერი გახდა. იარაღით, ნარკოტიკებით ვაჭრობდა და სათამაშო ბიზნესს აკონტროლებდა. 90-იან წლებში 73 წლის მაფიოზი პოლიციამ დააკავა და იგი სიცოცხლის ბოლომდე ციხეში დარჩება.

სპორტული კუთხე მიჰყავს ჟურნალისტ გიორგი ჯალაღანიას

# ჯანო ანანიძე: მოვიდა და მითხრა, დღეიდან პატარა პირლო იქნებიო

*(გაგრძელება წინა ნომრიდან)*

**– იაკინის მწვრთნელობის დროს იყო დიდი სკანდალი თქვენი მონაწილეობით – რატომ არ გაფრინდით გუნდთან ერთად კომსომოლსკში.**

– ის დრო იყო, როცა ფეხი მაწუხებდა. "ტერეკთან" საშინაო მატჩში განაცხადში ვიყავი, მაგრამ არ მათამაშეს. სამი დღის მერე იყო ეს სათასო თამაში. ფეხი მტკიოდა და ექიმს ვუთხარი, იმან კი მწვრთნელს. იაკინმა მაინც გადაწყვიტა ჩემი წაყვანა. წინა დღეს ვარჯიშზე **"კვადრატს"** ვვარჯიშობდით, როცა ძალიან მეტკიცა ფეხი და იაკინის ასისტენტმა მითხრა, სულ რომ მოიტეხო ფეხი, მაინც უნდა წახვიდეო. ვერ წარმოიდგენთ, როგორ გავცოფდი. ამასაც ვნახავთ – ვუთხარი მას და წავედი შინ. მალე დამირეკეს, რატომ აგვიანებო, მე კი ვუთხარი, რომ არსადაც არ მივდიოდი.

**– მერე რა მოხდა?**

– მწვრთნელს მოვუბოდიშე. ერთი თვის ხელფასი დამაკლეს და დუბლებში გადამიყვანეს. ოთხ მატჩში 5 გოლი გავიტანე და დამაბრუნეს. რებროვმა და ბიჭებმაც იზრუნეს ჩემზე, მწვრთნელს უთხრეს, რომ მივხვდი საკუთარ შეცდომას. იაკინი ურიგო ადამიანი არ არის, მისი შეცდომა ასისტენტებისადმი დიდი ნდობა იყო.

**– საქართველოს ნაკრებში ცნობილი ექტორ კუპერის ხელმძღვანელობით გითამაშიათ...**

– კუპერის დროსაც, ტოპმიოლერის დროსაც, ქეცბაიას დროსაც. ყველა მწვრთნელი რომ ავიღოთ, ვისთანაც მითამაშია, ჩემი ტოპ სამეული ასეთია: კარერა, ცხადაძე, ბოჟოვიჩი!

**– კარერა გასაგებია, სხვები?**

– ცხადაძე კარერასავით კარგი ტაქტიკოსია. ყველა დეტალს გიხსნის, სად, როდის, რატომ, ვის... ბოჟოვიჩი ამით არ არის შეპყრობილი, მაგრამ დიდი ფსიქოლოგია, ფეხბურთელებს გრძნობს. ერთხელ მახსოვს ისე ცუდად ვითამაშე, რომ **"სპარტაკში"** რომ ვყოფილიყავი მე-20 წუთზევე შემცვლიდნენ. მეგონა შესვენებაზე მაინც შემცვლიდნენ, ბოჟოვიჩს ვკითხე კიდეც, მართლა ვრჩები მოედანზე-თქო. რა თქმა უნდა, მიდი, მიდი – მითხრა მან და უკვე 50-ე წუთზე გავიტანე, შემდეგ ორი საგოლე პასი გავაკეთე და თამაში 5:0 მოვიგეთ.

**– მართალია, რომ ძიუბამ გირჩიათ "როსტოვში" წასვლა?**

– მთლად მასე არ არის, მაგრამ რომ გავიგე, რომ ძიუბა მიდიოდა "როსტოვში", საბოლოოდ, მეც გადავწყვიტე. კარპინთან მივედი და ვთხოვე, რომ მეც გავეშვი "როსტოვში". სიხარულით დამთანხმდა, ამ სეზონში შანსი ცოტა გქონდა მაინცო.

**– ამბობენ, "სპარტაკთან" მატჩში "როსტოვში" 20 ათასი დოლარი დააწესეს პრემია თითოეულზე...**

– დიახ და კანგა ყველასთან რამდენჯერმე მოდიოდა და კითხულობდა მართალიაო? რუსეთში მოთამაშეები ასეთ ციფრებს მიჩვეულნი არიან, აი, ის კი აქამდე მხოლოდ გაბონში თამაშობდა და 20 ათასი მისთვის გიჟური თანხა იყო. თუმცა მეტიც ყოფილა – ფინალის მოგებისთვის 50-50 ათასი დოლარი გადაიხადეს.

**– თქვენ "სპარტაკში" გადასვლაზე რევაზ ჩელებაძე მუშაობდა. რა მომენტში დაამთავრეთ მასთან მუშაობა?**

– საქართველოში მას ყველა "ჩელეს" ეძახის. ოფიციალურად ჩემი აგენტი არ იყო, ფურცლებზე ხელი არ მოგვიწერია. 13 წლის ასაკში მისი დახმარებით კიევის "დინამოს" აკადემიაში მოვხვდი, "ჩელე" იქ ყველასთან მეგობრობდა. ერთი წლის შემდეგ ფული მოისურვა, თუმცა აუხსნეს: "სანამ ჯანოს 18 წელი არ შეუსრულდება, ფული არ იქნება".

"სპარტაკის" ვარიანტი მას არ მოუძებნია – "სპარტაკის" წარმომადგენლებმა საქართველოს ასაკობრივი ნაკრების მატჩის დროს შემამჩნიეს, ჩემით დაინტერესდნენ და სინჯებზე მიმიწვიეს. სამნი ჩავედით – მამა, მე და "ჩელე". როცა კონტრაქტს განვიხილავდით, ჩელებაძემ ევგენი სმოლენცევს, რომელიც მაშინ "სპარტაკის" ტექნიკური დირექტორი იყო, უთხრა: "300 ათასი დოლარი და ჯანო თქვენია". ამ თანხის შუაზე გაყოფას ვაპირებდით.

**– თქვენ და ჩელებაძე?**

– დიახ, მაგრამ მამამ თქვა: "ჩელე", შენ ორასი, ჩვენ კი – ასი. 50 ჩემგან საჩუქრად".

ჩელებაძე კიევის "დინამოში" მოწყობაში დაგვეხმარა. თანაც, სმოლენცევს ამხელა თანხის დასახელებას ვერ გავუბედავდით.

**– აბა, რა თანხაზე იქნებოდა საუბარი?**

– ნაკლებზე, სავარაუდოდ 6-ჯერ ნაკლებზე. ჩელებაძეს ავტორიტეტი ჰქონდა. სმოლენცევიც არ ვაჭრობდა. ამასთან, ის 50 ათასი დოლარი, რაზეც მამაჩემმა იოლად თქვა უარი, ჩვენთვის ნამეტანი იქნებოდა.

ჩემი პირველი ხელფასი "სპარტაკში" 5 ათასი რუბლი იყო. როცა ცოტა მომიმატეს, "ჩელემ" ისევ ფულზე ჩამოაგდო საუბარი.

**– რამდენს ითხოვდა?**

– ჩემს ხელფასში "ჩაჯდომა" და საკუთარი პროცენტის აგენტივით მიღება სურდა. მამა აღშფოთდა: "ვითომ რატომ? ჩვენ 50 ათასი დოლარი მოგეცით. ბავშვის ხელფასს კი მეც არ ვეხები, ეს მისი ფულია. როცა დიდ კონტრაქტს მოაწერს ხელს, მაშინ იქნება პრემიები, ბონუსები – არ გაწყენინებთ".

მათ იკამათეს, რის შემდეგაც ჩვენი გზები გაიყარა.

მამის გარდაცვალების შემდეგ "ჩელემ" კვლავ შემომთავაზა თავისი მომსახურება, რაზეც ვუპასუხე: "მაპატიეთ, მაგრამ სხვა აგენტი მყავს". სულ ეს არის მთელი ისტორია.

**– კიევამდე სად ვარჯიშობდით?**

– ჯერ ქობულეთში, მერე თბილისის "დინამოს" სკოლაში. ზურაბ ხიზანიშვილის ძმა სპეციალურად ჩემთვის ჩამოვიდა. მამა დათანხმდა, რადგან როცა მას ასეთი შანსი ჰქონდა, თბილისში არ გაუშვეს და კარიერა ისე დასრულდა, არც დაწყებულა.

**– ალბათ, ცოტა უცნაურია კიევის "დინამოში" აყვანილი ბიჭი რომ "სპარტაკში" სინჯებზე მოხვდება...**

– დიახ, და ვიცოდი ამას კიევში ვერ გაიგებდნენ, აქ რომ არ მოვწონებოდი, უკან არავინ მიმიღებდა. მაინც გავრისკეთ. უკვე მესამე დღეს დუბლების მატჩში დამიძახეს. 15 წლის ვიყავი და "სპარტაკში" ყველაფერი გამომდიოდა, ეს სიზმარივით იყო. ტრავმირებული ფეხბურთელის გვარით ვითამაშე, ორი გოლი გავიტანე, ერთი 30 მეტრიდან და "სპარტაკშიც" მიმიღეს. ამის გამო ჩელებაძეს უკრაინაში ფეხბურთელების ჩაყვანა აუკრძალეს.

**– ის თუ მართალია, რომ უკრაინის მოქალაქეობას გაძლევდნენ?**

– დიახ, მამას შესთავაზეს. უარი ვთქვი, მე ქართველი ვარ. პირველად 16 წლის ასაკში დამიძახეს ნაკრებში. ვერც კი წარმოიდგენთ, ეს რა გრძნობაა. მოქალაქეობის შეცვლა რუსეთშიც შემომთავაზეს. "სპარტაკში" რა თქმა უნდა, რუსული პასპორტით შედარებით იოლი ცხოვრება მექნებოდა, მაგრამ სამშობლოს ვერ შევცვლი. აი, გიორგი მელქაძეს სხვა სიტუაცია აქვს, ის რუსეთში დაიბადა, მოსკოვში გაიზარდა და 4 წლის ასაკიდან "სპარტაკშია".

**– ახალ წელს კარერა რომ თბილისში ჩამოვიდეს, სად წაიყვანდით?**

– საქართველოში ბევრი რამ არის საინტერესო და გააჩნია, როგორ ხასიათზე ხარ. კარერას ძველ თბილისში წავიყვანდი, საღამოს – რესტორანში. ისეთ რესტორანში, რომ მიხვდეს საქართველოში რომ არის, თიხის თეფშებზე, კერძები კეცზე. ათი დღე მაინც არის საჭირო, საქართველო რომ მოიარო. მეუღლე სვანი მყავს, სვანეთის უნახავად წასვლა არ შეიძლება.

**– მეუღლე სად გაიცანით?**

– 16 წლის რომ ვიყავი და ნაკრებში გამომიძახეს მაშინ, მარიამი მაშინვე მომეწონა. მეორე ჩამოსვლის მერე უკვე შეყვარებულები ვიყავით. 2014-ში შეგვეძინა გოგონა მია. თებერვალში მეორე შვილს ველოდებით.

**– ახლა თბილისში ცხოვრობთ?**

– დიახ, დედასთან ქობულეთში ჩავდივართ ხოლმე, მამის საფლავზე გავდივართ. სამი თვის წინ მოსკოვშიც ვიყიდე ბინა.

**– საქართველოს ნაკრების რიგებში შემოდგომით უელსს ეთამაშეთ, როგორი შთაბეჭდილება დატოვა გარეთ ბეილმა?**

– ერთხელ შევეჯახე და სამი დღე მტკიოდა ხელი, როგორც კედელი, ისეთი მყარია. ასეთი ათლეტი ფეხბურთში მხოლოდ ორია, ის და კრიშტიანო რონალდო.

**– და მაინც სუსტი მესი საუკეთესოა?**

– მესი გენიოსია. კრიშტიანო და ბეილი ნიჭიერები არიან, რომელთაც შრომით გააძლიერეს თავიანთი ტალანტი. "ინსტაგრამზე" რონალდო დასვენების დღესაც ტრენაჟორების დარბაზიდან დებს ფოტოებს, მესი ასე არაა, მისთვის დასვენება დასვენებაა.

**– კიდევ ვინ მოგწონთ?**

– მოდრიჩი, ბურთს ისე ფარავს ვერ წაართმევ. დროგბა, ახლაც მახსოვს ეპიზოდი "სპარტაკთან" მატჩში, რუსეთის ჩემპიონატში ასეთ "ფოკუსებს" ვერ ნახავთ.

## მიმართვა ბიზნესმენებისადმი

**ბატონებო!**

**ამ დღეებში სახელგანთქმულმა მეცნიერმა, ბატონმა გია კვაშილავამ ინტერნეტ-სივრცეში გაავრცელა ინფორმაცია იმის თაობაზე, რომ კემბრიჯში (ინგლისი), ათენსა (საბერძნეთი) და ჰარვარდში (აშშ) დაგეგმილია საერთაშორისო კონფერენციები. ძალიან მნიშვნელოვანი და სასამაყოა, რომ აღნიშნულ ღონისძიებებში სამეცნიერო მოხსენების საჯაროდ წარსადგენად მიწვეული არის ბატონი კვაშილავა, რომელიც გახლავთ თსუ ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის თეორიული და გამოყენებითი ენათმეცნიერების ინსტიტუტის მეცნიერ-მკვლევარი.**

**ბატონი კვაშილავას ინფორმაციით მის მიერ კონფერენციებზე წარსადგენი მოხსენება უკავშირდება ძვ.წ. II ათასწლეულის დასაწყისის კლასის ხაზოვან წარწერების საერთო-ქართველურ ენაზე გაშიფვრას. ბატონი კვაშილავას მიერ დეშიფრირების შედეგად ირკვევა, რომ პირველი ქართველური მარცვლოვანი დამწერლობა შეიქმნა 4.000 წლის წინ. ამდენად, მიმაჩნია, რომ ჩვენი თანამემამულის მიერ გაწეული სამეცნიერო კვლევის შედეგი არის უაღრესად მნიშვნელოვანი და ფასეული კოლხურ-იბერიული მოდგმისათვის, რათა მან დაიკავოს კუთვნილი ღირსეული ადგილი კაცობრიობის კულტურისა და ცივილიზაციის სათავეებთან მდგომ ერთა შორის. გამომდინარე აქედან, ეროვნულ-პატრიოტულ ფასეულობებზე ორიენტირებულო პატივცემულო ბიზნესმენებო, მოგმართავთ თხოვნით და თუ გნებავთ მოწოდებითაც, რომ გაუწიოთ შესაბამისი ფინანსური მხარდაჭერა ჩვენს სასიქადულო მეცნიერს, ბატონ გია კვაშილავას, რათა მან შესძლოს ზემოთაღნიშნულ კონფერენციებში მონაწილეობა და ჩვენი ეროვნული, მაგრამ მნიშვნელობით ზოგადსაკაცობრიო მეცნიერული აზრის მსოფლიოსათვის გაცნობა...**

**პატივისცემით,**

**ზურაბ კვარაცხელია,**

**სახალხო მოძრაობა „სამეგრელოს" რეგიონალური კოორდინატორი.**

*ბატონი გიას საბანკო ანგარიშებია:*

თიბისი ბანკი

საბანკო კოდი: TBCBGE22

ლარის ანგარიში: CE52TB7004027365100008

მიმღების დასახელება: გია კვაშილავა

TBC BANK FOR USD TRANSFER

BENEFICIARY,S BANK: HEAD OFFICE SWIFT: TBCBGE22

JSK "TBC BANK", Head Office

BEN,S Account: GE84TB7402736612500001

NAME OF BENEFICIARY: GIA KVASHILAVA



***ჟურნალისტი ნინო ჯღარკავა სოციალურ ქსელში საქართველოს ყოფილი პრეზიდენტის მიხეილ სააკაშვილის განცხადებას ეხმაურება და ფოტოს აქვეყნებს.***

***„აი, ეს ტანში გამოკვანწილი ქვევრის ფორმის მასა, რომ იტყვის საქართველო ჩემამდე კარიკატურის ქვეყანა იყოვო, ულვაშებიანი ქართველებით და ყანწებით ხელშიო... ვინც მას ხმა მიეცით, უბრალოდ, არ გიტყდებათ, ასე რომ გაფასებთ? თორემ მე პირადად არცერთხელ მისთვის ხმა არ მომიცია! გამოდით ახლა და „გააპრავეთ", ამ გიჟის ფრაზები, რას ჩაგიგდიათ ენები, როგორ ყვარებიხართ ხომ ხედავთ! ყველაფერი ქართული სძულდა ამ ქონის ნაჭერს, სძულდა იმიტომ რომ არასდროს არ ყოფილა ქართველი!",*** – წერს ჯღარკავა.

## იუმორი

– მე ახალგაზრდა ვარ და შენზე ძლიერი!

– ტკიცინა ლარიანი ჯობია თუ დაჭმუჭნული ასმანეთიანი?

– რა თქმა უნდა მეორე!

– ჰოდა მაგი ვარ, ბიჭო, მე, და დამანებე თავი!

* * *

– დამალევინეთ რამე, თორემ სიფხიზლე ამივარდა თავში!

* * *

– აუწიე ბიჭო ტელევიზორს ხმა!

– აწეულია, მარა, ამ მომღერალს არა აქვს მეტი ხმა და რა ვქნა?!

* * *

– რამდენი წლისა იქნება ის ქალი?!

– ასე 38–40–42-ის.

– მე ტელეფონის ნომერს კი არ გეკითხები!

* * *

დამკაში გასვლამ გადაბრუნება იცის და არ ვარგა.

* * *

მართლაც დიდი ხელოვნებაა, სამი საათი ილაპარაკო და არაფერი თქვა!


**გარდაიცვალა სახალხო მკურნალი, რომელმაც მოუგო ომი მძლავრ ნაციონალურ ფარმაკომაფიას, მის დაძირვას რომ ცდილობდა.**



*დომენტი გაგნიძის მიერ შექმნილი პრეპარატი არჩენს ავთვისებიან სიმსივნურ დაავადებებს, კუჭ-ნაწლავის გაუვალობას, კოლიტს, ფისტულას, პროსტატიტს, ბუასილს, ნერვის ანთებას, ნევროზს, ფსიქიკურად დაავადებულებს, ჰკურნავს გაფანტული სკლეროზს და შიდსს, შველის ცერებრალურ დამბლას, ყურებიდან ჩირქდენას, ბოტულიზმს, ტუბერკულოზს, ცეროზს I და II სტადიებში, C ჰეპატიტს, ნაღვლის ბუშტის დაავადებებს, ანთებით პროცესებს, სახსრების დაავადებებს, ამყარებს იმუნიტეტს, და სხვა მრავალ დაავადებას.*

*ახლა მკურნალის საქმეს აგრძელებენ მისი შვილები: ზეზვა და დოდო.*

*კოორდინატებია:* თბილისი, აწყურის ქუჩა №70 (მეტრო "ისანთან"), ყოველდღე – 10-დან 16 საათამდე.

ტელ: 593-22-66-51, 593-62-28-48



**მასთან სიცოცხლეზე ხელჩაქნეულები მიდიან და ჯანმრთელები ბრუნდებიან**



ISSN 1987-8966 "ილორი"

რედაქციის მისამართი: თბილისი, ბაქრაძის ქუჩა №6 საიდ. №01018002930 234-32-95

მთავარი რედაქტორი: როლანდ ჯალაღანია

გაზეთის მენეჯერი: 599-34-37-27 ტექრედაქტორი 568-01-21-32

გაზეთი ხელმძღვანელობს თავისუფალი პრესის პრინციპებით

ავტორებს ეკისრებათ პასუხისმგებლობა ფაქტებისა და მონაცემების სიზუსტეზე. ხელნაწერები ავტორებს არ უბრუნდებათ.

ორი თაბახის ფურცელზე მეტი მოცულობის ტექსტი რედაქციას უნდა გაეგზავნოს ელ.ფოსტით (ან ლაზერის დისკით).

გაზეთ "ილორის" გაცნობა შეგიძლიათ "საქინფორმის" ვებგვერდზე WWW.saqinform.ge